



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ფ/2
1990

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

4 . 1990

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“;
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1990, № 4

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



Известия Академии наук Грузии

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980
წლის იანვარში

Журнал основан в январе
1980 года

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

4. 1990

თბილისი
ТБИЛИСИ



„მეცნიერება“
«МЕЦНИЕРЕБА»

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

თ. ბუაჩიძე, გ. თევზაძე, ვ. კეშელავა, ზ. მიქელაძე, შ. ნადირაშვილი,
ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), ო. ჯიბოვი (რედაქტორის მოადგილე),
პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Буачидзе Т. А., Джиоев О. И. (*зам. редактора*), Кешелав В. В.,
Микеладзе З. Н., Надирашвили Ш. А., Прангишвили А. С.,
Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (*редактор*).

ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

გადაეცა წარმოებას 16.10.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.12.90;
ანიჭობის ზომა 7×12; ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; პირ. ნაბეჭდი
თაბახი 9,8; საალრიტხო-საგამომცემლო თაბახი 7.74;
ტირაჟი 800; შუკ. 1737; ფასი 85 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

© საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1990, № 4

19613

ზ ი ნ ა ა რ ს ი

ფილოსოფია

ლ. ზვილსიანი, განვითარების კრიტერიუმის შესახებ	5
ზ. ქარუშიძე, დროითობისა და ენის ონტოლოგიური ბუნების შესახებ	12
შ. კვანციანი, ადამიანის მოთხოვნებებისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარების დიალექტიკა	24
ფინ მიხეშა, კანტის ადგილი ეთიკის ისტორიაში	37
მ. ნაპეზია, ფიგურაბი ფილოსოფიის რელიგიისადმი დამოკიდებულების შესახებ	44

ფსიქოლოგია

ც. მამზარაშვილი, სტრესის გავლენა გადაწყვეტილების პროცესში ალტერნატივითა გადაფასებაზე	55
ლ. ფუთუჩაძე, თანაქტივობის გავლენა ატრიბუციის პროცესზე	68
ბ. ულიანოვი, პიროვნების ცნობიერ მიმართებათა სინთეტიკური სისტემა	79
ნ. შრამაშვილი, ქცევის განსაზღვრებადობა წინამავალ ზემოქმედებათა თავისებური ასახვით	84
ბ. პერტიანაძე, ბავშვთა ინტერესების სპეციფიკა	89

ჩვენი მემკვიდრეობა

დ. შენაძე, Impersonalia	97
-----------------------------------	----

ახალი თარგმანები

მინერი თომას ბოკლი, ლუდოვიკო XIV-ის სიკვდილი. ამბობება მფარველი სულის წინააღმდეგ და მზადება საფრანგეთის რევოლუციისათვის	107
---	-----

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

ФИЛОСОФИЯ

Л. Г. ГВЕЛЕСИАНИ, О критериях развития	5
З. Л. КАРУМИДЗЕ, О темпоральности и онтологической природе языка	12
Ш. Г. КВАНЧИАНИ, Диалектика развития человеческих потребностей и научно-технической революции	24
ФЭН ВЕНЬХУА, Место Канта в истории этики	37
М. М. НАЧКЕБИЯ, Фейербах об отношении философии к религии	44

ПСИХОЛОГИЯ

Ц. О. МАВЗАРАШВИЛИ, О влиянии стресса на переоценку альтернатив в процессе принятия решения	55
Л. Ш. ПУТУРИДЗЕ, Воздействие соактивности на процесс атрибуции	68
Б. Д. УЛЬЯНОВ, Синтетическая система сознательных отношений личности	79
Н. В. ЧРЕЛАШВИЛИ, Вопросы определяемости поведения специфической отраженностью предшествующих воздействий	84
Г. Р. ПЕРТЕНАВА, Специфика интересов ребенка	89

НАШЕ НАСЛЕДИЕ

Д. Н. УЗНАДЗЕ, Impersonalia	97
---------------------------------------	----

НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

ГЕНРИ ТОМАС БОКЛЬ, Смерть Людовика XIV. Бунт против духа покровительства и подготовка французской революции	107
---	-----

ფილოსოფია

ლევან გველანიანი

განვითარების კრიტიციზმის შესახებ

განვითარების პრობლემა ფილოსოფიის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა. თუ კლასიკურ ფილოსოფიაში ეს საკითხი ასე თუ ისე გადაჭრილად ითვლებოდა, თანამედროვე ფილოსოფიაში, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველების ფილოსოფიაში იგი დიდი დავისა და აზრთა სხვადასხვაობის ობიექტია. უპირველესად ეს ეხება ბუნებაში განვითარების კრიტიციზმის პრობლემას. დღეს არ მოიძებნება ისეთი თვალსაზრისი, რომელიც სათანადოდ ახსნიდა განვითარების ფაქტს არაყოცხალ ბუნებაში. ამიტომაც ფილოსოფიაში არსებობს იმგვარი შეხედულება, რომ განვითარებას მხოლოდ ცოცხალ ბუნებაში აქვს ადგილი, ხოლო ბუნების დანარჩენ ნაწილში მხოლოდ წრებრუნვა, მარტივი მოძრაობა-ცვლელადობაა. რასაკვირველია, ბუნების ურთულესი, მთელ რიგ შემთხვევებში აღმავალი პროცესების მხოლოდ ცვალებადობაზე დაყვანა უსაფუძვლოა და ჩვენ შევეცდებით გარკვეული ფიზიკური პრინციპების დახმარებით ვაჩვენოთ, რომ არაყოცხალ ბუნებაში არსებობს პროცესები, რომლებიც გამოდგებიან განვითარების კრიტიციზმად. მიგვაჩნია, რომ ამგვარ ფილოსოფიურ საკითხთა გარკვევის ერთადერთ გზას განვითარების ობიექტური პროცესების ანალიზი წარმოადგენს (16, გვ. 7). ბუნების უზოგადესი კანონზომიერების შემეცნება ხომ ბუნებისვე სპეციალური კანონზომიერების ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი (1, გვ. 16).

თანამედროვე ფილოსოფიური შეხედულებების თანახმად, მატერიალური სამყარო (ისევე, როგორც იდეათა სამყარო) განიცდის გარკვეულ ცვლილებებს, რომელთა შორისაც შესაძლებელია ერთი ნაწილის განსაზღვრა როგორც განვითარების პროცესისა. განვითარებისათვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს შეუქცევადობა, ერთმხრივი მიმართულება და კანონზომიერება (13, გვ. 537). ჩვენის აზრით, მხოლოდ ამგვარი მახასიათებლებით განვითარების განსაზღვრას შეიძლება გარკვეული ხარვეზიც ახლდეს, რადგანაც იგივე შეიძლება დეგრადაციას, დაშლას ან ნებისმიერ სხვა პროცესს შეესაბამებოდეს, თუკი ეს პროცესები შეუქცევადი, ერთმიმართულნი და კანონზომიერი. განვითარების ამგვარი გაგებისას არ ჩანს სიახლის, სრულყოფის კრიტიციზმი, ხოლო თუ კი განვითარების ცნებაში როგორც სრულყოფის, ასევე დეგრადაციის პროცესებს ვიგულისხმებთ, მაშინ თვით განვითარების ცნებას აზრი ეკარგება. ჩვენის აზრით, განვითარების არსი სწორედ სიახლის, სრულყოფის დაშვებაში მდგომარეობს. განვითარება შეიძლება მხოლოდ იმ პროცესებთან იქნეს გაიგივებული, რომლებიც სისტემათა გართულებით, მათი სრულყოფით, თვისობრივი ცვლელადობით და არა დეგრადაციით ხასიათდება. განვითარება „ახალი თვისებების“ გაჩენით (16, გვ. 49) ხდება. ამგვარი განსაზღვრა მოიცავს უბრალო რაოდენობრივ ზრდასაც, რომელსაც შემდგომ თვისებრივ ცვლილებებთან მიყვავართ. ს. მელიუხინი თვლის, რომ „განვითარების ცნება ახასიათებს ყოველი მოცე-



რაიმე მიმართებაში. რაიმე მიმართებაში ყოფიერი შემოდის რალაცა სახით, ე. ი. ყოფიერი რალაცასთან მიმართებაში „ხდება“. ყოველი მიმართების ბუნება დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე, ანუ „გახსნილ ადგილზე“, სადაც შეიძლება რომ განხორციელდეს მიმართება. ამდენად ყოფიერის ხდომილება გულისხმობს თავისუფალ სივრცეს, რომელშიაც ყოფიერი შემოვა, ანუ ჩადგება რალაცა მიმართებაში. ეს არის ყოფიერის ქმნადობის პორიზონტი. ამ პორიზონტში ყოფიერს უხდება ის, რაც მას უხდება და რასაც იგი უხდება. ამ პორიზონტში „ხდება“ ყოფიერი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოფიერს მიმართება განსაზღვრავს. მიმართება თავად ემყარება თავისუფალი სივრცის გახსნილობას, რომელშიაც შეიძლება შემოვიდეს ყოფიერი, როგორც რალაცა არეში. ეს არის ყოფიერის წარ-მო-ჩენა, ანუ იმ ადგილის გახსნა, რომელიც უნდა დაიკავოს ყოფიერმა. ეს არის ყოფიერის დამყოფება და არა ზემოქმედება ამ ყოფიერზე.


196

იმისათვის რომ ყოფიერი „მოხდეს“ იგი რალაცაგვარად უნდა ეზიაროს ყოფიერებას, მისთვის უნდა გაიხსნას ყოფიერება. ყოფიერების გახსნა კი გულისხმობს იმ თავისუფალ სივრცეს, რომელშიც დგება ყოფიერი როგორც რალაცა მიმართებაში. ყოფიერის წარმოჩენა არის ყოფიერის დაყენება ყოფიერების ღიაობაში, როგორც მიმართებისათვის გახსნილ სივრცეში [შდრ. 12, გვ. 101, 106].

ყოფიერის წარმოჩენი საწყისი, ანუ ის რაც ახდენს ყოფიერს, ის რასაც ყოფიერი მიყავს მის ყოფიერებასთან, არის ენა. ყოველდღიურობიდან ჩვენ ვიცით, რომ რაიმეს შესახებ რაიმეს თქმა არის მისი დაყენება რაიმესთან რაიმე მიმართებაში. ენის ამგვარი ყოველდღიური გამოხატულება მის ზოგადონტოლოგიურ ბუნებაზე მიგვანიშნებს. ჰაიდეგერის ცნობილი სიტყვები — „ენა ყოფიერების სახლია“ [12, გვ. 135] — გვაუწყებენ იმას, რომ ყოფიერება ენაშია, რომ ენა განკავდეს ყოფიერის გზას ყოფიერებისაკენ. ყოფიერი „არის“ იმდენად, რამდენადაც იგი მიმართებაშია, ხოლო ეს მიმართება „არის“ იმდენად, რამდენადაც გახსნილია თავისუფალი არე (ყოფიერებისა), რომელშიაც ყოფიერი უნდა წარმოჩნდეს. ამ თავისუფალ არეს განკავდეს ენა.

ამდენად, ენა შეიძლება წარმოვიდგინოთ შუამავლად ყოფიერსა და ყოფიერებას შორის. ადამიანის განზომილებიდან გამომდინარე შეიძლება დავუმატოთ, რომ ყოფიერება სადაც ყოფიერს მიღმა კი არაა, ან ყოფიერში, არამედ ადამიანსა და ყოფიერს შორისაა — ენაში. ადამიანსაც ენა ახდენს. ადამიანის უსაკუთრივესი უნარი, რაც მას განასხვავებს — სიტყვის უნარია. ადამიანი ესიტყვება ენას, ანუ ახდენს ენის განსიტყვებას, გახმოვანებას სიტყვაში. ადამიანის ადამიანობა ხორციელდება იმდენად, რამდენადაც იგი სიტყვაში ანხორციელებს ენას. ადამიანის არსებობის უშუალო გარემო ენაა, სადაც იგი ორიენტირებას ახერხებს სიტყვის უნარით [12, გვ. 129]. სიტყვას მეშვეობით ეზიარება იგი ყოფიერებას. ენის მოსმენის, გაგების გამო შესწევს მას უნარი ყოფიერების გაგებისა, რადგან ყოფიერება ენაშია. ენაში ეზიარება ადამიანი ჰუმანიტეტს, ანუ თავისუფლებას, როგორც ყოფიერების გაგების არეს, რომელშიაც იგი ხდება ყოფიერს, ამყოფებს მას, რითაც ამყოფებს თავის თავს. შესაბამისად, ადამიანის დროითობა, როგორც ყოფიერების ღიაობის პორიზონტის გახსნის უნარი, პირდაპირ მიმართებაშია სიტყვასთან, როგორც ენაში ყოფნის უნართან.

2. „მაცნე“. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1990, № 4



გამოიხატება $p+n=d+y$. სწორედ y კვანტს მიაქვს m ენერგია სისტემიდან (12, გვ. 640). აღწერილი პრინციპიდან შეიძლება ბუნებისმეტყველების ფილოსოფიისათვის მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება. თუ კი თავის მხრივ განვითარება უკავშირდება ახალი თვისებების მქონე სისტემების შექმნას, მათ გართულებას, თუ განვითარება დაკავშირებულია მატერიის კონცენტრაციისა და მის სულ უფრო რთულ სისტემებად გაერთიანებასთან, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღწერილი სინთეზის პროცესი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც განვითარების პროცესი. უფრო მეტიც, სინთეზისას ენერგიის გამოყოფის პროცესს ადგილი აქვს თერმობირთვულ, ატომურ და მოლეკულარულ დონეებზე. პ. ეტკინსი თვლის, რომ „მდგრადი კავშირი იქნება იმ შემთხვევაში, თუ კი რეაქციაში მიღებული მოლეკულების ენერგია ნაკლებია, ვიდრე საწყისი ნაწილაკების — ატომისა და მოლეკულის საერთო ენერგია“ (15, გვ. 111). სინთეზისას ენერგიის გამოყოფის პროცესს ადგილი აქვს ქიმიური რეაქციების დროს, — სინთეზის ყველა პროცესი ეგზოთერმულია, ხოლო დაშლისა — ენდოთერმული (10, გვ. 121). ამასთან, ქიმიურ დონეზე ენერგიის გამოყოფა-შთანთქმის პროცესებზე დაკვირვება საკმაოდ ძნელია, რადგანაც, როგორც წესი, ქიმიურ ნერთებში ეს პროცესები პარალელურად და თანმიმდევრობით მიმდინარეობენ, თუმცა თუ კი სინთეზის და დაშლის ელემენტარულ პროცესებს დავაკვირდებით, ეფექტის მოქმედება ნათელი ხდება (5, გვ. 55). ფაქტურად მატერიალურ სამყაროში მიმდინარე ნებისმიერი სინთეზის პროცესი შექმნილი სისტემიდან ენერგიის ვარემოში გავსვას, ხოლო დაშლის პროცესი გარემოდან ამავე რაოდენობის ენერგიის შთანთქმას უკავშირდება. ეს ენერგიის მუდმივობის — თერმოდინამიკის პირველი საწყისის მოქმედებითაც დგინდება: სისტემიდან გასული ენერგია არ იკარგება, იგი გარემოში იფანტება გამოსხივების ან სითბოს სახით, დაშლისას კი პირიქითი პროცესი მიმდინარეობს — გარემოდან შთანთქმება ენერგია. ამ პრინციპის გააზრებისას გარკვეულ პრობლემას ქმნის რთული ბირთვების დაშლის პროცესი, რადგანაც ცნობილია, რომ ატომგულის დაშლისას დიდი რაოდენობით ენერგია გამოიყოფა. აქ გასათვალისწინებელია, რომ დაშლისას გამოყოფილი ნაწილაკები თვითონ წარმოადგენენ სისტემებს და მათი განხილვა, როგორც სითბური ენერგიისა პირობითია. რაც შეეხება თვით დაშლის პროცესის დასაწყისს, ყველასათვის ცნობილია, რომ დასაშლელად ატომგულს გარკვეული ენერგია უნდა მიენიჭოს, რათა დაიწყოს რეაქცია. ასევე ენერგიის მიწოდებასთან არის დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დაშლის პროცესიც. ხოლო თერმობირთვულ რეაქციებში მსუბუქი ატომგულების სინთეზი უფრო მძიმე ატომგულებად დიდი ტემპერატურების გამოყოფასთანაა დაკავშირებული (12, გვ. 580).

ახლა შევეცადოთ დავაკავშიროთ მასის დეფექტის პრინციპი განვითარებასთან. როდესაც ბუნებაში მიმდინარეობს ვართულების, სინთეზის პროცესი და არსებული მარტივი (შედარებით — ლ. გ.) სისტემები ქმნიან თვისებრივად ახალ, უფრო რთულ სისტემას, გარემოში გამოიყოფა ენერგია, ხოლო ახალი სისტემის მასა ნაკლებია მის შემადგენელ ნაწილაკთა მასების ჯამზე თავისუფალ მდგომარეობაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, განვითარება ვართულებასთან, თვისობრივ ცვლილებასთან, ახლის წარმოქმნასთან არის დაკავშირებული. ატომის წარმოქმნა ნაწილაკებისაგან, მოლეკულის წარმოქმნა ატომებისაგან, შეიძ-

ლება განისაზღვროს, როგორც განვითარება; ამ პროცესებს შეესაბამება სისტემიდან ენერჯის ნაწილის გასვლა, ატომგულის დონეზე — მასის დეფექტი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბუნებაში განვითარების პროცესების კრიტერიუმად სწორედ მასის დეფექტის პრინციპი შეიძლება იქნეს აღებული. ანუ, იქ სადაც ბუნებაში განვითარებაზეა ლაპარაკი, აუცილებლად საქმე უნდა გვქონდეს მასის დეფექტთან და პირიქით, დეგრადაციის, დაშლის, დაყოფის პროცესები ენერჯის შთანთქმით ხასიათდებიან.

განვითარებისათვის მეორე უმნიშვნელოვანესი ფიზიკური პრინციპი თერმოდინამიკის მეორე საწყისიდან გამომდინარეობს.

თერმოდინამიკის მეორე საწყისი კრძალავს უარყოფითი პროცესის განხორციელებას დადებითი პროცესით კომპენსაციის გარეშე. სისტემა კარგავს მუშაობის შესრულების უნარს, თუ მისი ენერგეტიკული მარაგი უღმრთოდ არ ივსება. ნებისმიერი სისტემის ენერჯია ისწრაფვის გაფანტვისაკენ და თანაბარი გადანაწილებისაკენ გარემოში. ამის შედეგად სისტემა სტრუქტურას კარგავს და უახლოვდება ქაოსურ მდგომარეობას, სადაც მისი ენთროპია — ორგანიზებულიობის საზომი, უმაღლეს მნიშვნელობას იძენს. პირველად ენთროპიის, როგორც მოლეკულარული ქაოსის ზომის მნიშვნელობა ლ. ბოლცმანმა დაადგინა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ენთროპიის ზრდის კანონი წარმოადგენდა მზარდი დეზორგანიზაციის ასახვას (9, გვ. 30). საუკუნის მიჯნაზე ენთროპიის და საერთოდ თერმოდინამიკის მეორე საწყისის შემსწავლელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი სისტემა საბოლოო მდგომარეობაში ენთროპიის მაქსიმუმს აღწევს და თბურ ქაოსს წარმოადგენს. მთელი არსებული ენერჯია სისტემაში თანაბრად გადანაწილდება და შეუძლებელი გახდება რაიმე მუშაობის ჩატარება, აბსოლუტურად მოიხიბება პოტენციალთა სხვაობა (11, გვ. 142). თუ კი ჩვენს სამყაროს მხოლოდ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ როგორც სისტემას, მაშინ ძნელი არაა იგივე დასკვნის გაკეთება, რომელიც თავის დროზე აწუხებდა ბევრ ცნობილ მეცნიერს, მათ შორის თვით ლ. ბოლცმანსაც, — საბოლოო ჯამში ჩვენი სამყარო ე. წ. „თბური სიკვდილის“ სტადიას მიაღწევს, რომელშიც შეუძლებელი გახდება რაიმე მუშაობის შესრულება. თავის დროზე ამ დასკვნამ სერიოზული აციოტაჟი გამოიწვია და ბევრი მეცნიერი ცდილობდა მის უარყოფას. თავისთავად, ფიზიკური თეორიის უმარტივესაში ამ შემთხვევაში ძნელად თუ შეიძლება ეკვის შეტანა, მაგრამ, ჩვენის აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია ამ თეორიის ინტერპრეტაცია. თერმოდინამიკის მეორე საწყისის, როგორც მხოლოდ „ენთროპიის თეორიის“ განხილვა ცალმხრივია და სწორედ ამიტომაც იძლევა ზემოთ მოყვანილ დასკვნას.

პრობლემა ძირითადად შემდეგნაირად შეიძლება დაისვას: როგორ ან რატომ არის შესაძლებელი ჩვენს ენთროპიულ სამყაროში რთული ან ისეთი რთული სისტემების წარმოქმნა, როგორც ვთქვით, ცოცხალი ორგანიზმებია? თუ კი „დიდი აფეთქების“ ჰიპოთეზა (რომელსაც ამჟამად მეცნიერთა უმეტესობა იზიარებს — ლ. გ.) სინამდვილესთან ახლოა, რა ძალებით მოხდა პირველსაწყისი პლანშისაგან რთული შენაერთების და შემდგომში პლანეტარული სტრუქტურების წარმოქმნა?

თერმოდინამიკაში ენთროპიის ზრდას და სისტემის ცვლილებას მათემატიკის სტატისტიკური მეთოდებით აღწერენ. სისტემა მიისწრაფის თავისი ყველაზე შესაძლო მდგომარეობისაკენ, ეს მდგომარეობა ქაოსია. საერთო ფლუქტუ-

აციის ფონზე წარმოდგენილია ყველაზე შესაძლო მდგომარეობიდან იმგვარად გადახრა, რომ ამ გადახრის შედეგად მოვლენათა განვითარებამ ცოცხალი ორგანიზმი მოგვეცეს.

ამ წინააღმდეგობიდან თავის დასაღწევად სამი გზა შეიძლება არსებობდეს: პირველი მათგანი ზებუნებრივი ძალის აღიარებას და საკმაოდ მარტივ გამოსავალს წარმოადგენს. აქ, თუ კი ი. კანტის სიტყვებს გავიმეორებთ „...ჩვენ უნდა ვერიდოთ რაიმე გარეშე არსის ნებით ბუნების წყობის ყოველგვარ ახსნას, რადგანაც ეს უკვე იქნება არა ნატურფილოსოფია, არამედ აღიარება, რომ მისგან ჩვენ არაფერი გამოგვივიდა“ (3, გვ. 364).

მეორე გამოსავალი უფრო რთულია და ჯერ-ჯერობით საკმაოდ სპექულაციურია. რიგი მეცნიერებისა თვლის, რომ ბუნებაში სხვა ფიზიკური ძალა უნდა მოქმედებდეს, რომელსაც ნეგენტროპიაზე, ანუ ენტროპიის საწინააღმდეგოდ მიმართულ პროცესებზე „დაეკისრება პასუხისმგებლობა“. ამგვარი ძალა შეიძლება მართლაც არსებობდეს, მაგრამ ფიზიკისათვის დღეს იგი უცნობია.

რაც შეეხება მესამე გამოსავალს, მიგვაჩნია, რომ იგი თვით ენტროპიის შედარებით ახლებურ ინტერპრეტაციაში მდგომარეობს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ენტროპიის ზრდა გარემოში სისტემის ენერჯის თანაბარ გადანაწილებას ითვალისწინებს. ამ კანონის ძალით ნებისმიერმა სისტემამ უნდა თანდათან გასცეს თავისი ენერჯია გარემოში და საბოლოო ჯამში თავისი ენერჯული პოტენციალი გარემოსას გაუტოლოს. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ მთელი ენერჯია გარემოში თანაბრად არ განაწილდება.

სწორედ აქ შეგვიძლია მხედველობაში მივიღოთ მასის დეფექტის პრინციპი. ფაქტიურად ის ენერჯია, რომელიც სისტემის ნაწილაკებს სინთეზისას ერთმევათ, ენტროპიისადმი „ხარკს“ წარმოადგენს. ენტროპიის ზრდა აიძულებს სისტემებს დაამყარონ ურთიერთკავშირი და სისტემა შექმნან. ენტროპია რომ არა, ნაწილაკები არ გასცემდნენ ენერჯიას და ამისათვის არ შევიდოდნენ ახალი სისტემის ელემენტებად. რასაკვირველია, დროის დიდ მონაკვეთებში ენტროპიის მოქმედება თვით ამ სისტემასაც შლის, მაგრამ იგივე ენტროპიის მოქმედება პასუხისმგებელი თავდაპირველ სინთეზზე. თუ კი უფრო ღრმად შევეცდებით დავაკვიროთ თერმოდინამიკის მეორე საწყისის მოქმედება მასის დეფექტის პრინციპთან, დავინახავთ, რომ ენტროპიის ზრდის კანონი მოითხოვს ენერჯიის დაფანტვას, მის თანაბარ გადანაწილებას გარემოში; ბუნებაში არსებული ელემენტარული ნაწილაკები გასცემენ თავიანთი ენერჯიის ნაწილს, რის შედეგადაც მათი არსებობა მხოლოდ ახალ სისტემაში გრძელდება. თავის მხრივ, დამოამედ ეს ახალი სისტემაც შედის სხვა მსგავს ან სხვაგვარ სისტემასთან კავშირში და კიდევ ერთხელ გასცემს გარემოში თავისი ენერჯიის ნაწილს. სწორედ ამ პროცესის შედეგად ხდება რთული სისტემების წარმოქმნა და აქ ენტროპია არა დამანგრეველის, დამშლელის, არამედ ახლის წარმოქმნელის როლში გამოდის. სწორედ ასე შეიძლება ვაგებულ იქნეს ი. პრიგოცინის შენიშვნა, რომ „შუქტევადი პროცესები ფიზიკურ სამყაროში მნიშვნელოვან კონსტრუქციულ როლს თამაშობენ“ (8, გვ. 12). შეიძლება ითქვას, რომ

სისტემების ნაწილი სამყაროში „ასწრებს“ დასაბამის მიცემას ახალი სისტემებისათვის, რომელთაგანაც ერთი, შესაძლოა საკმაოდ მცირე ნაწილიც, უფრო რთულ სისტემებს ჰქმნის და ა. შ. ფაქტიურად სწორედ ეს არის ის პროცესი, რასაც ნეგენტროპია ეწოდება. თვით ენთროპია გადალახავს თავის თავს და ქმნის რთულ სტრუქტურებს სამყაროში, რომელთა ნაწილიც ახალი, უფრო რთული სისტემების შესაქმნელ საკმარის სტაბილობას იჩენს დროში. ტრადიციულად სიცოცხლე განიხილება როგორც ნეგენტროპიის, ენთროპიის გადალახვის შედეგი. ჩვენის აზრით, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ამ თვალსაზრისით სიცოცხლეს არავითარი სხვა ძალა არ ახასიათებს; ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობისათვის ენთროპიის მოქმედება საკმარისი და აუცილებელი პირობაა.

თერმოდინამიკის მეორე საწყისი კონსტრუქციულად, ცხოველყოფელად მოქმედებს სამყაროში. თუ კი იგი შეწყვეტდა მოქმედებას, შეუქმნებელი გახდებოდა ნეოთერებათა და ენერჯის ცვლის პროცესები, ახლის წარმოშობა, განვითარება.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: განვითარებას ადგილი აქვს ბუნების ყოველ საფეხურზე. მის ფიზიკურ კრიტერიუმად შეიძლება მიღებულ იქნეს სისტემის სინთეზისას ენთროპიის ზემოქმედების შედეგად ენერჯის გამოყოფა. თერმოდინამიკის მეორე საწყისს ბუნებაში კონსტრუქციული როლი გააჩნია, რაც სწორედ სინთეზისას სისტემიდან ენერჯის გამოყოფაში გამოიხატება. ენერჯის დაკარგვისას ნაწილაკები ახალი სისტემების ელემენტებად იქცევიან და განაპირობებენ ახალი თვისებების მქონე სტრუქტურების წარმოქმნას, რაც თავისთავად განვითარების ტოლფასია.

ლიტერატურა

1. ავალიანი ს. ბუნებისმეტყველების ფილოსოფია. თბილისი, 1974.
2. დიალექტიკური მატერიალიზმი. (რედ. კ. ბაჭრაძე, ე. კოდუა). თბილისი, 1970.
3. Кант И. Сочинения в шести томах (под общ. ред. В. Ф. Асмуса, А. В. Гулыги, Т. И. Ойзермана), т. 4, М., 1965.
4. Кля'ус Г., Кибернетика и философия, М. 1963.
5. Комаров В. И. Диалектический материализм и характеристика некоторых сторон движения неорганической природы. Казань, 1970.
6. Мелюхин С. О диалектике развития неорганической природы. М., 1960.
7. Опарин А. И. Возникновение жизни на Земле. М., 1957.
8. Пригожин И. Введение в термодинамику необратимых процессов. М., 1960.
9. Пригожин И. От существующего к возникающему: Время и сложность в физических процессах М., 1985.
10. Солопов Е. Ф. Движение и развитие. Л., 1974.
11. Толмен Р. Относительность, термодинамика и космология. М., 1974.
12. Физика космоса. Маленькая энциклопедия (под ред. С. Б. Пикельнера), М., 1976.
13. Философский энциклопедический словарь (ред. кол. С. С. Аверинцев, Э. Араб-оглы, Л. Ф. Ильичев и др.), М., 1989.
14. Щекина Л. И. Понятия „движение“ и „развитие“ и их роль в изучении физических процессов. М., 1970.
15. Эткинс П. Порядок и беспорядок в природе. М., 1987.
16. Frank Ph. Philosophy of Science, N. Y., 1957.

L. G. GWELSIANI

О КРИТЕРИЯХ РАЗВИТИЯ

Резюме

В статье ставится проблема развития в неживой природе. Развитие рассматривается как процесс создания нового, усложнения существующих систем, появления ранее несуществующих качеств. При синтезе на ядерном, атомном и молекулярном уровне усложнение материи связано с выделением энергий, что выражается в известном принципе дефекта массы. С другой стороны, второе начало термодинамики вынуждает системы рассеивать энергию в пространстве. Если связать принцип дефекта массы с ростом энтропий и рассмотреть эту связь с точки зрения развития в неживой природе, то можно сделать вывод, что именно через эти процессы происходит развитие. Критерием развития в неживой природе допускается принцип дефекта массы.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფი-
ლოსოფიის ინსტიტუტმა



ზურაბ მარშენიძე

დროითობისა და ენის ონტოლოგიური ბუნების შესახებ

ადამიანი ყოფიერია სხვა ყოფიერთა შორის. მან უწყის თავისი თავი როგორც ყოფიერი და უწყის სხვა ყოფიერიც, რომელიც იგი თავად არ არის. მისთვის იმთავითვე ნათელია სხვაობა თავის თავსა და მისგან განსხვავებულ ყოფიერს შორის. ყოფიერსა და მას შორის გახსნილია რაღაცა არე, რომელშიც ადამიანი ხვდება მისგან განსხვავებულ ყოფიერს. შეხვედრის ეს არე გულისხმობს იმას, რომ ადამიანს თავისი თავის, როგორც ყოფიერის, ყოფნის წესი და სხვა ყოფიერის ყოფნის წესიც რაღაცნაირად გაგებული აქვს, მაგრამ, გაგებული აქვს არაცნებითად და განუსაზღვრელად. ეს გაგება ყოფიერების გაგებაა, ყოფიერების გახსნილობაა, როგორც იმ ველისა, სადაც ადამიანი ურთიერთობას ამყარებს სხვა ყოფიერთან. გამომდინარე საკუთარი უნარებიდან და ამ უნართა განხორციელების იმ პირობებიდან, რომლებიც მისთვის გახსნილია ამ ყოფიერთან ურთიერთობისას. ეს არის ადამიანის მუნ-ყოფნა, ანუ რაღაცაგვარი ყოფნა რაღაცა ყოფიერთან, დამყარებული საკუთარი თავისა და შემხვედრი ყოფიერის ყოფნის წესის ცოდნაზე.

მუნ-ყოფნა გადადებულად ყოფნაა, ანუ რაიმე ყოფიერზე მიწოდებული და დამოკიდებული ყოფნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავისთავად უსაფუძვლოა და თავისი უნარების განსახორციელებლად მან თავი უნდა მოხაზოს რაიმე ყოფიერზე. იმ სიტუაციურ ველში, რომელშიც ეს ყოფიერი შემოდის და თავს თავაზობს ადამიანს. ამდენად, იმისათვის რომ ადამიანმა, თავის უსაფუძვლობაში, თავისი თავი რამენაირად ამყოფოს, მან უპირველეს ყოვლისა უნდა დაამყოფოს რაიმე ყოფიერი, რომლის ყოფნაშიც იგი მოიპოვებს საფუძველს და იქნება ის, რაც ის არის.

შესაბამისად, ადამიანის ყოფნა განსაზღვრულია იმით, რაც მას თავს თავაზობს. ამაში მდგომარეობს ადამიანის სასრულობა. ადამიანი თავად არაფერს არ ქმნის, იგი მხოლოდ ამყოფებს იმას, რაც მას თავს უფლენს. უნარი რაიმე მოვლენის დამყოფებისა არის ადამიანის დროითობა, ანუ — სხვა ყოფიერთა შორის მყოფი სასრული არსების ყოფნის წესის დროითი განსაზღვრულობა.

აღმქმელი არსება, ანუ ისეთი არსება, რომლის ყოფნაც სხვის ყოფნაზეა დამოკიდებული — სასრული არსებაა, ანუ დროში მყოფი, როგორც დროის გამგები. სწორედ დრო არის ის განზომილება, რომელშიაც მოქმედებს უსაფუძვლო არსება იმისათვის, რომ რამენაირად დაფუძნდეს ყოფიერთა შორის, რომელთა ყოფნაზეც იგი დამოკიდებულია. სწორედ დროითობის, დროის გაგების უნარი განსხვავებს ადამიანს სხვა ყოფიერთაგან. დრო არის მხოლოდ იქ, სადაც და რაგვარადაც არის ადამიანი.

ყოველივე ზემოთქმული მ. ჰაიდეგერის ფილოსოფიური მოძღვრების ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია.

ადამიანის თვითდაფუძნების საკითხს ე. ფონ ჰუმბოლდტი ენასთან მიმართებაში აყენებდა. მას მიაჩნდა რომ ადამიანი ენაში აფუძნებს თავს, სიტყვაში ამწყვედვს თავის „მოუხელთებელ გონს“ (ჰაიდეგერის შემთხვევაში „უსაფუძვლო გადაგდებულობა“) და იყენებს სიტყვებს, როგორც საყრდენს ამ გონის „მოუხელთებელი მიზნების“ მისაღწევად. ისინი აღემატებიან იმას, რისა გამოხატავს შეიძლება სიტყვით, მაგრამ ადამიანს ესაჭიროება სიტყვები, რადგან იგი თავს აფუძნებს ენაში [4, გვ. 349, 378].

ადამიანის, როგორც დროით განზომილებაში მყოფისა და შემხვედრ ყოფიერზე მინდობილი არსების, გადაგდებულობის კონტექსტში ჰუმბოლდტის კონცეფცია შემდეგნაირად შეიძლება გავიაზროთ.

ადამიანი როგორც საკუთარი სასრულობის მცოდნე, ანუ დროისცნობიერი არსება, გადაგდებულია ყოფიერთა ტოტალობაში, მაგრამ ეს გადაგდებულობა არ არის უშუალო. ყოფიერთა ტოტალობასა და ადამიანს შორის ენაა, როგორც ის, რაშიაც ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, პოულობს საყრდენს. ასე რომ, ყოფიერთან მისასვლელი გზა ადამიანისათვის ენაში გადის. ენის მიერ ხდება ყოფიერისა და ადამიანის შეხვედრა. ენაში იშლება ის გარემო, რომელშიაც ადამიანი, ამყოფებს რა რაიმე ყოფიერს, თავის თავსაც ახორციელებს. შესაბამისად, ენაში იხსნება დრო, როგორც ის განზომილება, რომელშიც ადამიანს ურთიერთობა აქვს რაიმე ყოფიერთან.

ამდენად, დგება ენისა და დროის, როგორც ყოფიერთა მთლიანობაში ადამიანის ყოფიერების განმსაზღვრელ საწყისთა ურთიერთმიმართების საკითხი. უფრო ზოგადად ეს საკითხი ეხება ენაში დროის გახსნის შესაძლებლობას.

ამისათვის ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ ენისა და დროის ბუნება, რომ დავინახოთ ის საერთო, რაც საფუძვლად ედება მათ კავშირს, რაც შესაძლებლად ხდის მათ ურთიერთქმედებას, რაც მათი ურთიერთდამოკიდებულების პირობაა, იმგვარი ურთიერთდამოკიდებულებისა, რომელიც ადამიანს ახდენს ადამიანად.

დროისა და ენის ბუნებას ჩვენ განვიხილავთ ჰაიდეგერის ონტოლოგიური მოძღვრების კონტექსტში, რადგან ერთი და მეორეც ამ მოძღვრების წამყვან თემებად გვევლინებიან და, შესაბამისად, ეს მოძღვრება გვისახავს იმ ფარგლებს, რომლებშიც შესაძლებელი ხდება ენისა და დროის დანახვა მათ სიახლოვეში.

დრო — ცდაში რაიმეს მოცემულობის პირობაა. კანტი მას გრძნობადი ჰერეტის აპრიორულ ფორმად მიიჩნევდა (სივრცესთან ერთად). დრო და სივრცე არიან წმინდა ინტუიციის ფორმები, რომლებიც ემპირიულ ცდამდე განსაზღვრავენ ამ ცდის შესაძლებლობას, ანუ ხსნიან იმ ჰორიზონტს, რომელშიაც ხდება რაიმეს მოვლინება [10, გვ. 149—50]. დრო ორიენტაციის პორიზონტის გახსნაა. ორიენტაცია ხდება იმაზე რაც თავს ავლენს, თავს თვავობს ცნობიერებას. დრო რაიმე ცდის ცდამდელი პირობაა, იგი ცდამდე აყალიბებს იმ ასპექტს (სახეს), რა ასპექტითაც შეიძლება დანახულ იქნეს რაიმე. დროის აპრიორულობის კანტიანური გაგების ინტერპრეტაციას ჰაიდეგერი წმინდა წარმოსახვის ბუნებიდან გამომდინარე ახდენს.

დრო, როგორც წმინდა, ცდამდელი, ტრანსცენდენტალური წარმოსახვა არის სახეთა, როგორც მოვლინების პორიზონტთა, სახვის აპრიორული უნარი [10, გვ. 151—52]. მოვლინების ეს პორიზონტები, ანუ სახეები, არიან დრო-



ითი ფაზები, ანუ „ახლათა“ ფაზები. ყოველი „ახლა“, როგორც გახსნილობა იმ სახისა, რომლითაც რაიმე შეიძლება შემოვიდეს ორიენტაციის აქტში, ექსტენსიურია და გულისხმობს აწმყოს, წარსულისა და მომავლის ცალსახა ურთიერთგარდამავლობას. დრო არამარტო ორიენტაციის ჰორიზონტის გამხსნელია, არამედ არის უნარი იმ მასალის სინთეზირებისა, რომელიც ორიენტაციის აქტში შემოდის როგორც გრძნობადი მრავალსახა. ემპირიულად მოცემული გრძნობადი მასალის სინთეზირებას დრო ახდენს მოცემულობის სახეთა, „ახლათა“ სინთეზირებით [10, გვ. 178—181].

დრო, როგორც ტრანსცენდენტალური წარმოსახვითი სინთეზი, გულისხმობს სახეთა სახვის სამგვარ მოდუსს, გამომდინარე დროის სამსახოვნებიან. ესენია: 1. რაიმეს აღქმა, როგორც აწმყოსეულის (აპრეჰენზია), 2. რაიმეს რეპროდუცირება, როგორც წარსულის, 3. რაიმეს ცნობა, როგორც მომავლის. ყოველი აწმყოსეული „ახლა“ არ არის რაიმე ფიქსირებული, იგი მიწყვივ წარსულში გადადის. ამ დროს ხდება წარსულისეული „ახლას“ რეპროდუცირება და დაკავშირება აწმყოსეულ „ახლასთან“. აწმყოსეული „ახლას“ და წარსულისეული „ახლას“ ყოველი შერწყმა გულისხმობს შენარჩუნების, რეტენციის პრინციპს. წარსულში გარდასული „ახლა“ უნდა შენარჩუნდეს აწმყოში გახსნილ „ახლასთან“ მიმართებაში, რომ არ მოხდეს კავშირის გაწყვეტა მათ შორის, რაც გამოიწვევდა ორიენტაციის აქტის დანაწევრებას, ცდის მთლიანობის მოშლას.

რეტენცია, როგორც წარსულის შენარჩუნება აწმყოსთან მიმართებაში, ემყარება სახეთა სახვის მესამე პრინციპს — მომავლისეულ სახეთა პროეცირებას. ეს მესამე მოდუსი კანტთან „ცნებითი“ სინთეზის სახელითაა მოხსენიებული. იმისათვის, რომ რაიმე მოვლენის აწმყოსეულმა ასპექტმა შეინარჩუნოს კავშირი მის წარსულისეულ ასპექტთან, ეს მოვლენა თავისი თავისადმი იდენტური უნდა იყოს. მოვლენის ამგვარი იდენტურობის პირობას კანტისათვის ამ მოვლენის ცნება წარმოადგენდა, ანუ, წარსულში გარდამავალი აწმყოს რეტენცია მოვლენის ცნებაზე დამყარებით ხორციელდება. რეტენციის ამგვარი ცნებითობა მიანიშნებს იმ სქემატიზმზე, რომელიც მსკვალავს შემეცნებას საერთოდ, როგორც წმინდა გონებას. ტრანსცენდენტალური შემეცნება, რომელიც ემპირიულის საწინდარიცაა, ემყარება წმინდა ინტუიციის, როგორც გრძნობადი ჭერეტის უნარისა, და განსჯის, როგორც ცნებათა უნარის კავშირს. ამგვარი კავშირი ტრანსცენდენტალურ სქემატიზმში მდგომარეობს. ტრანსცენდენტალური სქემატიზმი არეგულირებს ურთიერთქმედებას დროსა და კატეგორიებს შორის. ტრანსცენდენტალურ შემეცნებაში დრო, როგორც მოვლინების სახეთა მსახავი და მასინთეზირებელი საწყისი, არ მოქმედებს თავისუფლად. მისი მოქმედება განპირობებულია, განსაზღვრულია კატეგორიათა მიერ, ტრანსცენდენტალურ სქემებზე დაყრდნობით. ტრანსცენდენტალური სქემა არის გრძნობადი ჭერეტის უნარის (დროის) დეტერმინირებულობა კატეგორიის მიერ [10, გვ. 116].

რეტენციის ცნებითობის კონტექსტში ეს შეიძლება შემდეგნაირად გავიგოთ: რაიმე კატეგორიაზე დაყრდნობით ტრანსცენდენტალური სქემა ახდენს „ახლათა“ მიმდევრობის დეტერმინირებას, გაფორმებას. ტრანსცენდენტალური სქემა ხსნის იმ არეს, რომელშიც ფიქსირდება აწმყოსეულ „ახლაში“ აღქმულისა და წარსულისეულ „ახლაში“ რეპროდუცირებულის კავშირი. ამდე-

ნად, რეტენცია, როგორც დროითი სინთეზი, იქნეს კატეგორიით განპირობებული, სქემატურ სახეს.

სახეთა სახვის მესამე მოდუსი, როგორც რეტენციის საფუძველი, ჰაიდეგერმა გაათავისუფლა კანტიანური „სქემატიზმისაგან“, ცნებითობისაგან და მისი წმინდა წარმოსახვითი ინტერპრეტაცია მოახდინა.

ეს მესამე მოდუსი ჰაიდეგერისათვის მდგომარეობს საერთოდ რაიმეს დაწინამძღვრებაში. ესაა რაიმეს დაგვეგვა, გა-მზირვა (pro-spect), წინასწარი მოხაზვა, ანუ მომავლის გახსნა. სწორედ მომავალზე, როგორც რაიმეს შესაძლებლობაზე, ორიენტირება ხსნის იმ არეს, სადაც ფიქსირდება აწმყოფელი და წარსულისეული სახეები და მათი კავშირი. დროში სახეთა სახვა და სინთეზირება იმეყარება ამ მესამე, მომავლისეულ მოდუსს, რომელიც პრიმარულია პირველი ორის მიმართ. მომავლიდან ყალიბდება მიმართება აწმყოსა და წარსულს შორის, მომავლიდან დროობს დრო [10, 184—193]. ეს არის წმინდა დრო, წმინდა ინტუიცია, კატეგორიათა დეტერმინიზმისაგან თავისუფალი, წმინდა ორიენტაციის ჰორიზონტის გამხსნელი. საქმე ისაა, რომ სქემატური განსაზღვრულობისას დრო ახდენს გასაგნების ჰორიზონტის გახსნას. იგი იმგვარ სახეს ანიჭებს მოვლენილ ყოფიერს, რა სახეც წინასწარაა განსაზღვრული ტრანსცენდენტალური სქემით, როგორც გრძნობადი მასალის სინთეზირების აპრიორული წესით. ყოფიერი იქნეს სქემატურ სახეს და ამ სახით ფიქსირდება თავის საგნობრიობაში. აქედან — კანტის ძირითადი დებულება, რომ ცდის შესაძლებლობის პირობა თავად ცდის საგნის შესაძლებლობის პირობაა. ის რაც განსაზღვრავს ცდის ბუნებას თავად ცდის ჩარჩოებში მოვლენილის განმსაზღვრელია, როგორც საგნისა.

რაც შეხება დროს, როგორც სახეთა წმინდა მსახავსა და მასინთეზირებელს, კატეგორიათა მიერ განპირობებული სქემატიზმისაგან დამოუკიდებლად მოქმედს, იგი ახდენს არა გასაგნების, არამედ ყოფიერის დამყოფების ჰორიზონტის გახსნას, რასაც გადაგდებულობა ემყარება. ამგვარი დამყოფებისას დრო მკლავნდება თავის პირველად, წმინდა დროითობაში.

როგორც აღინიშნა, ადამიანს ყოფიერთა შორის გადაგდებულად მყოფს, ყოფიერების გარკვეული გაგება გააჩნია, რასაც ემყარება ყოფიერის დამყოფება. ადამიანის მუნ-ყოფნა გულისხმობს რალაცა ლიობას, რომელშიც ადამიანი ეპირისახება რაიმე ყოფიერს. ეს ლიობა წარმოადგენს იმ თავისუფალი ველის გახსნას, განკაფვას, რომელშიც ადამიანი შეიძლება შეხვდეს ყოფიერს. ყოფიერების გაგება განაპირობებს თავისუფლებას, რომელშიც ადამიანი ახორციელებს თავის თავს და ამყოფებს ყოფიერს, რომელზედაც იგი დამოკიდებულია. თავისუფლება არის თანამონაწილეობა ყოფიერის ყოფიერებით დაუფარაობაში [შდრ. 11, გვ. 334—336]. ეს დაუფარაობა, ანუ ყოფიერების ლიობა (რომელსაც უფრო კონკრეტულად ენასთან მიმართებაში განვიხილავთ) ხსნის თავისუფლებას როგორც ჭეშმარიტებას (იქვე). ჭეშმარიტება გულისხმობს ყოფიერის დამყოფებას მის ყოფიერებით დაუფარაობაში, რომელიც იხსნება ადამიანსა და ყოფიერს შორის, როგორც მათი შეპირისახების ველი. ამ ველში უწყის ადამიანმა თავისი თავიცა და ყოფიერიც.

ყოფიერება მის ლიობაში, იმ სახით, რა სახითაც იგი შეიძლება გაეხსნას ადამიანს, არის ა რ ა რ ა. ჰაიდეგერი ერთგან ჰეგელს იმოწმებს, რომელიც წერდა, რომ წმინდა ყოფიერება არის წმინდა არარა [10, გვ. 234]. ადამიანი, რო-

გორც ყოფიერების გამგები, არარაზე ახდენს ორიენტირებას. ამ შემთხვევაში არარა პოზიტიური საწყისია, არარას გახსნილობის ფონზე იხსნება რაიმე ყოფიერი თავის უსაკუთრივეს თავისთავადობაში, როგორც ყოფიერი და არა არარა. არარა ის თავისუფალი ადგილია, სადაც შესაძლებელი ხდება ყოფიერისა და ადამიანის შეპირისხება. „არარა აარარავებს“, ანუ მაქსიმალური სისავით ახდენს ყოფიერს იმად, რაც ეს ყოფიერი უსაკუთრივესად არის [9, გვ. 38].

ამდენად, ყოფიერების ღიაობა ადამიანისათვის არარას გახსნილობაა. ადამიანს არარა ეხსნება როგორც რალაცაზე ორიენტირების ჰორიზონტი. ჰიდევგერს მოყავს კანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დრო და სივრცე, წმინდა ინტუიცია, მიანიშნებენ „რალაცაზე“, მაგრამ არანიეთობრივზე. ეს არანიეთობრივი მაგრამ „რალაცა“ არის — არარა. ამდენად, დრო და სივრცე — არარას ფორმებია [10, გვ. 127, 150]. შესაბამისად, დრო არის არარაზე ორიენტაციის წმინდა ჰორიზონტი. დროით ველში იხსნება არარა, როგორც ყოფიერების ღიაობა. ამგვარად უნდა იქნეს გაგებული დროის არასქემატური ბუნება, როგორც წმინდა ორიენტაციის ჰორიზონტისა, რომელიც არარას ღიაობის ველის გახსნიით ყოფიერს ამყოფებს მის ყოფიერებით დაუფარაობაში.

დრო ყოფიერების გაგების განზომილებაა. დროით ველზე ახდენს ადამიანი თავისი სამყაროს აგებას, ანუ, ახდენს ჭეშმარიტების გაცხადებას, მოიპოვებს თავისუფლებას, რომელშიაც იგი ახორციელებს საკუთარ შესაძლებლობებს, როგორც სასრული და ყოფიერთა ტოტალობაში გადაგდებული. დროის დროობა მომავლიდან, როგორც აწმყოში წარსულის რეტენციის პირობა, ცდის მთლიანობის პირობაა ცნებითი სქემატიზმის გარეშე, ყოფიერის ყოფიერების გაგების მთლიანობის პირობაა.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, ადამიანი უშუალოდ არაა მინდობილი ყოფიერს, მათ შორის ენაა. გზას ყოფიერის ყოფიერებისაკენ ადამიანს უხსნის ენა. როგორ ფუძნდება, ენის მეშვეობით, ადამიანი თავის ძირითად, დროით განზომილებაში, როგორც ყოფიერების გამგები? რა არის ენა და როგორ არის ენაში დრო?

ენის ბუნება ჰიდევგერისათვის გაცილებით უფრო მეტს გულისხმობს ვიდრე ენის წმინდა ადამიანური უნარი. ადამიანი არის ენაში და არა პირიქით — ენა ადამიანში. ენა ყოფიერების ენაა. ყოფიერება ენიდან და ენაში ვლინდება. ენა რალაცას გამოთქვამს, ანუ წარ-მო-აჩენს. თქმისა და წარმოჩენის შინაგანი კავშირი ჰიდევგერმა ამოიკითხა ძველ სკანდინავურ სიტყვაში — Saga, რაც „ჩვენებას“, წარმოჩენას ნიშნავს და ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვას — Sagen, „თქმა“, „გამოთქმა“ [12, გვ. 93].

ენის, როგორც „წარმოჩენი თქმის“ ბუნებას ჰიდევგერი განიხილავს ე. წ. ხ დ ო მ ი ლ ე ბ ი ს ცნების კონტექსტში.

ხლომილება არის ყოფიერების უმარტივესი და უზოგადესი კანონი. ყოფიერის ყოფიერება გულისხმობს იმას, რომ ყოველი ყოფიერი რალაცაირად ხდება, რომ მას რალაცა უხდება და რომ იგი რალაცას უხდება. ხლომილები-სას ყოფიერი ვლინდება როგორც მფლობელი იმ თვისებათა, რომელთაგანაც აიგება ყოფიერის უსაკუთრივესობა, ანუ ყოფიერი ვლინდება მის უსაკუთრივესობაში [12, გვ. 127].

ყოფიერის ხლომილება გულისხმობს ყოფიერის დაყენებას რაიმესთან

რაიმე მიმართებაში. რაიმე მიმართებაში ყოფიერი შემოდის რალაცა სახით, ე. ი. ყოფიერი რალაცასთან მიმართებაში „ხდება“. ყოველი მიმართების ბუნება დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე, ანუ „გახსნილ ადგილზე“, სადაც შეიძლება რომ განხორციელდეს მიმართება. ამდენად ყოფიერის ხდომილება ვულისხმობს თავისუფალ სივრცეს, რომელშიაც ყოფიერი შემოვა, ანუ ჩადგება რალაცა მიმართებაში. ეს არის ყოფიერის ქმნადობის პორიზონტი. ამ პორიზონტში ყოფიერს უხდება ის, რაც მას უხდება და რასაც იგი უხდება. ამ პორიზონტში „ხდება“ ყოფიერი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოფიერს მიმართება განსაზღვრავს. მიმართება თავად ემყარება თავისუფალი სივრცის გახსნილობას, რომელშიაც შეიძლება შემოვიდეს ყოფიერი, როგორც რალაცა არეში. ეს არის ყოფიერის წარ-მო-ჩენა, ანუ იმ ადგილის გახსნა, რომელიც უნდა დაიკავოს ყოფიერმა. ეს არის ყოფიერის დამყოფება და არა ზემოქმედება ამ ყოფიერზე.

19.613

იმისათვის რომ ყოფიერი „მოხდეს“ იგი რალაცავგარად უნდა ეზიაროს ყოფიერებას, მისთვის უნდა გაიხსნას ყოფიერება. ყოფიერების გახსნა კი ვულისხმობს იმ თავისუფალ სივრცეს, რომელშიც დგება ყოფიერი როგორც რალაცა მიმართებაში. ყოფიერის წარმოჩენა არის ყოფიერის დაყენება ყოფიერების ლიაობაში, როგორც მიმართებისათვის გახსნილ სივრცეში [შდრ. 12, გვ. 101, 106].

ყოფიერის წარმოჩენი საწყისი, ანუ ის რაც ახდენს ყოფიერს, ის რაც ყოფიერი მიყავს მის ყოფიერებასთან, არის ენა. ყოველდღიურობიდან ჩვენ ვიცით, რომ რაიმეს შესახებ რაიმეს თქმა არის მისი დაყენება რაიმესთან რაიმე მიმართებაში. ენის ამგვარი ყოველდღიური გამოხატულება მის ზოგადონტოლოგიურ ბუნებაზე მიგვანიშნებს. ჰაიდეგერის ცნობილი სიტყვები — „ენა ყოფიერების სახლია“ [12, გვ. 135] — გვაუწყებენ იმას, რომ ყოფიერება ენაშია, რომ ენა განკაფავს ყოფიერის გზას ყოფიერებისაკენ. ყოფიერი „არის“ იმდენად, რამდენადაც იგი მიმართებაშია, ხოლო ეს მიმართება „არის“ იმდენად, რამდენადაც გახსნილია თავისუფალი არე (ყოფიერებისა), რომელშიაც ყოფიერი უნდა წარმოჩნდეს. ამ თავისუფალ არეს განკაფავს ენა.

ამდენად, ენა შეიძლება წარმოვიდგინოთ შუამავლად ყოფიერისა და ყოფიერებას შორის. ადამიანის განზომილებიდან გამომდინარე შეიძლება დავუმატოთ, რომ ყოფიერება სადაც ყოფიერს მიღმა კი არაა, ან ყოფიერში, არამედ ადამიანსა და ყოფიერს შორისაა — ენაში. ადამიანსაც ენა ახდენს. ადამიანის ესთაქთორიკისი უნარი, რაც მას განასხვავებს — სიტყვის უნარია. ადამიანი უსიტყვება ენას, ანუ ახდენს ენის განსიტყვებას, გახმოვანებას სიტყვაში. ადამიანის ადამიანობა ხორციელდება იმდენად, რამდენადაც იგი სიტყვაში ანხორციელდება ენას. ადამიანის არსებობის უშუალო გარემო ენაა, სადაც იგი ორიენტირებას ახერხებს სიტყვის უნარით [12, გვ. 129]. სიტყვის შემვეობით ეზიარება იგი ყოფიერებას. ენის მოსმენის, გაგების გამო შესწევს მას უნარი ყოფიერების გაგებისა, რადგან ყოფიერება ენაშია. ენაში ეზიარება ადამიანი ჭეშმარიტებას, ანუ თავისუფლებას, როგორც ყოფიერების გაგების არეს, რომელშიაც იგი ხვდება ყოფიერს, ამყოფებს მას, რითაც ამყოფებს თავის თავს. შესაბამისად, ადამიანის დროითობა, როგორც ყოფიერების ლიაობის პორიზონტის გახსნის უნარი, პირდაპირ მიმართებაშია სიტყვასთან, როგორც ენაში ყოფნის უნართან.

2. „მაგნე“. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1990, № 4

საქართველოს
 ს. ს. კვანჭელი
 ბ ი ბ ლ ი ო თ ი კ ა

ენაში ყოფნა — დაუფარაობაში თანამონაწილეობაა. „ალეთეია“ (დაუფარაობა) ძველებერძულად „ქეშმარიტებას“ ნიშნავს. დაუფარაობა არ წარმოადგენს რაიმე შოვლენის უბრალო გამოაშკარაებასა და გამონათებას. ამა თუ იმ სახით გამოვლენილი მიანიშნებს გამოუვლენელზე. რაიმე მოვლენა იხსენება, ნათების არეში შემოდის რაიმე სახით (ეიდოსი) არა ამ ნათების გამო, არამედ იმის გამო რაც ამგვარი ნათებისას დაიფარა. სახის ყოველგვარი გამოვლინება იმდენადაა გამოვლინება, რამდენადაც მიანიშნებს გამოუვლენელზე, ანუ იმ დაფარულზე, რამაც თავის დაფარვით გახსნა მოვლენის გამოვლინების არე (შდრ. გამოქვაბულის პლატონისეული სიმბოლოს ინტერპრეტაცია [8, გვ. 187—190]). წარმოჩენილი სახე (ეიდოსი) — დაფარაობის სახეა, იგი, უპირველეს ყოვლისა, დაფარულს გულისხმობს და არა სახეს. თუკი ეიდოსში დავაფიქსირებთ სახეს, მაშინ გვეყარება ის გამოუვლენელი, რამაც ეს სახე შესაძლებელი გახადა. თუ დავაფიქსირებთ დაფარულს, მაშინ ვაჭრება სახე. ამიტომ, სახე ისეთი უნდა იყოს, რომ თავადვე ინარჩუნებდეს ამ დაფარულს.

ჰაიდეგერი ჰერაკლიტეს კვალს მისდევს, რომელიც ამბობდა, რომ „ბუნებას მალვა უყვარს“. ყოფიერება თავს მალავს. იგი უკან იხევს იმისათვის, რომ გზა მისცეს ყოფიერს. ყოფიერება თავის ჩაკეტვით ხსნის ყოფიერს. ყოფიერების ამდაგვარი თვით-მალვა არის თვით-დაფარვა, რომელიც ხსნის დაუფარაობის ველს და ამ დაუფარაობაში მოაქვლენს ყოფიერს. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ყოფიერების წმინდა სახე არის არარა, მაშინ ყოფიერის დაუფარაობა არის ყოფიერის წარმოჩენა არარაში. არარა, როგორც თვითდამფარავი ყოფიერება აარაავენებს, ანუ ყოფიერს ამყოფებს ყოფიერად და არა არარად. მაგრამ, არარას გახსნა, იმავე დროს ყოფიერის დაფარვაცაა, რადგან, როცა ვლინდება არარა, რაღაცა მუდამ უჩინარდება. ამდენად, ყოფიერის ყოფიერებითი დაუფარაობა არის ქრობადი ყოფიერის წარმოჩენა ქრობადი ყოფიერების დაუფარაობაში. ერთადერთი, რასაც დაუფარავი ყოფიერი გვიცხადებს, არის ის, რომ ეს ყოფიერი არის. სწვა მხრივ, იგი შეუღწევადია. ე. ი. ყოფიერი, თავის მფარავი ყოფიერების ღიაობაში წარმოჩენით, თავის თავს ფარავს. ამიტომაც უწოდებდა ჰაიდეგერი ქეშმარიტებას — ორჯერად შეუვალობა-აყრძალვას [7, გვ. 296].

ქრობადი ყოფიერი და ქრობადი ყოფიერება ურთიერთგანიზიდებიან. ეს ურთიერთგანიზიდვა არის „ენერგეია“, ანუ სინამდვილე, რომელსაც ახდენს ენა, როგორც წარმომჩენი თქმა და რომელსაც ყოფიერი მიყავს ყოფიერებასთან [1, გვ. 305—306].

ხლომილება არამართო წარმოჩენაა, არამედ — წარმოჩენილთა შეპირისახებაც. ყოფიერი „ხდება“ იმდენად, რამდენადაც ეპირისახება სხვა ყოფიერს. ენა წარმოაჩენს და აპირისახებს [12, გვ. 104]. ამდენად, დაუფარაობის ველი შეპირისახების ველია. შეპირისახება არსია და პირობაა ყოველგვარი მიმართებისა. შეპირისახება ურთიერთდამყოფებაა. როგორც ურთიერთდამყოფება იგა შენარჩუნებაა იმ ველისა, რომელშიც ურთიერთდამყოფებელნიცა და მათი შეპირისახებაც შესაძლებელნი გახდნენ. ურთიერთდამყოფება დაუფარაობაში თანამონაწილეობაა. ამგვარი თანამონაწილეობა არის დაუფარაობის დაფარული ველის ღიაობის შენახვა, შენარჩუნება. დაუფარაობაში წარმოჩენილნი ამყოფებენ ერთმანეთს, თანამონაწილეობენ ერთმანეთის ყოფნაში ერთმანეთის

ყოფნიდან გამომდინარე და არა ერთმანეთის რაობიდან თუ როგორაობიდან. ისინი მიანიშნებენ იმაზე, რაც მათ ამყოფებს, ისინი იმდენად ეპირისაზებიან ერთმანეთს, რამდენადაც ამ ველში არიან. მათი შეპირისახება ემყარება მხოლოდ ამ ველში მათ ყოფნას, ანუ თავად ამ ველს, რომელშიც შესაძლებელი გახდა მათი ყოფნა იმგვარად, რაგვარადაც ისინი „აქ“ არიან. შესაბამისად, დაუფარაობის ველში ყოფნა განსაზღვრავს მყოფის რაობასა და როგორობას.

დროისა და დაუფარაობის ზემოაღწერილი ბუნება დაუფარაობის დრო-ითობაზე მიგვანიშნებს. დროით ველში, ყოფიერების გავების ჰორიზონტში იხსნება დაუფარაობა. ადამიანი ამყოფებს ყოფიერს, რომელსაც ახდენს ენა, როცა წარმოაჩენს მას ყოფიერებით დაუფარაობაში, რომელიც ადამიანის ყოფნის წესში ხორციელდება დროით ველზე. ადამიანთან დაუფარაობა, რომელსაც ხსნის ენა, დროით განზომილებას იძენს. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ადამიანსაც და მის ყოფნის წესსაც ენა ახორციელებს, მაშინ მიზეზი იმისა, რომ ყოფიერის ხდომილება გადადის დროით განზომილებაში, ისევე და ისევე ენაში უნდა ვიგულოთ. რითია განპირობებული ენის მიდრეკილება დროისადმი?

ყოფიერის ყოფიერება ენაშია. ენის გარეშე ყოფიერი ნეიტრალურია ყოფიერების მიმართ. თავად ყოფიერება — თვითდამფარავია, თვითდაფარვით უხსნეს იგი ადგილს ყოფიერის ხდომილებას, რასაც ახდენს ენა. ყოფიერის ყოფნისას ყოფიერება ქრება. შესაბამისად, ქრება ყოფიერის კავშირი ყოფიერებასთან, რაც, თავის მხრივ, ყოფიერის ქრობას განაპირობებს. ამდენად, ახდენს რა ყოფიერს, ენას უხდება. მისი ყოფნის შენარჩუნება ყოფიერების ქრობადობაში. იქ სადაც ენა წყვეტს თავის მოქმედებას — აღარც ყოფიერია და აღარც მისი ყოფიერება. ხოლო სანამ მოქმედებს ენა — კავშირი ყოფიერსა და ყოფიერებას შორის არ წყდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოფიერება, ხსნის რა ყოფიერის ყოფნას, თავადაც ინარჩუნებს გახსნილობას, ენის მეშვეობით, ენაში.

შეიძლება ითქვას, რომ ენა თავისებურად უპირისპირდება ყოფიერების მარარავეებლობას, „ნიჰილიზმს“, ერთი მხრივ, და ყოფიერის ნეიტრალურობას — მეორე მხრივ. იგი თავის თავში ინარჩუნებს, ინახავს ყოფიერებას, რომელიც თავისი არსით ქრობადია. ამ დაპირისპირებას შეიძლება თამაშშიც ვუწოდოთ, ენის თამაში ქრობად ყოფიერებასთან. ყოფიერის ყოფიერებაც ამ თამაშითაა განპირობებული: იმდენად რამდენადაც ენა ინარჩუნებს ყოფიერების გახსნილობას — იმდენადვე „ხდება“ ესა თუ ის ყოფიერი. ენის ონტოლოგიური მიზანი ყოფიერების გახსნილობის შენარჩუნებაა. ამ მიზნიდან გამომდინარე ახდენს იგი ყოფიერს.

მაგრამ, როგორც დროის ბუნებაზე საუბრისას აღინიშნა, ყოფიერების გახსნილობის ჰორიზონტი არის დრო. შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ ენა ხსნის დროს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ყოფიერების გახსნილობა. ადამიანი კი ერთადერთია სხვა ყოფიერთა შორის, რომელსაც არ შეუძლია ნეიტრალური დარჩეს ყოფიერების მიმართ, ყოფიერების მარარავეებლობის მიმართ. ადამიანის აფორიაქებულობა, ზ რ უ ნ ვ ა, სიკვდილისაკენ ყოფიერების გაგებით განპირობებული, მიანიშნებს ადამიანის ანგაჟირებულობაზე, დაპირისპირებულობაზე ყოფიერების „ნიჰილიზმისადმი“. ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანი ენის პირმოთა, „ენის ხატად ქმნილი“, ხოლო ენა კი უმაღლესი

საწყისია ყოფიერების „ნიჰილიზმის“ დაძლევისა. შესაძლოა, ენა იმიტომაც ახდენს ადამიანს, რომ განახორციელოს თავისი ძირითადი ინტენცია: ვადალახოს ყოფიერების ქრობადობა. ადამიანური უნარი, დროით ჰორიზონტში ყოფიერების გახსნისა, გულისხმობს ყოფიერის ყოფიერების შენარჩუნებას, რასაც ენა ახდენს ადამიანთან (დროისცნობიერებასთან) ურთიერთქმედებით, სიტყვაში. გავიხსენოთ ადამის ბიბლიური მითი, სადაც ნათქვამია, რომ ღმერთმა სწორედ ადამიანს დაავალა ყოფიერთათვის სახელების დარქმევა.

ადამიანი ყოფიერია სხვა ყოფიერთა შორის, მაგრამ ისეთი ყოფიერი, რომელიც დროს შეიცავს. ამდენად, უშუალოდ ადამიანის სახითაც ხორციელდება ყოფიერის შეყვანა დროით განზომილებაში.

ადამიანის ქმედება სიტყვის არეში, მისი ყოფნის წესი, ადამიანის სულიერი კულტურა, ენაში გახსნილი ყოფიერების შემნახველია. ადამიანის ქეშმარიტი სიტყვა ინახავს იმ ყოფიერის ყოფიერებას, რომელსაც ადამიანი ხვდება მის მიერ გახსნილ დროით ველზე აგებულ სამყაროში. ერთი დროითი არსება მეორეს უტოვებს თავის სიტყვას და ა. შ., რაც ისტორიის უწყვეტ ხდომილებას განაპირობებს. სიტყვის ამდაგვარი მემკვიდრეობითობის უგულუბელოყოფა, სიტყვის გაყალბებით, ან სიტყვის აკრძალვით, იმ ყოფიერთა ყოფიერების ქრობაა, რომელსაც თაობები ინახავდნენ. ყოფიერის ყოფიერებას ენა მანამდე ინარჩუნებს დროითობაში, სანამ ადამიანი ესიტყვება ენას. მსოფლმხედველობათა მოპოვების ადამიანური ტენდენცია მას მუდამ აყენებს ენასთან კავშირის გაწყვეტის საფრთხის წინაშე, რადგან იმ სამყაროს, რომელსაც ადამიანი, თავის დროითობაში, ენასთან შესიტყვებისას ქმნის, მსოფლმხედველობა ცვლის სამყაროს სურათით. მსოფლმხედველობა ასაგნებს სამყაროს და ასაგნებს ენას, როგორც ხელთმყოფ ხელსაწყოს, ანუ ნიშანთა სისტემადა აქცევს და ამ ნიშანთა მეშვეობით ახდენს სამყაროს სურათის მონაკვეთთა ფიქსირებას. ქრისტეს ხატება, როგორც განკაცებული სიტყვისა, მიგვანიშნებს იმ შუამავალზე ენასა და ადამიანს შორის, რომელიც მიწყვი ამყარებს ადამიანის კავშირს ენასთან და აიძულებს, რომ ენასთან ერთად, თავის დროითობაში დაუპირისპირდეს ყოფიერების „ნიჰილიზმს“ და ყოფიერების შემნახველი იყოს.

ამდენად, ენა ქმნის დროს და დროში ინახავს ქრობად ყოფიერებას, რაც თავის მხრივ, ადამიანს ამყოფებს ადამიანად. პირველქმნილი ცოდვის კირკეგორისეული ინტერპრეტაციაც თავისებურად მიგვანიშნებს დროისა და დროითობის ენობრივ წარმოშობაზე. დრო და ისტორია ცოდვის ქმნით დაიწყო, ხოლო თავად ცოდვისქმნის პროვოცირება მოახდინა ენამ — ღმერთისაგან მომავალმა ამკრძალავმა სიტყვამ [შდრ. 2, გვ. 728, 729].

ენის ონტოლოგიური ხასიათით განპირობებული დროითობა, თუკი კვლავ ადამიანის ყოფნის წესიდან ამოვალთ, უფრო კონკრეტულად შეიძლება სიტყვის სტრუქტურის დონეზე განვიხილოთ.

სიტყვის აგებულება სამი საწყისის ერთობლიობას ემყარება: შინაარსი შიდა ფორმა და გარეგანი ფორმა. სიტყვის შინაარსი ინტუირებულ შთაბეჭდილებათა სიმრავლეა, რომელთაც თავს უყრის სიტყვა. გარეგანი ფორმა — სიტყვის აკუსტიკური ელერადობაა, მისი ფონეტიკური მხარეა. სიტყვის შიდა ფორმა კი გულისხმობს სიტყვის მიერ გარკვეული მნიშვნელობის მიღების უნარს, ამა თუ იმ ასპექტით, ამა თუ იმ კონტექსტში სიტყვის შინაარსის წარმოდგენის უნარს. ფაქტიურად შიდა ფორმა განსაზღვრავს სიტყვას, მის ბუ-

ნებას. იგი ამყარებს მიმართებას სიტყვის აკუსტიკურ ნიშანსა და სიტყვის შინაარსს შორის. შიდა ფორმა რაიმეზე ორიენტირების, მნიშვნელობის მიღებისა და შემდგომი გაფართოების ჰორიზონტის გამხსნელია სიტყვისათვის. ამასთან ერთად იგია მნიშვნელობათა სინთეზის პირობა. შიდა ფორმის ქმნალობა იმ ველის გამხსნელია, რომელშიც სიტყვა წარმოაჩენს რაიმე მნიშვნელობას, ანუ მნიშვნელობის წმინდა პირობაა და, შესაბამისად, გულისხმობს იმ თავისუფალ არეს, სადაც სიტყვა ახორციელებს თავის თავს: იძენს რაიმე მნიშვნელობას და ერწყმის სხვას. სიტყვის შიდა ფორმის ქმნალობა მიმართულია იმ ღიაობაზე, რომელშიც ყალიბდება კონტექსტი. ისევე, როგორც ის დაფარული, რომლის დაფარვაც განსაზღვრავს დაუფარაობაში მყოფი ყოფიერის სახეს, შიდა ფორმის ქმნალობა იმ ჰორიზონტის გამხსნელია, რომელიც ვლინდება, როგორც კონტექსტის წმინდა შესაძლებლობა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ შიდა ფორმის ქმნალობა, რომელშიც ხდება რაიმე მნიშვნელობის წარმოჩენა, ორიენტირებულია არარაზე. შიდა ფორმა გულისხმობს არარას გახსნილობას, როგორც მნიშვნელობათა წარმოჩენისა და შერწყმის თავისუფალ სივრცეს, სადაც ყალიბდება კონტექსტი. თუკი ყოფიერის უსაკუთრივესობა არარასთან მიმართებაში ვლინდება, სიტყვის მნიშვნელობის დეტერმინირებაც არარადან ხდება, რომელიც შიდა ფორმის ქმნალობისას იხსნება.

დროის ზემოაღწერილი ბუნების გათვალისწინებით სიტყვის შიდა ფორმის სიახლოვე დროითობასთან აშკარაა. უფრო მეტიც, სიტყვის შიდა ფორმის ქმნალობა ის, რაც ჩვენ გაგებულნი ვგაქვს როგორც დრო. დრო როგორც რაიმეს მოცემულობის წმინდა პორიზონტი სიტყვაშია, სიტყვის შიდა ფორმის ქმნალობაშია, მნიშვნელობათა წარმოჩენის და მნიშვნელობათა სინთეზის პირობაში.

სიტყვის შიდა ფორმაში ხორციელდება ენის მეტაფორული პოტენციალი, (თუკი მეტაფორიზაციაში ვიგულისხმებთ საერთოდ მნიშვნელობათა შერწყმის საფუძველს). სიტყვის შიდა ფორმა შეადგენს დროით ფაზას, ანუ ყოფიერის მოვლინების სახეს (მდრ. ბახტინის აზრი სიტყვის შიდა ფორმის ქრონოტოპულობის შესახებ [3, გვ. 283]). აქედან გამომდინარე, დრო უნდა მივიჩნიოთ ენის მეტაფორულ პოტენციალად. ამგვარად გაგებულნი დრო თავისებრივ მნიშვნელობას იძენს, იგი ენიდან განსაზღვრული თვისებრიობაა და არა უბრალოდ გრძნობადი ჰერეტიკის ფულტურო ფორმა. ამ შემთხვევაშიც შეიძლება ლაპარაკი დროის დეტერმინირებულობაზე, ოღონდ ამჯერად უკვე ენისმიერ დეტერმინიზმთან გვაქვს საქმე და არა ტრანსცენდენტალურ-სქემატურ დეტერმინირებულობასთან, რასაც ადგილი აქვს ყოფიერის გასაგნებისას.

ყოფიერის ყოფიერებისა და დროის შერწყმით ენა ადამიანს ამყოფებს. ადამიანის ყოფნის წესი აზროვნებას გულისხმობს. იგი აზროვნებს მეტაფორიკურად ან პოეტურად. ყოფიერთა მთლიანობაში გადაგდებულად ყოფნისას დროითი გახსნილობის განკავდა ადამიანის მიერ სიტყვის განსაკუთრებულ გავებას ემყარება. ეს არის სიტყვის დამყოფება მის შიდა ფორმაში ისე, რომ მისგან გაიხსნას დროითი ველი. აქცენტი გადადის სიტყვის შიდა ფორმის ქმნალობაზე და არა შინაარსზე. ეს ხატოვანი აზროვნების არსია. მნიშვნელობათა სინთეზი სიტყვის შიდა ფორმირების მიერ გახსნილ ველში, როგორც დროით ველში, პირველადი დროითობაა, ყოფიერების დაუფარაობაა, რომელშიც შესაძლებელი ხდება ყოფიერთან მისვლა. დრო, ყოფიერების გავების პორიზონ-

ტი, იხსნება როგორც თავისუფალი არე ყოფიერთა შორის, ადგილი, სადაც ყოფიერნი შემოდინან და დგებიან თავიანთ ყოფიერებით უსაკუთრივესობაში. დრო ენის მეტაფორული პოტენციალია, ხოლო ეს უკანასკნელი კი ყველაზე სრულად ხატოვან აზროვნებაში ხორციელდება. ამდენად, პოეზიაში მიიღწევა დროის სიტყვიერი გამჭვირვალეობა (მდრ. ექსისტენცის დროის გარდასახვა სიუჟეტურ დროდ [6]).

პოეზიას ახდენს ენა, რაც თავის მხრივ პოეტის ხდომილების პირობაა, როგორც ენის მომსმენისა, რომელიც ენას ესიტყვება. იგი ენას მიყვება და არა მსოფლმხედველობას, რადგან, როგორც აღინიშნა, მსოფლმხედველობა მიგნავს ადამიანსა და ენას. მაგრამ პოეზიამ შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს მსოფლმხედველობას: იქნება ეს პოეზიის აღმქმელის, ანუ მკითხველის, თუ თავად შემოქმედის მსოფლმხედველობა, რომელიც თავისი პოეზიის გააზრებას იწყებს. იმიტომაც არის პოეტის მსოფლმხედველობა უფრო „ნაკლები“ მის შემოქმედებაზე, ან სულაც — შეუსაბამო, რომ პოეტი საკუთარი შემოქმედების ნაწილია და მისგან იღებს ყოფიერთან ურთიერთობის საზომს.

სიტყვისა და დროის სათავისებულ ერთობას ენაში მელოსის საკითხთან მიეყავართ.

მელოსი სიმღერაა. იგი მუსიკის სულია. მელოსი მუსიკალური მელოდის შინაარსია, მისი ბგერითი განხორციელება ქმნის მუსიკალურ მელოდიას. მელოსი წმინდა პროცესულობაა (არისტოტელე), რომელიც განსაზღვრავს, სახავს ბგერათა მიმდევრობას მუსიკალურ მელოდიაში. როგორც წმინდა პროცესულობა, მელოსი დროითი ბუნებისაა. ამასთან ერთად მუსიკალური მელოდია ყოველთვის რაღაცას გამოხატავს, რაღაცა ხატს ქმნის ცნობიერებაში. ის რასაც მუსიკალური მელოდია გამოხატავს არც ცნებითა და არც ნივთობრივი (პროგრამული მუსიკის შემთხვევაშიაც კი მოტივის „საგნობრიობა“ პირობითია). მელოსი, როგორც წმინდა დროითობა, გარკვეული (არანივთობრივი) მნიშვნელობის მიმნიჭებელია მუსიკალური მელოდისადმი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მელოსი მნიშვნელობისა და დროითობის საწყისისებულ ერთიანობას, ერთგვარ საერთო სათავეს გულისხმობს.

მელოსი სცილდება მუსიკის სფეროს. იგი ცნობიერების სიღრმისეულ შრეთა მსკვალავია და სხვადასხვაგვარად ვლინდება ადამიანის ყოფნის წესში (5, გვ. 189—195). რიჰარდ ვაგნერს მიაჩნდა, რომ ენა, როგორც მეტყველება, პირველადი მელოდის ფონეტიკური დანაწევრების შედეგად ჩამოყალიბდა. ჩვენ აქ არ ვანვიცხით იმას, თუ რამდენად სამართლიანია ეს ჰაპოთეზა. მაგრამ იგი უდავოდ საკულისხმოა, რადგან მიგვანიშნებს მნიშვნელობისა და დროის ერთიანობაზე საწყისისებულ მელოსში, საიდანაც წარმომავლობს სიტყვის შიდა ფორმის დროითი ბუნება, დროის ენობრივი არსი.

ლიტერატურა

1. ქართუმიძე ზ. მარტინ ჰაიდეგერი: პოეზია არის სიმღერა. „საუნჯე“, № 1, 1988.
2. Антология мировой философии, т. 3, М., 1971.
3. Бахтин М. М. Литературно-критические статьи. М., 1986.
4. Гумбольдт В. Язык и философия культуры. М., 1985.
5. Карумидзе З. Л. Мифопоэзия и музыкальное формотворчество. «Литературная Грузия», № 4, 1986.
6. Маргвелашвили Г. Т. Сюжетное время и время экзистенции, Тб., 1976.

7. Хайдеггер М. Исток художественного творения. В кн.: Зарубежная эстетика и теория литературы XIX—XX вв. М., 1987.
8. Хайдеггер М. Учение Платона об истине. В кн.: Работы М. Хайдеггера по культурологии и теории идеологии. М., 1981.
9. Хайдеггер М. Что такое метафизика? В кн.: «Новая технократическая волна на Западе». М., 1986.
10. Heidegger M. Kant and the problem of metaphysics. Bloomington & London. 1962.
11. Heidegger M. On the Essence of Truth. In: Existence and Being., by M. Heidegger. Vision., 1949.
12. Heidegger M. On the way to Language. N. Y., 1971.

3. ლ. კარუმიძე

О ТЕМПОРАЛЬНОСТИ И ОНТОЛОГИЧЕСКОЙ ПРИРОДЕ ЯЗЫКА

Резюме

Заброшенность человека, как «сознания времени», в совокупность сущего, не является непосредственным. Между совокупностью сущего и человеком находится язык, в котором человек обосновывает себя в качестве сущего, обладающего способностью слова.

Время, как трансцендентальное воображение, образывает и синтезирует образы, в которых может явиться сущее в рамках опыта.

Исток времени, как горизонта несокрытости бытия сущего, разверзаемого человеком, находится в языке. Бытие утаивает себя. Язык сохраняет раскрытость самоутаивающегося бытия, как простор для произ-ведения сущего в не-потаянность. Эта раскрытость и есть онтологический горизонт времени, в свою очередь разверзаемый человеком, в его ответствовании языку. Человек «свершается в языке, как раскрытость временного поля.

Предопределенная онтологической природой языка темпоральность также проявляется на уровне внутренней формы слова. Внутренняя форма слова подразумевает принцип образования и синтеза аспектов значения слов. Во внутренней форме слова осуществляется метафорический потенциал языка. Внутренняя форма составляет временную фазу, т. е. образ (аспект) явленности сущего.

Исходя из этого, можно заключить, что время является метафорическим потенциалом языка. Понятое таким образом время обретает качественное значение. Оно есть предопределенная языком качественность, а не полая форма чувственного созерцания. В данном случае речь идет о языковой детерминированности времени, в отличие от трансцендентально-схематичной детерминированности, которая имеет место при опредмечивании сущего.



შალვა კახანიანი

ადამიანის მოთხოვნილებებისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევიზიის განვითარების დიალექტიკა

ადამიანის მოთხოვნილებებთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერული კვლევა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში. მის შესწავლას კომპლექსური ხასიათი გააჩნია. მოთხოვნილების არსს, მის შინაარსს სხვადასხვა კუთხით განმარტავენ: ბიოლოგიაში მოთხოვნილების კვლევა წარმოებს, ადამიანის როგორც ბიოლოგიური არსების კუთხით, ფსიქოლოგიაში ფსიქიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, ხოლო პოლიტიკურ ეკონომიკაში, ეკონომიკური კანონზომიერების სპეციფიკასთან კავშირში. ამასთან, თითოეული ზემოთ დასახელებული დისციპლინა ადამიანის მოთხოვნილებას საკუთარი კვლევის საგნად აცხადებს და შესაბამისად პრობლემის კვლევის ვიწრო სფეროთი იზღუდება.

ადამიანის მოთხოვნილების სპეციფიკური არსის, მასში ბიოლოგიური და სოციალური ბუნების ურთიერთმიმართების, სხვადასხვა მოთხოვნილებების კლასიფიკაციის საკითხების კვლევა დღეს ისევე საკამათო და პრობლემურია, როგორც მრავალი წლის წინათ. ამის დამადასტურებელია ადამიანის მოთხოვნილებების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისების სხვადასხვაობა და სიმრავლე. ნებისმიერ ერთ ნაშრომში შეუძლებელია ადამიანის მოთხოვნილებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის განხილვა. ამგვარად ჩვენი მიზანია მოკლედ განვიხილოთ: 1) ადამიანის მოთხოვნილების სპეციფიკური თავისებურებანი. 2) ადამიანის მოთხოვნილებებისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევიზიის (შემოკლებით მტრ) განვითარების დიალექტიკა. ეს უკანასკნელი საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის დამუშავებული, ამიტომ ჩვენ სწორედ მასზე გავამახვილებთ ძირითად ყურადღებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ადამიანის მოთხოვნილების პრობლემისადმი ასეთი ინტერესი შემდეგი მიზეზითაა განპირობებული: „გაადამიანურებულ ბუნებაში“ ყველა პროცესი თუ მოვლენა ადამიანის მოღვაწეობის შედეგია, ხოლო თავად მოღვაწეობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს გარკვეული ადამიანური მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლადაცაა ავი მიმართული. არავის არ შეუძლია რაღაცა გააკეთოს ისე, თუ არ გააკეთა ეს თავისი რაიმე მოთხოვნილების გულისათვის [2, ტ. 3, გვ. 245]. ე. ი. ადამიანური მოთხოვნილების ერთ-ერთი ყველაზე ზოგადი ნიშანია, რომ ის მოცემულია ნებისმიერი ადამიანის მოღვაწეობის შინაარსში, როგორც ამ მოღვაწეობის შინაგანი მიზეზი. მოთხოვნილება, როგორც შინაგანი დანაკლისის განცდა ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვისაა დამახასიათებელი და, შესაბამისად ამისა,

მოთხოვნილება ყველა დონეზე არის მისწრაფება ამ დანაკლისის შევსებისაკენ. როგორც დ. უზნაძე მიუთითებდა, ამ დანაკლისის დასაკმაყოფილებლად „თვითონ უნდა იზრუნოს, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის აქტივობაა დამახასიათებელი ე. ი. ვარესინამდვილესთან გარკვეული ურთიერთობის დამყარება, რომლის გარეშეც, რასაკვირველია არც ერთი მოთხოვნილების დამკმაყოფილება არ შეიძლება“ [1, გვ. 165].

შესაძლებელია, რომ მოთხოვნილება არსებობდეს და მან არავითარი გამოვლენა არ პოვოს, მაგრამ პირიქით, თუკი არსებობს აქტივობა ის ყოველთვის მოთხოვნილების მატარებელია. „მოთხოვნილება აქტივობის წყაროა: იქ, სადაც არავითარი მოთხოვნილება არ არსებობს, იქ არც აქტივობაზე შეიძლება ლაპარაკი“ [1, გვ. 165]. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოთხოვნილების გამოვლენის ფორმაა აქტივობა, როგორც ამ აქტივობის შინაგანი წყარო. მოთხოვნილება თავიდან ბოლომდე განიცდება, როგორც უკმაყოფილება, ორგანიზმის დაძაბული მდგომარეობა, რაც აქტივობის იმპულსს აღძრავს, ეს კი გამიზნულია იქითკენ, რომ დადგენილი იქნეს ორგანიზმში დაკარგული წონასწორობა, ფიზიკური თუ სულიერი მოთხოვნილებების ნაკლოვანებით გამოწვეული. ყველა ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი მოთხოვნილებების საერთო ნიშანია, რომ ის წარმოადგენს აქტიურობის შინაგან წყაროს, ამასთან რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანურ მოთხოვნილებებთან, მის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებულებას შეადგენს მოთხოვნილებების მუდმივი განახლების პროცესი, ამ მხრივ სწორად მიუთითებდა შ. ჩხარტიშვილი რომ „მოთხოვნილება შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროცესი და როგორც თანდაყოლილი და შექმნილი მიდრეკილება“ [14, გვ. 7]. ადამიანური მოთხოვნილებები დამკმაყოფილებას აქტიურობის განსაკუთრებულ ფორმაში მოღვაწეობაში პოულობენ. სანამ გადავიდოდეთ ადამიანის მოთხოვნილების და მოღვაწეობის დახასიათებაზე მოკლედ შევჩერდეთ კიდევ ერთ მომენტზე. საბჭოთა ფსიქოლოგიაში მოთხოვნილების დახასიათების დროს ყურადღება არის გამახვილებული მოთხოვნილების საგანზე, რაც მოთხოვნილების შინაარსში იგულისხმება, სხვანაირად რომ ვთქვათ, მოთხოვნილება რაიმე საგნის, ნივთის, კონკრეტული რეალობის მოთხოვნილებაა, რომლისკენაც მიისწრაფვის სუბიექტი. უზნაძე მიუთითებდა, რომ „მშვიერს, მაგალითად, საჭმელი იზიდავს და მწყურვალს — წყალი“ [1, გვ. 169]. ამ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას საბჭოთა ფსიქოლოგი ლეონტიევი, რომელიც წერს, რომ „მოთხოვნილება თავის თავად, როგორც სუბიექტის მოღვაწეობის შინაგანი პირობა, — ეს მხოლოდ ნეგატიური მდგომარეობაა, საჭიროების, უკმაირისობის მდგომარეობა, თავის პოზიტიურ დახასიათებას ის პოულობს მხოლოდ ობიექტთან შეხვედრის შედეგად... და თავის „გასაგნებაში“ [7, გვ. 5]. მოთხოვნილების განცდას უკმაყოფილებასთან ერთად თან ახლავს ენერჯია, დაძაბული მდგომარეობიდან განთავისუფლებისათვის, რაც მიმართულია ან კონკრეტულ საგანზე ანდა სხვა მდგომარეობაში გადასვლაზე. აქ მეტად საინტერესოა შემდეგი მომენტი: მოთხოვნილების ობიექტი, რომლის უკმაყოფილებას განიცდის სუბიექტი, შეიძლება იყოს არსებული ან საძიებელი, მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანის მოთხოვნილების სპეციფიკა სუბიექტობიექტის ურთიერთგადასვლასა და ერთიანობაშია მოცემული. მიუთითებთ რა მოთხოვნილების როლზე და მნიშვნელობაზე, ადამიანის მოღვაწეობის პროცესში, არ უნდა გავაბახლოვდეთ მათი მნიშვნელობა, როგორც ეს ზოგჯერ

გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, „მოთხოვნილება წარმოადგენს მოცემული ინდივიდის შინაგანი არსების გამოხატულებას, მისი საქციელისა და მოქმედების ყველა მოტივის ღრმა საფუძველს“ [6, გვ. 5].

ჯერ ერთი, არ იქნება სწორი ამა თუ იმ ინდივიდის არსებას შესახებ ვიმსჯელოთ მოთხოვნილების მიხედვით, რამდენადაც ინდივიდის შინაგან არსებაზე უფრო მისი მოღვაწეობა მიუთითებს ვიდრე მოთხოვნილებები. როგორც ზემოთ მივუთითეთ, მოთხოვნილება შეიძლება გააჩნდეს ადამიანს, მაგრამ მან არ წარმართოს შესაბამისი მოღვაწეობა. მეორე მხრივ, მართალია, ადამიანის საქმიანობის შინაარსში მოთხოვნილება ყოველთვის იგულისხმება, მაგრამ მისი შინაარსი ამ უკანასკნელზე არ დაიყვანება. როგორც უკანასკნელი წლების გამოკვლევების მიხედვით ირკვევა, ნებისმიერი ინდივიდუალური ადამიანური თვისება, ნების თავისუფლება, მოთხოვნილება, მიზანი, ინტერესები თავიანთი სპეციფიკურ როლს თამაშობენ სოციალური დეტერმინაციის პროცესში.

ადამიანის მოთხოვნილების პრობლემასთან არის დაკავშირებული მცდელობა, მოცემული იქნეს მისი როგორც სპეციფიკური კატეგორიის თავისებურებების განმარტება. ამასთან, ცალკეული მეცნიერების დარგებში სხვადასხვა ინტერპრეტაციაა მოცემული და არ არსებობს ერთიანი აზრი, რის გამოც ეს ამოცანა დღემდე გადაუჭრელია.

აქედან გამომდინარე, დასახელებული საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს. საბჭოთა მკვლევარები ა. ლევინი და ა. იარკინი მიუთითებენ: პირადი მოთხოვნილებების სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გამოდიან, როგორც საზოგადოებრივი წევრების მისწრაფება მიაღწიონ ცხოვრების გარკვეულ პირობებს და მით უზრუნველყონ მაქსიმალური კეთილდღეობა [2, ტ. 3, გვ. 55]. მოთხოვნილება ამ შემთხვევაში დახასიათებულია როგორც მისწრაფება და არ ჩანს განსხვავება მათ შორის, მეორეც, საზოგადოების მოთხოვნილება არ დაიყვანება მხოლოდ მაქსიმალური კეთილდღეობის დაკმაყოფილებაზე.

ზემოთ დახასიათებული ზოგიერთი მითითებიდან ჩანს, რომ ადამიანის მოთხოვნილებების განხილვას უშუალოდ მიეყვართ მოღვაწეობის კატეგორიასთან. ეს კავშირი ზოგადად იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი თავის სპეციფიკურ მოთხოვნილებებს მოღვაწეობის მეშვეობით იკმაყოფილებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოღვაწეობა განმსჭვალულია მოთხოვნილების შინაარსით და წარმოადგენს მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას. ადამიანის მოთხოვნილების კავშირი მოღვაწეობასთან გვაინტერესებს შემდეგი გარემოების გამო: უზნაძემ ყურადღება მიაქცია შემდეგ ფაქტს, რომ სუბსტანციონალური მოთხოვნილებებისაგან განსხვავებით, რომელთა დაკმაყოფილება მათ დასასრულსაც ნიშნავს არის აგრეთვე ფუნქციონალური მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება შეიცავს შესავალს ახალი მოქმედებისათვის. ამდენად, ეს უკანასკნელი უწყვეტი ხაზის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ და კიდევ ერთი მომენტი — ფუნქციონალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საგანში ცვლილების შეტანასთან არის დაკავშირებული ე. ი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა უბრალო აქტივობასთან, რომელიც ნებისმიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის საჭირო, არამედ აქტივობასთან, როგორც შემოქმე-

დებითი მოღვაწეობის აქტთან. უნდა შევნიშნოთ, რომ მოღვაწეობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე აქტიურობა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამიტომ ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომლის მიხედვით მოღვაწეობაში მხოლოდ აქტივობაზე და მოთხოვნილებებზეა ხაზი გასმული, „მოღვაწეობასთან ჩვენ საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც აქტივობის საგანი, ამასთან ერთად, წარმოადგენს მოთხოვნილების საგანსაც“ [5, გვ. 32].

როდესაც ადამიანის მოთხოვნილებებზე ვლაპარაკობთ ექვს არ იწვევს მასში ბიოლოგიური და სოციალური მომენტების ერთიანობა. ყოველ კონკრეტულ პიროვნებაში მოცემულია კონკრეტული ისტორიული ეპოქის შეაბამისი მოთხოვნილებები. მოთხოვნილების და აქტივობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში არსებობს საინტერესო მოსაზრება, რომ სხვადასხვაგვარი აქტივობანი დეტერმინირებულნი არიან თანდაყოლილი ინსტიქტებით. ერთ-ერთი ავტორის მიხედვით, „ისინი გამოაყენებია ადამიანის მიერ „მასალის“ სახით, რომლისაგანაც ის ჩამოაყალიბებს მტკიცე ხასიათის მოთხოვნილებებს“ [4, გვ. 111].

აქ მეტად საყურადღებო მომენტია ხაზგასმული, რომ ადამიანი შეაჩრევს, მობილიზაციას უყეუებს, განსაზღვრავს სოციალური ხასიათის მოთხოვნილებებს. ეს ერთ-ერთი არსებითი მექანიზმია ბიოლოგიურისა და სოციალურის ურთიერთდამოკიდებულებაში და ადამიანური მოტივირების სფეროში. ამასთან, ავტორი გამოყოფს მოღვაწეობის კავშირს მოთხოვნილებასთან და ამ პროცესში სოციალური შინაარსის ღირებულების მნიშვნელობას, მოღვაწეობის მოთხოვნილებას იგი განიხილავს, როგორც „აქტივობის ზოგადბიოლოგიურ მოთხოვნილებას“ [4, გვ. 112].

ერთ-ერთი მომენტი, რომელიც მოთხოვნილებებსა და მოღვაწეობას აერთიანებს არის დაკმაყოფილების შესაბამისი ობიექტების ძიება და შერჩევა. ამ შემთხვევაში დომინირებს პიროვნების შინაგანი ბუნება, მისი ღირებულებების შკალა. რამდენადაც, როგორც ვიცით, არჩევანის გაკეთება მიუთითებს და ახასიათებს არა მარტო ამორჩეულს, არამედ ამომრჩეველსაც. როდესაც ვლაპარაკობთ მოთხოვნილების საფუძველზე ჩამოყალიბებული მოღვაწეობის შესახებ, მხედველობაში გვაქვს, როგორც მოთხოვნილების, ისე მის დასაკმაყოფილებლად წარმართული მოღვაწეობის ინდივიდუალური შინაარსი და გამოვლენის ფორმა, ამიტომ არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ ერთი და იმავე მოღვაწეობას შეუძლია რეალიზაცია გაუკეთოს სხვადასხვა მოთხოვნილებებს.

რაც შეეხება თავად მოღვაწეობას, საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტერმინი იხმარება არაერთმნიშვნელოვნად. ავტორთა შორის არ არსებობს ერთიანი აზრი მოცემული ტერმინის შინაარსობრივი და სტრუქტურული მხარეების შესახებ. მართალია, ყველა ავტორი აღიარებს, რომ მოღვაწეობა ეს არის ცოცხალი ორგანიზმების აქტივობის უმაღლესი ფორმა, მაგრამ, ამასთან, მკვლევართა ერთი ჯგუფი: ა. ლეონტიევი, ლ. სტანკევიჩი, ე. მარქარაანი და სხვები, მიიჩნევენ რომ მოღვაწეობა დამახასიათებელია მთელი ორგანიზმი სამყაროსათვის. არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, რომელიც ცნობილ საბჭოთა მეცნიერს ს. რუბინშტიცის ეკუთნის, იგი პირველ რიგში ერთმანეთისაგან ასხვავებს მოღვაწეობას და აქტივობას. „მოღვაწეობის და მოქმედების შესახებ, — წერს ავტორი — სიტყვის სპეციფიკური აზრით, ჩვენ ლაპარაკი გვექნება მხოლოდ იქ, სადაც ადგილი აქვს ზემოქმედებას, გარემო სინამდვი-

ლის ცვალებადობას. მოღვაწეობა სიტყვის საკუთარი გაგებით — არის საგნობრივი მოღვაწეობა, ეს არის პრაქტიკა“ [13, გვ. 99].

მოღვაწეობა ვეფიქრობთ მხოლოდ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი შემდეგი მოსაზრების გამო: ჯერ ერთი, მოღვაწეობის პროცესში ხდება როგორც ობიექტის „გადასვლა“ სუბიექტში ისე სუბიექტის ობიექტში. მოღვაწეობა არა მარტო აერთიანებს ამ ორ მხარეს, არამედ ამ ერთიანობის საფუძველზე ახალს ქმნის, როგორც „გადაადამიანურებული ბუნების“ საგანს. სწორედ ამითაა განპირობებული მოღვაწეობის შედეგების მრავალფეროვნება. გარდა ამისა, უზრრობა იქნება ვილაპარაკოთ ცხოველის შრომითი, მეცნიერული, შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ. არასოდეს არ ჰქონია ადგილი ცხოველების მოქმედების შედეგების მრავალფეროვნებას და პროგრესს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად იქნა ვაკრიტიკებული მ. კავანის მოსაზრება, რომელიც მოღვაწეობაში სამ ელემენტს გამოყოფდა, სუბიექტი რომელსაც გააჩნია აქტივობა, რომელიც მიმართულია ობიექტზე ან სხვა სუბიექტზე. ობიექტი რომელზედაც მიმართულია სუბიექტის აქტივობა და თავად აქტივობა, რომელშიც გამოხატულია ობიექტის დაუფლების უნარი. მოღვაწეობა მატერიალური და იდეალური მომენტების ურთიერთგამსჭვალვის პროცესია. მისთვის ახლის შექმნის მომენტია მთავარი. აქედან გამომდინარე, მოღვაწეობა არის ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილების განსაკუთრებული წესი, განსაკუთრებული იმიტომ რომ მოთხოვნილება ობიექტისა და სუბიექტის წინააღმდეგობაში გამოიხატება საერთოდ, ხოლო ეს პროცესი მოღვაწეობაში გადადის აღნიშნული მხარეების მონაწილეობით, როდესაც ეს წინააღმდეგობა გადაილახება. ადამიანთა საზოგადოების მთელი არსებობა არის სწორედ მოღვაწეობის პროცესი. აქვე უნდა შევნიშნოთ, წინააღმდეგობის გადალახვას მხოლოდ დროებითი ხასიათი გააჩნია. ადამიანური ბუნების განვითარების კანონში ჩადებულია ის, რომ როგორც კი უზრუნველყოფილი იქნება ერთი ჯგუფის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მაშინვე გამოთავისუფლდებიან, ჩამოყალიბდებიან ახალი მოთხოვნილებები [2, ტ. 47, გვ. 254].

მას შემდეგ რაც ნათელი ხდებდა რომ მოთხოვნილება მოღვაწეობის მიზეზი და ერთ-ერთი წამყვანი ელემენტია, ისმება კითხვა რა ფორმითა და საშუალებებით ხდება მოთხოვნილებების დაკმაყოფილება? მოთხოვნილებები პიროვნების შინაგან ბუნებაში პოულობენ ასახვას, ინტერესების, მიზნების, მისწრაფებების და შესაბამისი დაკმაყოფილების გზების არჩევანში. ადამიანის მოთხოვნილებაში თავად არის იმის მისწრაფება, რომ ყველაზე ადვილი ხერხებით, მეთოდებით, ენერჯიის რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით, იქნეს დაკმაყოფილებული მისი ესა თუ ის კონკრეტული სახე. სწორედ აქ მივადექით საკითხს ადამიანის მოთხოვნილებებსა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ეს ურთიერთდამოკიდებულება კი პირდაპირ თუ არაპირდაპირ გაშუალებულია წარმოებით. ეს უკანასკნელი კი, როგორც საზოგადოების არსებობისა და განვითარების აუცილებელი და განსაზღვრული პირობა, ყოველთვის რომელიმე ადამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. თავად, როგორც პიროვნული ისე საზოგადოებრივი მოთხოვნილებები, წარმოების განვითარებით არის განპირობებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება იწ-

ვევს სხვა მოთხოვნილებების გაჩენას და ეს თავისთავად უზიძგებს წარმოების განვითარებას. ისტორიის განვითარების პროცესში კი მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების საშუალებები ურთიერთს განაპირობებენ და წარმოშობენ. ე. ი. მოთხოვნილებისა და დაკმაყოფილების პროცესები ურთიერთდაპირისპირებულნი არიან. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და ერთდროულად ერთმანეთს გამორიცხავენ. ჩვენ ამჟამად გვიანტერესებს თუ რა როლს ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ამ ურთიერთობის პროცესში.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ამ საკითხის განხილვაზე უნდა გამოვყოთ ადამიანის მოთხოვნილების არსებითი ნიშნები. ადამიანის მოთხოვნილებებს გააჩნიათ როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ბუნება. პირველ რიგში მოთხოვნილებები ამა თუ იმ ინდივიდის აქტივობის, მისწრაფების შინაგანი გამოხატულებაა. ისინი გაცნობიერდებიან მიზნებში, სურვილებში, მოტივებში. ამასთან, მოთხოვნილებების გარეშე არ არსებობს ადამიანის მოღვაწეობა, წარმოება და საერთოდ ადამიანის საქმიანობა. ყოველივე ეს ბაღებს საფუძველს ვიფიქროთ, თითქოს სუბიექტური მომენტის განმსაზღვრელი იყოს. ადამიანის მოთხოვნილებების ობიექტური ხასიათი მდგომარეობს შემდეგში: ჯერ ერთი, ისინი გაშუალებული არიან საზოგადოებრივი ურთიერთობებით, მოთხოვნილება როგორც ასეთი, ცალკე აღებული არ არსებობს. მათი შინაარსი არასოდეს არ სცილდება საერთო საზოგადოებრივ და ადამიანურ შესაძლებლობებს. მოთხოვნილებების ობიექტურ ხასიათზე მიუთითებს აგრეთვე ის გარემოება, რომ სხვადასხვა სოციალური გარემო სხვადასხვა მოთხოვნილებებს წარმოშობს.

მოთხოვნილებების ობიექტურ ხასიათზე მიგვანიშნებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას თან ახლავს უკმაყოფილებაც, ჯერ ერთი, იმით, რომ მას უჩნდება ახალი მოთხოვნილებები, რომლებიც უკვე დაკმაყოფილებული მოთხოვნილებების ნაკლოვანი მხარეების აღმოჩენის საფუძველზე ჩნდება. ამდენად, ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უკვე შემოქმედებით მიღვამას მოითხოვს ადამიანის მხრივ. მოთხოვნილება შეიძლება ეხებოდეს არსებულ ობიექტს ანდა სრულიად ახალ ობიექტს, რომლისკენაც გზა მტრ პროცესში შემდეგ მომენტებს გულისხმობს: საჭირო მოთხოვნილებას, მოღვაწეობას, წარმოებას მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების საშუალებით.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის წარმოშობა წარმოების განვითარების ზოგად კანონზომიერებასთან არის დაკავშირებული. მრეწველობაში მომხდარი რევოლუცია ბუნებრივად აყენებს მოთხოვნილებას მეცნიერების და ტექნიკის მიმართ. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას თავად აქვს თავისი საკუთარი განვითარების შინაგანი აუცილებლობა. ეს ორი მომენტი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რაც ნიშნავს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის აღმოცენებისადმი ინტერესი თავად გულისხმობს საფუძველად ცალკეული ადამიანების ჯგუფების თუ საზოგადოების მოთხოვნილებებს. ამიტომ ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას თითქოს: „მტრ-ის სუბიექტი მის პირველ ეტაპზე მოღვაწეობისათვის წაქეზდება არა ამა თუ იმ სახალხო მეურნეობის, სამხედრო, იდეოლოგიური მიზნებისა თუ მსგავსი პრობლემების გადასაწყვეტად. პიროვნება სუბიექტურად



განიცდის საგნისადმი, როგორც ასეთისადმი, გატაცებას, სამყაროს შეფენებისაკენ გატაცებას „მეორე ბუნების“ — ტექნიკის, შესაქმნელად, განურჩევლად მომავლის პრაქტიკული შედეგებისა“ [10, გვ. 20].

მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენები დაკავშირებულია იმ პრობლემების გადაწყვეტასთან, რომლებიც უკვე მტკიცედ არიან დამკვიდრებული საზოგადოებაში, გამომდინარეობენ საზოგადოების მოთხოვნილებებისაგან. ბოლომდე ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაშიც, თითქოს ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებებზე მოთხოვნილება ჩამოყალიბების პროცესში ძალიან სუსტია თავისი აბსტრაქტულობით და არაკონკრეტულობით [10, გვ. 21]. მისი აზრით, ეს გამოწვეულია ახალი შესაძლებლობის არასაკმარისი განსაზღვრულობით, რომ ყველაფერი ახალი არასრულყოფილია და ამიტომ ისინი როგორც წესი მოითხოვენ გადამუშავებას. ჯერ ერთი, წარმოების პროცესს თან ახლავს მოთხოვნილება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების საშუალებით შეიქმნას ისეთი წარმოების იარაღები, რომელთა მეშვეობით უფრო ნაკლები ფიზიკური და გონებრივი ძალების დახარჯვით შეიქმნება უფრო მეტი და სრულყოფილი პროდუქცია.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოთხოვნილებების დადებითი ფუნქცია და როლი სწორედ იმაშია, რომ ის სიახლესთან ერთად სრულყოფისა და გაუმჯობესების მუდმივი შინაგანი მამოძრავებელი წყაროა.

ნოვატორის ან გამოგონებლის მიერ სიახლის შექმნა ტექნიკის სრულყოფის გაზრდილ მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს, ამასთან ტექნიკის სრულყოფა ახალი მეცნიერული აღმოჩენების საფუძველზე მოთხოვნილებების სრულყოფის წყაროც არის. ამ მხრივ მოთხოვნილებებსა და მტრ-ის პროგრესს შორის ორმხრივი ურთიერთგანმსაზღვრელი დამოკიდებულება არსებობს, რაც ნიშნავს შემდეგს: რამდენადაც საზოგადოებაში არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არ შეუძლია მტრ-ის არსებულ დონეს, ამდენად, ეს უკანასკნელი თავად წარმოშობს ახალი მატერიის ჩამოყალიბების აუცილებლობას. მოთხოვნილებები, წარმოების პროცესი და მტრ-ი იმყოფებიან ურთიერთგანპირობებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ დამოკიდებულებაში. საზოგადოებრივი წარმოება ქმნის იმის წინამძღვრებს და საფუძველს, რომ ჩნდება მოთხოვნილება ახალ საგნებზე, რომლებიც ჯერ არ მზადდება ან მზადდება ცოტა, მაგრამ მოთხოვნილება უკვე არის მათზე. მოთხოვნილება როგორც მიზანი წინ უსწრებს წარმოებას, ეს უკანასკნელი კი ცდილობს დაეწიოს მოთხოვნილების განვითარებას. მოთხოვნილებისა და მოხმარების გარეშე, როგორც მარქსი მიუთითებდა, წარმოება უაზრო იქნებოდა. წარმოება ამოსავალი პუნქტია ხოლო საჭიროების სახით, მოთხოვნილების სახით, მოხმარება თავად არის წარმოებითი მოღვაწეობის შინაგანი მომენტი [2, ტ. 46, ნ. I, გვ. 30]. ე. ი. ჯერ ერთი, წარმოება უაზრობაა, თუკი ის არ არის ადამიანის გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაც ნიშნავს წარმოების კონკრეტულ ხასიათს და შინაარსს, ხოლო მეორე მხრივ, თავად წარმოების პროცესიდან გამომდინარეობს მოთხოვნილება მისი სრულყოფის მიზნით, რომლისთვისაც მტრ-ი საშუალებაა.

მოთხოვნილებები და წარმოების პროცესი მუდმივ ურთიერთდაპირისპირების პროცესში იმყოფებიან, რომელიც გადაიჭრება და კვლავ წამოიჭრება. ეს წინააღმდეგობა, ამასთან, მათი ურთიერთგანვითარების მიზეზია. წარმოების

განვითარებასთან ერთად, კვდება აგრეთვე მოთხოვნილებების განვითარება, რაც ნიშნავს, ჯერ ერთი, ძველი მოთხოვნილებების ადგილზე ახალი მოთხოვნილებების ჩამოყალიბებას, სხადასხვა მოთხოვნილებების თანაფარდობის ცვალებადობას და პიროვნების მოთხოვნილებების სრულყოფას ისტორიული განვითარების პროცესში — მოთხოვნილებების გადაადამინურებას, ე. ი. ხდება მოთხოვნილების არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი პროგრესი. მტრ-ის თანამედროვე პირობებში ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს. სულ უფრო მაღლდება პიროვნების განათლების, სოციალ-პოლიტიკური მოღვაწეობის ტექნიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მოთხოვნილებები. მტრ-ის პირობებში მოთხოვნილებების თავისებურებები ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული. ჯერ ერთი, რამდენადაც ადამიანი თავის როგორც ფიზიკურ ისე გონებრივ ფუნქციებს თანდათან მანქანას ასრულებინებს, ამდენად, მტრ-ის პროგრესი ადამიანის წინაშე აყენებს ისეთ მოთხოვნილებებს, რომელთა ვადაწყვეტა მანქანას არ შეუძლია. ესენია: აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა, სოციალური და ტექნიკური მართვის სრულყოფა, მტრ-ის წარმართვა სწორი მიმართულებით, ეკოლოგიური პრობლემების დროული გადაჭრა, გლობალური ხასიათის ამოცანების ღრმად შესწავლა. აღნიშნული პრობლემების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანისა და მანქანის ურთიერთობის პროცესი შემოქმედებით ინტელექტუალურ მოღვაწეობასთან ერთად უდიდეს პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული.

საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოა როგორც მტრ-ის ჩამოყალიბების პერიოდი, ისე მიზეზები. ასე მაგალითად, ა. გუსაროვი, ვ. რადიევი ასეთ პერიოდად აცხადებენ XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისს. ვ. გლაგოლევი მეორე მსოფლიო ომს, ხოლო ა. კუდრაშევი ელექტრო-ვამომთვლელი მანქანების გამოყენებას. ვფიქრობთ, მტრ-ის ჩამოყალიბება იმ დროიდან იწყება, როდესაც წარმოება, მეცნიერება და ტექნიკა ურთიერთგანპირობებულ ერთიან სისტემას ქმნიან და ემსახურებიან საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ადამიანს შეუძლია ერთი და იგივე მოთხოვნილება, მაგალითად, მიწის დამუშავება მოახდინოს სხვადასხვა გზით. ხის კავით, რკინის გუნთით და ტრაქტორითაც; ანდა წავიდეს ერთი ადგილიდან მეორეზე ფეხით, ცხენით ან თვითმფრინავით. მტრ-თან საქმე გვაქვს როცა საზოგადოების მოთხოვნილებების საფუძველზე სულიერი მოღვაწეობის თვისებრივი სიახლე მეცნიერების და მატერიალური ტექნიკის სახით პროგრესულ გადატრიალებას ახდენენ წარმოების პროცესში. მეცნიერებისა და ტექნიკის თვისებრივ სიახლეში იგულისხმება არამარტო ახალი მანქანა-დანადგარები, არამედ ისეთი (განსაკუთრებით მსუბუქი, ღრეკადი, ცეცხლგამძლე) მასალების დამზადება, რომლებიც ბუნებაში არ მოიპოვებიან. ასევე ენერჯის ახალი სახეების — ელექტრო, ატომური, თერმობირთვული, რომელთა შექმნა მეცნიერების გარეშე შეუძლებელია. ე. ი. იმ დროიდან, როდესაც საზოგადოებაში გაჩნდა მოთხოვნილება ისეთი შინაარსის მეცნიერული ცოდნისა, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო წარმოების შემდგომი განვითარება, იწყება მტრ-ია. რევოლუციური ცვლილებები მეცნიერებაში ახალი მოთხოვნილებების ზეგავლენის შედეგია, რომლებიც ჩნდებიან ტექნიკაში და წარმოებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით სწორად მიუთითებს ჯ. ბერნალი თავის წიგნში „მეცნიერება საზოგადოების ისტორიაში“, სადაც იგი წერს, რომ ტექნიკური ცვლილებები

თავის პირველ სტადიაში, რომლებიც ეკონომიკის მოთხოვნილებებით იყვნენ განპირობებულნი, მიმდინარეობდნენ მეცნიერების ჩარევის გარეშე. ამდენად მეცნიერების გადაქცევას უშუალო საწარმოო ძალად ღრმა სოციალური საფუძველი გააჩნია, ეს პროცესი, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ხასიათის ამოცანების, ბუნების მეტად ღრმა საიდუმლოებების ამოცნობის მოთხოვნილებით იყო განპირობებული და შესაძლებელი, ამიტომ შეცდომა იქნებოდა ამ საკითხში მხოლოდ რომელიმე ერთ მიზეზზე მიგვეთითებინა. „ღრმა სოციალური ფაქტორები, რომლებიც მოუწოდებენ მეცნიერებას ცხოვრებისაკენ და განსაზღვრავენ მის მნიშვნელობას, ამა თუ იმ მეცნიერის მიღვაწეობის სუბიექტურ-ინდივიდუალურ მოტივებში აღმოჩნდნენ დაფარული“ [10, გვ. 88].

გნოსეოლოგიურ ფუნქციასთან ერთად მეცნიერება არ შეიძლება დაცლილი იყოს სოციალური მოთხოვნილებებისა და ინტერესებისაგან, არ შეიძლება ის განვიხილოთ თავისთავად საზოგადოებისაგან მოწყვეტილად. პირიქით, იგი ადამიანს სწორედ ბუნებაში თავისუფლების, თავისი ადამიანურობის მოპოვებისათვის სჭირდება. პავლოვის სიტყვებით ის არის „იარაღი გარემომცველ სინამდვილეში და თავისთავში ადამიანის მაღალ დონეზე ორიენტაციისათვის“ [11, გვ. 490].

ცხოველისაგან გამოყოფისათვის ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ცოდნა სჭირდება. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ზოგიერთ ავტორს, თითქოს ეს ცოდნა თვითმიზანი იყოს. ასე, მაგალითად, კ. იასპერსი, მართალია, არ უარყოფს მეცნიერების სამსახურს ცხოვრებისეული მოთხოვნილებებისათვის, მაგრამ მიიჩნევს, რომ ასეთი სამსახურისათვის მეცნიერება არაა მოწოდებული. „წინააღმდეგ მეცნიერების დამცირებისა, დაუქვემდებარონ იგი ტექნიკასა და ცხოვრებისეულ პრაქტიკას, მეცნიერება ჩამოყალიბდება, როგორც თვითმიზანი, როგორც მისწრაფება, დასაწყისიდანვე ცოდნისაკენ მისწრაფება“ [15, გვ. 45]. თანამედროვე მტრ-ის პირობებში მეცნიერულ კვლევას კომპლექსური ხასიათი გააჩნია, რაც განპირობებულია, როგორც საკვლევი, ისე შესაქმნელი ობიექტების სირთულით. ასე მაგალითად, თანამედროვე წარმოებაში მეცნიერ-ტექნიკური მოწყობილობების შექმნა ხდება მათემატიკის, ქიმიური ტექნოლოგიის, ფიზიკური კანონზომიერების ცოდნის, თანამედროვე ადამიანის ფსიქიკის გათვალისწინების საფუძველზე. ე. ი. მტრ-ის პერიოდში საზოგადოების ამოცნების კვლევას, ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მეცნიერების სხვადასხვა დარგი ემსახურება. მეცნიერების მიღწევები ღრმად შეიჭრა სოციალური სფეროს ყველა დარგში. ყოველივე ეს თანამედროვე ადამიანის განუყოფელი კომპონენტი გახდა. აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ თანამედროვე მტრ-ის უკუშეგავლენა ადამიანის მოთხოვნილებებზე. დღეს ყველაზე მეტად, ვიდრე არასდროს, მეცნიერების და ტექნიკის საშუალებით ყველა კულტურული მიღწევა გლობალური ხასიათისაა, ყველასათვის მისაწვდომი ხდება. ეს კი უდიდეს ბიძგს აძლევს მოთხოვნილებების მასიურ პროგრესს. მოთხოვნილება ჯერ ჩნდება იმაზე, რაც არის ამა თუ იმ დროის გარკვეულ პერიოდში და, ამასთან, დაკმაყოფილების საუკეთესო ვარიანტს წარმოადგენს. მტრ-ის უახლესი მიღწევები ამ მხრივ არნახულად აჩქარებს ადამიანის მოთხოვნილებების ზრდას. საერთოდ კი, წარმოების პროცესი ხდება

მოხმარებისთვის, ხოლო მოხმარების პროცესი, ამასთან, მოთხოვნილებების ჩამოყალიბების პროცესიცაა. ეს წინააღმდეგობა ობიექტ-სუბიექტს შორის მუდმივი გადაჭრისა და ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, როგორც მარქსი მიუთითებდა: ამიტომ წარმოება აწარმოებს არა მარტო საგანს სუბიექტისათვის, არამედ, ასევე, სუბიექტსაც — საგნისათვის [2, ტ. 12, გვ. 718].

თუკი დავაკვირდებით, ამ პროცესში სუბიექტი ყოველთვის განახლებული ფორმით გვევლინება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველი შექმნილი ობიექტი ამასთან ქმნის „ახალ“ სუბიექტს. წინააღმდეგობის ჩამოყალიბებისა და გადაჭრის აღნიშნული პროცესი მტრ-ის განვითარების პროცესში ინტენსიურად მიმდინარეობს.

ადამიანის მოთხოვნილებების და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ურთიერთკავშირს ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. უძველესი დროიდან მოყოლებული, ნილოსზე წყლის დონის აწევას და დაცემას უკავშირდება ეგვიპტური ასტრონომიის შექმნა, გემთმშენებლობა, და სამხედრო საქმე, მათემატიკური ცოდნის აუცილებლობა და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნილებებსა და მეცნიერულ-ტექნიკურ აღმოჩენებს შორის არის როგორც უშუალო, ისე გაშუალებული დამოკიდებულება. ამასთან, მეცნიერების ყურადღების ცენტრში სულ უფრო მეტად დგება თვითონ ადამიანი, მისი რეალური განვითარებადი მოთხოვნილებები. ენგელსის ცნობილი გამოთქმა რომ ვინმართ, თუკი საზოგადოებას გაუჩნდება ტექნიკური მოთხოვნილება, მაშინ ეს უფრო მეტად წასწევს წინ მეცნიერებას, ვიდრე ათობით უნივერსიტეტი [2, ტ. 39, გვ. 174].

ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ ავტომატიზაციის მეშვეობით „შესაძლებელი ვახდა გამჭარალიყო ისტორიულად ჩამოყალიბებული წინააღმდეგობა ტექნიკის სრულყოფის საზოგადოებრივ მოთხოვნილებასა და ადამიანური ორგანიზმი შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის“ [15, გვ. 19]. ეს აზრი, ვფიქრობთ, არ არის სწორი შემდეგი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ავტომატიზაციის მეშვეობით ადამიანის მოთხოვნილებების მხოლოდ გარკვეული ნაწილი ხორციელდება. მანქანას არ შეუძლია სოციალური პროცესების მართვა, თვითმეცნება, შემოქმედებითი აზროვნება, ნების თავისუფლების საფუძველზე პასუხის თავისუფალი არჩევანი და ა. შ. მეორე მხრივ, ადამიანს მოთხოვნილებების და ტექნიკის სრულყოფის გზაზე წინააღმდეგობას, როგორც თანამედროვე კიბერნეტიკის განვითარება გვიჩვენებს, არ მიუღწევია თავის მწვერვალისათვის.

მოთხოვნილებების შინაარსი, მათი დონე მჭიდროდ არის დაკავშირებული დაკმაყოფილების საშუალებებზე, საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობებზე, მეცნიერების და ტექნიკის განვითარების დონეზე. შესაბამისად, მოთხოვნილებებს გააჩნიათ განვითარების გარკვეული კანონზომიერება დაბლიდან მაღლისაკენ. შეუძლებელია მარტივი კავის გამოყენების ხანაში ადამიანს გაუჩნდეს კოსმოსური ხომალდის აშენების მოთხოვნილება. მოთხოვნილებები და დაკმაყოფილება დიალექტიკურ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, სწორედ ამიტომ მტრ-ის პროცესში ხელი შეუწყო მოთხოვნილებების სწრაფ ცვალებადობას, განახლებას, გამარავლფეროვნებას; განსაკუთრებით გონებრივი შრომითი პროცესების, რომელთა როლი სულ უფრო იზრდება მტრ-ის დროს. მტრ-ი ძირფეხიანად ცვლის შრომის შინაარსს, ის სულ უფრო მეტი

პროპორციით მოითხოვს ადამიანის გონივრულ შემოქმედებით მოღვაწეობას. ამ უკანასკნელი უნარის მიხედვით შეუძლებელია მანქანამ ადამიანს გაუსწროს. ადამიანის მოთხოვნილებების, მიზნების, მისწრაფებების განვითარება ზღვარდაუდებელია, მექანიკურ მოწყობილობას კი თვითგანვითარება არ შეუძლია. ის მხოლოდ ადამიანის შემოქმედების შედეგად ვითარდება. ადამიანის მოთხოვნილებების განუყოფელი ნაწილია ბუნების საიდუმლოების შემეცნება, რომელიც ისევე ამოუწურავია, როგორც ადამიანის შესაძლებლობები. თვითონ მტრ-ის მიღწევება ადამიანისათვის მხოლოდ საშუალება იქნება ამ პროცესში და ამ მხრივ იგი ვერასოდეს ვერ იცისრებს ადამიანის ფუნქციას. მტრ-ი განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში მრავალ ისეთ მიზანსა და მოთხოვნილებას ემსახურება, რომლებიც მშვიდობიან პერიოდშიც კი მეტად მძიმე და უარყოფით სოციალურ შედეგებს იწვევენ. სწორედ ამიტომ მოთხოვნილებებსა და მტრ-ის ურთიერთდამოკიდებულების საბოლოო შედეგებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც პროგრესული, ისე რეგრესული ხასიათი. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი სწრაფად რეაგირებს ტექნიკურ ცვლილებებზე და მის სოციალურ შედეგებზე, თავისი მოთხოვნილების შესაბამისად შეაქვს შესწორებები ტექნიკის სრულყოფის პროცესში. ამ კუთხით თუ შევხედავთ, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ამასთან ტექნიკის გაუმჯობესების მომენტსაც შეიცავს. ეს უკანასკნელი ისეთივე ზღვარდაუდებელია, როგორც თავად მოთხოვნილებები. ამის დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რამდენადაც მტრ-ის მიღწევები სულ უფრო ღრმად იჭრება სოციალურ სფეროში, მით უფრო მეტად ხდება ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამასთან, რაც უფრო ვითარდება მტრ-ია, მით უფრო მრავალფეროვანია მოთხოვნილებები. დღეს ისე როგორც არასოდეს, მტრ-ის მიღწევები ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. მტრ-ის პროცესში მატერიალური და იდეალური ელემენტები ურთიერთგამსაზღვრელ დამოკიდებულებაში არიან. რამდენადაც მატერიალური ტექნიკის შექმნა შეუძლებელია სათანადო გამოცდილების და ცოდნის გარეშე. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მოითხოვს წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ ელემენტებს. ამასთან, იდეალური და ტექნიკური ელემენტების შერწყმის მიუხედავად, ისინი არ კარგავენ თავიანთ დამოუკიდებლობას და ფუნქციებს. ახალი ტექნიკური მეთოდებისა და პროცესების საფუძველზე ჩამოყალიბდება ახალი ცოდნა და გამოცდილება. ეს უკანასკნელი შესაძლებელს ხდის უფრო სრულყოფილი ტექნიკური საშუალებების შექმნას. ადამიანის მოთხოვნილება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმართულია სრულყოფილი ტექნიკური საშუალებების შესაქმნელად, რომლებიც განსაზღვრული დროისა და ვითარების ფარგლებში აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს, ხოლო ვარკვეული პერიოდის შემდეგ ეს ერთიანობა კვლავ ირღვევა და წინააღმდეგობაში გადაიზრდება. რაც მტრ-ის და ადამიანის მოთხოვნილებების ურთიერთდამოკიდებულებების არსებითი თავისებურებაა.

ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება დაეასკვნათ:

1. ადამიანის მოთხოვნილება, როგორც ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობა, როგორც აქტიუობისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის განმაპირობებელი, მეცნიერული აღმოჩენებისა და ტექნიკის სრულყოფის მუდმივი შინაგანი აუცილებელი მიზეზია. 2. ადამიანის მოთხოვნილებებსა და მტრ-ის შედეგებს შორის არსებობს შინაგანი წინააღმდეგობის ჩამო-

ყაღბებმსა და გადაქრის მუდმივი მუუწყვეტელი პროცესი, რაც საზოგადოების პროგრესულ წინსვლას განაპირობებს. 3. მტრ-ამ არნახულად დაიქარა ადამიანის მოთხოვნილებების დაქმყოფილების, ცვაღებადობის, განახლების, გამრავალფეროვნების პროცესი, რაც თავის მხრივ მტრ-ის შემდგომი სრულყოფის და სწორი მიმართულების ერთ-ერთი განმსახღვრელი ფაქტორი გახდა.

ლიტერატურა

1. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III—IV, თბილისი, 1964.
2. Маркс К., Энгельс Ф. Собр. соч. 2-е изд.
3. Аракелян А. А. В. И. Ленин и технический прогресс. Ереван, 1970.
4. Дилигенский Г. Г. Проблемы теории человеческих потребностей. *Вопр. фил.*, 1977, № 2.
5. Имедадзе И. В. Проблемы формирования социогенных потребностей. Тбилиси, 1981.
6. Кикнадзе Д. А. Потребность как фактор поведения человека. *Вопр. фил.*, 1969, № 12.
7. Леонтьев И. А. Потребности, мотивы и эмоции. М., 1971.
8. Левин А. И., Яркин А. П. Экономика потребления. М., 1984.
9. Майзель И. А. Наука, автоматизация, общество. Л., 1972.
10. Пигров К. С. Общественные потребности и достижения НТР к диалектике взаимодействия. В кн.: Социальный детерминизм и научно-технический прогресс. Л., 1985.
11. Павлов И. П., *Поли. собр. трудов. Т. III, М.—Л.*, 1949.
12. Репкин В. В., Дусавицкий А. К. О потребности — основе учебной деятельности. В сб.: Проблемы формирования социогенных потребностей. Тбилиси, 1974.
13. Рубинштейн С. Л. Проблемы общей психологии. М., 1973.
14. Чхартишвили Ш. Н. Некоторые вопросы психологии и педагогики социогенных потребностей. Тбилиси, 1970.
15. Jaspers K. und Possman K. Die idee der Universität. Berlin, Cöttingen, Keidelberg, 1961.

შ. გ. კვანჩიანი

ДИАЛЕКТИКА РАЗВИТИЯ
ЧЕЛОВЕЧЕСКИХ ПОТРЕБНОСТЕЙ
И НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ

Резюме

Одной из основных причин человеческой деятельности являются потребности человека, так как человек делает что-то ради удовлетворения какой-то нужды.

Основными чертами человеческой потребности являются: внутренняя причина активности — постоянное возобновление и нацеленность на конкретный или несуществующий объект, объективно-субъективное содержание. На основе этого потребности человека

являются постоянной определяющей причиной творческой деятельности, научных открытий и усовершенствования техники. Между результатами научно-технической революции и человеческими потребностями существует процесс постоянного формирования и разрешения противоречий, которые определяют развитие общества. Научно-техническая революция ускорила темп удовлетворения, перемены, возобновления человеческих потребностей, разнообразила их, что со своей стороны стало необходимым фактором дальнейшего совершенствования и правильного направления научно-технической революции.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა



ФЭН ВЕНЬХУА

(Цзилинский университет, Китай)

МЕСТО КАНТА В ИСТОРИИ ЭТИКИ

История этики насчитывает тысячелетия. Уже Демокрит выделял этику, как особую область человеческого знания. Сократ и Платон доказывали, что все должно подчиняться этической цели, идее блага, которая является высшей истиной и, одновременно, конечной целью эстетических стремлений человека. Учение Канта о примате практического разума как будто повторяет эту концепцию, но на самом деле является новым, важнейшим этапом в развитии этики как науки и философии вообще.

В заключительной части «Критики чистого разума» Кант писал: «Две вещи наполняют душу всегда новым и все более сильным удивлением и благоволением, чем чаще и продолжительнее мы размышляем о них, — это звездное небо надо мной и моральный закон во мне» [1, с. 499]. В этих знаменитых словах глубина мысли соответствует точности выражения.

История этики удивляет нас разнообразием школ и направлений. Но всматриваясь, обнаруживаем основной вопрос, упорядочивающий это многообразие — вопрос о единстве противоположностей между чувственными стремлениями и моральным законом человеческого разума. Ответ на этот вопрос делит всю историю этики на два основных направления — эмпиризм и рационализм. Решающее расхождение между ними таково: эмпиризм считает чувственные стремления человека принципом поступка, доказывая, что удовлетворение этих стремлений является счастьем и оно совпадает с добром. Что касается морального закона, он считается внешним средством для достижения чувственных целей.

Рационализм смотрит на моральный закон человеческого разума, как на принцип человеческого поступка, считая, что его осуществление и есть добро. Рационализм не обращает внимания на чувственные потребности человека. Отсюда видно, что этические принципы этих течений односторонни. Теория эмпиризма, в конечном итоге, ведет к узкому эгоизму, мораль — к упадку, а общество — к крушению. Из рационалистов одни отрицали личную свободу (Платон), другие защищали примат золотой середины (Аристотель), третьи доказывали необходимость подавления и уничтожения чувственных нужд человека (стоики). История показывает, что ни один представитель названных течений не сумел сочетать чувственные стремления с моральными законами разума. А такое сочетание необходимо — это была задача epochального значения.

Канту была ясна вся важность этой задачи. Раскрывая недостатки этих течений (в особенности эмпиризма), в то же время он не обходил их достоинств и старался освоить их (это в первую очередь относится к рационализму). На этой основе создал он свою морально-

философскую систему, изложенную в «Основах метафизики нравственности», «Критике практического разума» и в «Метафизике нравов». Цель первой работы — уяснение и установление высшей принципа морали. Она является введением в «Критику практического разума», а эта последняя есть основание «Метафизики нравственности» как этической системы Канта.

Моральная философия Канта главным объектом своей критики объявила эмпиризм. Великий философ писал: «...предохранение от эмпиризма практического разума гораздо важнее и более рекомендуемо» [1, с. 395]. Для него «эмпиризм гораздо опаснее всякой экзальтации, которая никогда не может быть продолжительным состоянием многих людей» [1, с. 396]. Под экзальтацией Кант подразумевал рационализм.

Критикуя эмпиристов, Кант, главным образом, имел в виду французских утилитаристов XVIII в., в первую очередь, Гольбаха, Гельвеция и т. д. Можно сказать, что критикуя эмпиристов, Кант уловил их основной недостаток и поставил перед философами ряд новых проблем, достойных серьезного внимания и размышления.

В книге «Основы метафизики нравственности» Кант поставил вопрос об объективности морального закона. Он доказывал, что принцип счастья, основанный на чувственном опыте, не может иметь объективной необходимости, ибо «в чем именно каждый усматривает свое счастье — это зависит от особого чувства удовольствия или неудовольствия у него, и даже в одном и том же субъекте зависит от различия потребностей, которые меняются в соответствии с этим чувством» [1, с. 340]. По мнению Канта мотив, зависящий от чувственной основы, не может стать всеобщим законом не только для других, но и для самого себя, так как чувства удовольствия и неудовольствия с течением времени часто меняются. Рассудок, остроумие, способность суждения или как бы иначе не называлось дарование духа (мужество, решительность, целеустремленность как свойства темперамента), в некоторых отношениях без сомнения хороши и желательны, но они могут стать также и в высшей степени дурными и вредными, если не добрая воля, которая должна пользоваться ими. Точно так же обстоит дело и в отношении того, что можно назвать даром судьбы. Власть, богатство, почет, даже здоровье и вообще хорошее состояние и удовлетворенность, называемые счастьем, внушает мужество и, тем самым, често и надменность, когда нет доброй воли, которая исправляла бы и делала вообще целесообразным влияние этих даров судьбы на дух и, вместе с тем, также и на самый принцип действия.

Обуздание страстей и аффектов, самообладание и трезвое мышление не только во многих отношениях хороши, но по-видимому, составляют даже часть внутренней ценности личности, однако многого недостает для того, чтобы объявить эти свойства добрыми. Ведь без принципов доброй воли все они могут стать в высшей степени дурными. Хладнокровие злодея делает его не только более опасным, но и более омерзительным для нас, и т. д. Нетрудно догадаться, что метод, которым пользовался Кант для критики морального принципа счастья, является сократовским. Но Сократ остался на уровне критики, не указав на конкретное содержание того, что он называл добрым. Кант именно на это обратил основное внимание. Он доказывал, что добро не что иное, как использование природных свойств человека под руководством доброй воли. Кант пришел к выводу, что «нигде в мире, да и нигде вне его, невозможно мыслить ничего, что можно бы счи-

таться добрым без ограничения, кроме одной только доброй воли» [1, с. 228].

В соответствии со своим принципом Кант последовательно критиковал чувственный гедонизм (эпикуреизм), не закрывая глаз и на положительный аспект этого направления: эпикурейцы признавали, правда, совершенно ошибочный принцип нравственности, а именно — принцип счастья и максимум произвольного выбора каждого согласно его склонности выдавали за закон, но они последовательно принижали свое высшее благо и преследовали только такое счастье, какое можно достигнуть благодаря человеческому благоразумию, для чего необходимы воздержанность и умеренность [1, с. 459—460]. Такое счастье не может стать всеобщим законом. Личное счастье для Канта может быть лишь мотивом воли и в таком случае становится причиной деградации человечества.

Кант особое внимание обращает на критику эпикуреизма и гедонизма, так как тогда утилитаризм пользовался широкой популярностью. Они на место схоластического бога ставили сущность человека, не усмотрев его социальной сущности. Общество и государство они считали внешними средствами для удовлетворения чувственных потребностей личности. Они не сумели диалектически соединить цель со средством в одном и том же человеке. Государство, возникшее на основе «общественного договора», предназначалось для удовлетворения чисто эгоистической цели личности. Это доказывал Т. Гоббс, а Дж. Локк следовал ему. Хотя французские материалисты XVIII в. поставили вопрос об «общих интересах», но, как указывал Г. В. Плетанов, на самом деле они исходили из собственных интересов личности. Гельвеций считал, что каждое моральное поведение человека управляется его интересами [2, с. 91]. А интересы бывают личные, классовые и национальные. Личные интересы не что иное, как чувства тела, т. е. чувства радости и горя. Гельвеций считал, что радость или горе являются принципом действия для человечества. Люди принимают решения с целью избежать страдания и получить удовольствие. Гольбах был солидарен с Гельвецием.

Для подкрепления собственной этической системы Кант считал необходимым опровержение не только этического эмпиризма, но и рационализма. «Своеобразие Канта как раз состоит в том, что он отказался видеть в природе (не только в естественном мире, но и в природе общественного существа и «естественной» истории) основоположения морали» [3, с. 105].

Типичным выражением этического рационализма Кант считает стоицизм. Они были вправе выбрать основным практическим принципом добродетель. Но считая добродетель условием высшего блага, они пренебрегали второй составной частью этого состояния — счастьем. Стоического мудреца они считали совершенно независимым от природы, хотя и подверженному жизненным невзгодам, но не подчиненного им. Личное счастье как элемент высшего блага для них не имело значения, хотя такую позицию с достаточной силой опровергал голос их собственной природы. Критикуя стоицизм, Кант выдвинул не оцененный представителями этой школы аспект морального учения Сократа, Платона и Аристотеля. А именно: не отрицание, а обусловление разумом человека его чувственных склонностей и стремлений. Развивая эту мысль, Кант полностью не соглашался и с этими мыслителями. Платон, по его мнению, не поднял принцип справедливости до степени закона; Аристотель же недостаточно подчеркивал значение и роль разумного принципа, т. е. морального закона. Следует согла-

ситься с Кантом и в том, что «Аристотель и Платон расходятся между собой только в вопросе о происхождении наших собственных нравственных понятий» [1, с. 461].

В новой философии главными представителями этического рационализма были Декарт и Лейбниц. Согласно Декарту, разум является моральным законом и добром следует считать тот поступок, который совершается в разумном, ясном сознании. Роль чувства в этике он оценивал отрицательно. Лейбниц считал, что определенную концепцию морали человек бессознательно имеет уже в детском возрасте. То, что человек потом называет моралью, не что иное, как осознание этой бессознательной концепции. Осознание означает соответствие с разумом и подчинение ему. Поэтому то, что называют моральной жизнью — это жизнь в соответствии с разумом.

Вышеизложенное дает право сказать, что у всех этических рационалистов наблюдается высокое сознание морального закона, но, вместе с тем, игнорирование (в той или иной степени) чувственных стремлений. Кант наследовал первое и отказался от второго элемента этического рационализма.

Кант усмотрел не только недостатки этического эмпиризма и этического рационализма, не только сформировал их специфику, но и указал на гетерономию воли как на общий корень этих взаимоисключающих концепций. «Все принципы, которые можно принять с этой точки зрения, суть или **эмпирические** или **рациональные** принципы. **Первые**, основывающиеся на принципе счастья, построены на физическом или моральном чувстве; вторые, основывающиеся на принципе совершенства, построены или на понятии разума о совершенстве как возможном результате, или на понятии самостоятельного совершенства (на воле бога), как определяющей принцип нашей воли» [1, с. 285]. Для Канта важно установление именно этой общей основы, которая принципиально исключает настоящую свободу и действительный моральный поступок. Этим для него доказывается необходимость существованию нового морального учения, опирающегося на новый принцип, на автономию воли. На этой основе Кант считал излишним конкретную и детальную критику разных течений и школ в этике.

Как в теории познания, так и в теории нравственности Кант выработал концепцию, отличную от названных. Априоризм Канта и в этике существенно отличается от рационализма и эмпиризма. Незыблемо сохраняя определяющую роль морального закона, независимого от обстоятельств, Кант пытался доказать возможность реального сочетания добродетели и счастья «Быть счастливым, — говорил Кант, — это необходимое желание каждого разумного, но конечного существа и, следовательно, неизбежное определяющее основание его способности желания. В самом деле, удовлетворенность всем своим существованием есть не первоначальное достояние и блаженство, которое предполагало бы сознание его независимой самодостаточности, а проблема, навязанная ему самой его конечной природой» [1, с. 339]. Конечность разумного существа, в конечном счете, определяется его телом, и потребности тела и связанные с ним чувства удовольствия и неудовольствия определяют то, что он не только конечное разумное существо, но и конечное моральное существо, в структуре которого важное место занимает стремление к счастью. Этим не следует пренебрегать, «понятие о счастье **везде** лежит в основе практического отношения **объектов** к способности желания» [1, с. 340].

От рационалистов Кант усвоил обусловленность поступков человека моральным законом как высшим принципом. Подчинение непосред-

ственно чистому закону рассудка, доказывал великий философ, есть самое возвышенное в человеческой природе. Можно сказать, что Кант некритически принимал этот аспект этического рационализма. Если бы мне необходимо было выбрать между понятием морального чувствования и понятием совершенства вообще, говорил он, то я выбрал бы последнее. Выбор определяется тем, что в таком случае решение вопроса из области чувственности переносится в область чистого разума. Это дает нам возможность без искажения сохранить для более точного определения неопределенную саму по себе добрую волю.

Цель, которой хотела достигнуть моральная философия Канта, представляет собой именно такую добродетель, за которую боролся Сократ в своих диалогах (Кант даже гордился тем, что подражал Сократу). Кант пошел дальше в том смысле, что дал содержательный ответ о природе того добра, о котором говорил Сократ, но шел к нему лишь «от противоположного», доказывая и показывая противоречивость всех других целей и добродетелей. То же самое следует сказать о Платоне. Кант преодолел недостаток этого направления античной этики. Недостаток заключался в том, что Платон не возвысил принцип справедливости до законодательства. Кант преодолел и утилитарный уклон Аристотеля, который заключался в его принципе «золотой середины». Кант все подчинил моральному закону. Немаловажное значение имеет и то, что немецкий философ преодолел мистицизм стоиков. На место мистической добродетели он поставил ясное понимание, доступное простому человеку. Эту формулировку может понять каждый и, вместе с тем, каждый способен вкладывать в нее конкретное содержание, соответствующее его уровню развития и его места в обществе. От такой возможной смены содержания не страдает всеобщность формулировки закона.

В «Основах метафизики нравственности» Кант писал: «Я всегда должен поступать только так, чтобы я мог желать превращения моей максимы во всеобщий закон» [1, с. 238]. Позже, в «Критике практического разума» он четко сформулировал этот закон: «Поступай так, чтобы максима твоей воли могла в то же время иметь силу принципа всеобщего законодательства» [1, с. 347]. Вся глубина этой теории станет ясна, если вспомнить, что Кант по существу различает друг от друга, поступки, совершенные соразмерно долгу, и поступки, совершенные из чувства долга. Нравственным он считает лишь последнюю. Поступок соразмерно долгу может быть вызван страхом, привычкой, склонностью, удовольствием. Даже тот поступок, который совершается человеком бескорыстно, только ради радости, вызываемой у всех окружающих, не имеет никакой истинной нравственной ценности [1, с. 233]. Этот поступок, по мнению Канта, заслуживает похвалы, но он не морален, ибо человек совершает его ради удовольствия, а не потому, что считает его ценным самим по себе.

На этой основе Кант соединил самые ценные элементы двух традиционных этических учений. Он показал, что принцип счастья и принцип нравственности не противоположны, что чистый практический разум не хочет, чтобы люди отказались от притязания на счастье. В некотором отношении забота о своем счастье может быть даже долгом. Так как, во-первых, счастье (в том числе и умение, здоровье, богатство) может заключать в себе средства для исполнения своего долга: во-вторых, его отсутствие (например, бедность) таит в себе искушение нарушить свой долг. Все это дает нам право доказывать, что Кант не только не исключал материальные и духовные чувственные нужды человека, но и стремления и склонности возвысил до высоты

долга. Одним словом, согласно Канту, нравственность составляет верховное благо (как первое условие высшего блага), а счастье человека является, правда, его вторым элементом, но так, что оно только морально обусловленное, однако необходимое следствие нравственности.

Во всех вышесказанных положениях видно, что цель моральной философии Канта не что иное, как решение известной антиномии в истории этических идей, антиномии между эмпиризмом и рационализмом. Он не отверг значения материальных и духовных чувственных склонностей человека, но подчинил их моральному закону. Этим обоснована возможность внутреннего, диалектического, можно сказать, органического единства этих двух элементов. Однако недостатки собственной философской позиции не позволили Канту осуществить эту возможность. Дуализм и тут остался в силе. Он достиг лишь внешнего объединения названных элементов. Как известно, Кант в своей гносеологии разделил феномен и ноумен, сущность и явление, а соединить их на какой-либо единой основе он и не старался. Это сказывается и в этике Канта.

Кант сначала противопоставил мир сущности миру феномена, постулировал трансцендентальную разумную сущность и потом механически соединил их. Постулирование бессмертия души и бытия бога не было необходимым для его этической теории. Осуществление высшего блага лишь в бесконечном прогрессе можно было мыслить без бессмертия индивидуальной души, а именно — в смысле бесконечного прогресса человечества. Названные постулаты оторвали моральную философию Канта от конкретных исторических условий общества, от классового содержания. По этой причине, в конечном итоге, человеческая мораль у Канта превратилась в абстрактную проповедь нравственности. Эту теорию имел в виду Фр. Энгельс, когда писал: «С фейербаховской теорией морали случилось то же, что со всеми предшественниками. Она скроена для всех времен, для всех народов, для всех обстоятельств и именно потому не применима нигде и никогда» [4, с. 298].

Творчески развивая этическое учение Канта, Гегель многое сделал для соединения трансцендентальных моральных принципов Канта с опытными этическими феноменами (например, семья, общество, государство и т. д.). В пределах идеализма Гегель сделал все возможное для обоснования реального внутреннего диалектического единства трансцендентального мира сущностей и опытного мира феноменов, т. е. мира материальных или духовных чувственных побуждений человека и морального закона разума, доброй воли, высшего блага. Классики марксизма на основе последовательного материализма преобразовали учение Гегеля и тем самым совершили коренной переворот в истории развития науки о нравственности.

В Китае философию Канта изучают многие ученые, главным образом, в университетах и институтах при Академии общественных наук. Эти исследователи делятся на т. н. старое и новое поколение. Основными представителями первых являются: Хе Линь, Чан Нынчун и Чжан Шижен. Молодое поколение: Го Цзе, Сю Цисянь, Гао Цженьхай, Цжеу Хуачжен. Они подготовили коллективную монографию «История этики на Западе» (Пекин, Китайский народный университет, 1986).

Мы можем условно разделить на три этапа историю изучения Канта в Китае. 1. Изучение Канта до 1949 г. характеризуется тем, что изучались все стороны философии Канта. Несмотря на определенные успехи, исследование на этом этапе было неглубоким и несистематич-

ным. II. Главная особенность второго периода (с 1949 до 1978 года) — глубокого и систематического изучение Канта, в особенности его теории познания. Добившись больших успехов в этой сфере, ученые, к сожалению, не обратили должного внимания на моральную философию Канта. Тут они довольствовались общими фразами. III. Главная особенность последнего периода (с 1978 г. по настоящее время) состоит в глубоком и всестороннем изучении наследия великого основателя немецкого классического идеализма. Появилось много расхождений в оценке разных сторон философии Канта. Одной из таких спорных проблем является определение места Канта в истории этики. Ряд исследователей считает, что Кант сам является этическим рационалистом и критикует представителей этого направления с целью усиления их позиции, а не — отрицания. Для этих исследователей априоризм как новая философская ориентация, впервые созданная Кантом, совпадает с традиционным рационализмом. При таком подходе невозможно разобраться не только в тексте самого Канта, но и в смысле противоречий между Кантом и его великими последователями (И. Г. Фихте, Ф. В. И. Шеллингом и Г. В. Ф. Гегелем), противоречиях, которые двигали немецкую и мировую философскую мысль и создали теоретические предпосылки для возникновения марксизма. Другая группа исследователей считает, что Кант, несмотря на строгую критику этического эмпиризма, в конечном итоге соглашался с основным принципом этого направления.

Эта другая крайность также страдает непониманием специфики априоризма Канта. Отличие априоризма от рационализма она считает достаточным основанием для отождествления априоризма с модернизированным эмпиризмом.

В предлагаемой работе мы старались доказать, что Кант на самом деле, в этике, так же как и в теории познания и эстетике, критически преодолел рационализм и эмпиризм, и на основе этого создал принципиально новую концепцию, которая открыла путь для последующего развития философской мысли.

ЛИТЕРАТУРА

1. Кант И., Сочинения, т. 4, I. М., 1965.
2. Даниеля С. И. Опыт исследования теории нравственности Гельвеция, Тифлис, 1922.
3. Философия Канта и современность, М., 1974.
4. Маркс К., Энгельс Ф., Сочинения, изд. II, т. 21, М.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-
 კორესპონდენტმა ნ. ჰაეჭავაძემ



მანანა ნაჰუშია

ფორმების ფილოსოფიის რელიგიისადმი დამოკიდებულების შისახეზ

(ფილოსოფიურ-ისტორიული ასპექტი)

ფორმების ფილოსოფიის ისტორიის საგნისა და კანონზომიერების შესახებ. ფორმების თვისი ფილოსოფიურ-ისტორიული კონცეფციით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ ჰეგელთან შედარებით. როგორც ცნობილია, ჰეგელისთვის ფილოსოფიის ისტორიაში ყოველი ფილოსოფიური სისტემა გამოხატავს აბსოლუტური გონის თვითშემეცნების საფეხურს და ამდენად ფილოსოფიის ისტორია გონის თვითშემეცნებისა და ჭეშმარიტების თვითგანვითარების შინაგანი, ლოგიკური „თეოლოგიურად“ დეტერმინირებული პროცესია. ფილოსოფიური თეორიები აბსოლუტური გონის საფეხურებია. განვითარების პროცესის შედეგი არის ცნება, რომელშიც ეს აბსოლუტური გონი შეიცნობს თავის თავს. ფილოსოფია აღიარებს თავისი წინა საფეხურის (რელიგიის) შინაარსის ჭეშმარიტებას, მაგრამ გაათავისუფლებს მას ცალმხრივობისაგან და აამაღლებს აბსოლუტურ ფორმაში. ეს აბსოლუტური ფორმა თვითონ ქმნის თავისთავიდან თავის შინაარსს, არის მასთან იგივეობრივი და ახსნის მის შინაგან აუცილებლობას. ჰეგელისათვის ჭეშმარიტი ფილოსოფია რელიგიის ჭეშმარიტებაა. აბსოლუტური, ცოცხალი არსებაა, ღვთაებაა. ღვთაებაზე მოძღვრება რელიგიაც არის და ფილოსოფიაც. რელიგია წინ უსწრებს ფილოსოფიას. რელიგიას შეუძლია არსებობა ფილოსოფიის გარეშე, მაგრამ ფილოსოფიას რელიგიის გარეშე არსებობა არ შეუძლია, რადგან ფილოსოფიამ ღვთაებრივის ცნება მისთვის სპეკულატიური აზრის ელემენტებზე ანუ ცნებამდე უნდა აამაღლოს. ჰეგელი ხანდახან ისე შორს მიდის ჭეშმარიტი არსის განსაზღვრებაში, რომ არსებული ბუნებისა და ადამიანის ნამდვილობასაც კი უარყოფს, მის ჭეშმარიტებას თავისებურად უგუშუბელყოფს და ფილოსოფიის ერთადერთ საგნად ღვთაებას აცხადებს. ამვე დროს რელიგიასთან მიმართებაში ჰეგელის თვალსაზრისი ერთმნიშვნელოვანი არ იყო და იცვლებოდა მისი შემოქმედებითი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. „გონის ფენომენოლოგიაში“ ჰეგელს გადამწყვეტი პოზიცია ეკირა ქრისტიანობასთან მიმართებაში, რომელიც, მისი აზრით, სხვა არაფერი იყო, თუ არა „კეთილშობილი სუბიექტივიზმი“. მართალია, მოგვიანებით „რელიგიის ფილოსოფიაში“ ჰეგელმა გადასინჯა თავისი მიმართება ქრისტიანობასთან — უარიც კი თქვა მის კრიტიკაზე, მაგრამ რელიგიასთან მიმართებაში მისი ორმაგი დამოკიდებულება კვლავ ძალაში დარჩა. რელიგიის „მოხსნა“ ფილოსოფიით ჰეგელისთვის აღნიშნავს რელიგიის შენარჩუნებასაც. ეს პროცესი მოწმობდა იმას, რომ ფილოსოფიისა და რელიგიის შინაარსი ერთი და იგივეა. მაგრამ ამასთან ერთად „მოხსნა“ ნიშნავს „რელიგიის გადალახვას

ფილოსოფიით“. „ჩვენ არ უნდა მივიღოთ ისეთი სახე, ხაზს უსვამდა ჰეგელი, რომ განზრახული გვაქვს რელიგიის ხელმძღვანელობა“ — ასეთი მცდარი შეხედულება სხვა არაფერია, თუ არა სურვილი დაფარო, რომ ფილოსოფია გამოდის რელიგიის საპირისპიროდ“ [4, ტ. IX, გვ. 64].

ასეთი დასკვნა შეესაბამებოდა ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის ლოგიკას.

აბსოლუტური გონის თვითშემეცნების ტრიალული სქემის თანახმად, ფილოსოფიის ისტორია წარმოადგენს ამ თვითშემეცნების პროცესის ასახვას, რომელიც თავის განვითარებაში გადის სამ სტადიას — ბერძნულს, შუა საუკუნეებისა და ახალ ანუ გერმანულ ფილოსოფიას.

შუა საუკუნეების პერიოდი ჰეგელთან არსებითად გაიგივებულია თეოლოგიასთან. „სქოლასტიკური ფილოსოფია — წერდა ჰეგელი — წარმოადგენს თავისი არსებით თეოლოგიას და ეს თეოლოგია წარმოადგენს უშუალოდ ფილოსოფიას“ [5, ტ. XI, გვ. 109]. ეს თავისებური დუალიზმია და ჰეგელი ფიქრობდა, რომ შუა საუკუნეების დუალიზმის მოხსნის ამოცანა განსაზღვრავდა ახალი დროის ფილოსოფიის განვითარების მთელ გზას. ამ თვალსაზრისით არის განხილული ოთხი საფეხური ახალი დროის ფილოსოფიის ისტორიაში. პირველი ეტაპი — ახალი დროის ფილოსოფიის გამოცხადება ბეკონისა და ბოემეს ფილოსოფიაში. მეორე ეტაპს განეკუთვნება დეკარტი, სპინოზა, მალბრანში, ლოკი, ლაიბნიცი, ვოლფი. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია რელიგიისა და ფილოსოფიის მეტაფიზიკური დაპირისპირებულობა. მესამე ეტაპი გამოხატულია ბერკლისა და იუმის სკეპტიციზმითა და კრიტიციზმით. ახალი გერმანული ფილოსოფია არის ბოლო ეტაპი, რომლითაც მთავრდება აბსოლუტური გონის თვითშემეცნების პროცესი. ჰეგელისაგან განსხვავებით, ფოიერბახი აანალიზებს მხოლოდ პირველ ორ ეტაპს. სწორედ ფილოსოფიისა და რელიგიის დაპირისპირებულობის კვლევის ინტერესებმა განსაზღვრეს ფოიერბახის მიერ ფილოსოფიის ისტორიის მოაზრების ძირითადი მიმართულება. საერთოდ, ფილოსოფიის ისტორიაში ფილოსოფიისა და რელიგიის დაპირისპირებულობის თვალსაზრისი არ ეწინააღმდეგება ჰეგელისეულ შეხედულებას ფილოსოფიის განვითარებაზე, მაგრამ ამ თვალსაზრისის განვითარება ლოგიციზმისა და იდეათა ფილიაციის იდეალისტურ მოძღვრებად ფოიერბახისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. }

ფოიერბახისთვის ამ დაპირისპირებულობის გამოყოფა ძირითადი და განმსაზღვრელია. მისთვის ფილოსოფიის ისტორია წარმოადგენს ფილოსოფიისა და რელიგიის ბრძოლას და ფილოსოფიის რელიგიისაგან განთავისუფლების ისტორიას. აქედან გამომდინარე, ახალი დროის ფილოსოფია მისთვის ფილოსოფიის რელიგიისთან და მასზე გამარჯვების ლოგიკური დამთავრებაა.

რამდენადაც, ფოიერბახის აზრით, ფილოსოფიის განთავისუფლება იწყება ბუნების მეცნიერული კვლევისადმი ინტერესის აღდგენით, ახალი დროის ფილოსოფიას იწყებენ ის სისტემები, რომლებიც აფუძნებენ ცდას, როგორც შემეცნების მეთოდს. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა ფოიერბახის განსაკუთრებული დაინტერესება მატერიალიზმით, ამან განაპირობა მატერიალისტური მოძღვრებების მაღალი შეფასება. ამით ფოიერბახი მნიშვნელოვნად დაშორდა ჰეგელის ფილოსოფიას. ჰეგელთან ფილოსოფიის ისტორია ფაქტიურად იდეალიზმის ისტორიაზეა დაყვანილი. თუ ჰეგელმა უაღრესად დაამცირა მატერიალიზმის ისტორია, ამ ფონზე განსაკუთრებით

მკვეთრად ჩანს ფოიერბახის ფილოსოფიურ-ისტორიული კონცეფციის პრინციპული განსხვავება ჰეგელიანურისაგან.

ფოიერბახი მარქსისტული ფილოსოფიის ის წინამორბედი, რომელმაც გარკვეულ ფარგლებში პირველმა დასძლია ახალგაზრდა ჰეგელიანელთა იდეალიზმი, რელიგია ვაკრიტიკა მატერიალიზმის პოზიციებიდან და აღიარა ბუნების თავისთავადობა, ადამიანის ცნობიერებისაგან მისი დამოუკიდებელ არსებობა. ფოიერბახმა ცხადყო, რომ ბუნებისა და საზოგადოების გარეშე არ არსებობს არაფერი და ადამიანის ფანტაზიით შექმნილი უზენაესი რელიგიური არსებანი მხოლოდ ადამიანის საკუთარი არსების ფანტასტიკური ანარეკლი არიან, რომ ღმერთის ცნებაში ადამიანი განასახიერებს იმას, რაც შესაძლოა მას, როგორც ცალკეულ პიროვნებას, არ ჰქონდეს, მაგრამ ახსიათებს ადამიანთა საგვარეულოს მოდგმას. „შენ ღმერთს მიაწერ სიყვარულს — მიმართავს ფოიერბახი ადამიანს — იმიტომ რომ თვითონ გიყვარს, შენ ღმერთი ზრძენი და კეთილი გგონია, რადგან სიკეთე და გონიერება შენს უმაღლეს თვისებებად მიგაჩნია... ღმერთი ადამიანის არსებაა, რომელსაც განიხილავენ როგორც უმაღლეს ჭეშმარიტებას — ადამიანურ ჭეშმარიტებას“ [6, ტ. II, გვ. 47]. ადამიანმა უნდა დაიბრუნოს თავისი ადამიანური არსება. ის, რაც თვითონვე განასხვავსა ღმერთის ცნებაში.

ფოიერბახმა ნათლად აჩვენა, რომ ჰეგელის ფილოსოფია თეოლოგიის უკანასკნელი თავშესაფარია. მან იდეალისტურ ფილოსოფიაზე გაავრცელა თავისი შეთოლი, რომელიც რელიგიის კრიტიკისათვის გამოიყენა. ამასთან აღნიშნა, რომ „საკმარისია ყველგან პრედიკატი ჩავსვათ სუბიექტის ადგილზე და სუბიექტი ობიექტისა და პრინციპის ადგილზე, ე. ი. გადავაბრუნოთ სპეკულატიური ფილოსოფია და მივიღებთ ჭეშმარიტებას მისი დაუფარავი, წმინდა, აშკარა სახით“ [6, ტ. I, გვ. 115].

ფოიერბახის მატერიალისტურმა და ათეისტურმა დასკვნებმა არსებითი როლი შეასრულეს მის ფილოსოფიურ-ისტორიულ გამოკვლევებში, ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების მატერიალისტურ კვაზრებაში. ფოიერბახის აზრით, „ფილოსოფიამ უნდა შეიმეცნოს ნივთები ისე, როგორც ისინი არიან სინამდვილეში“. ხოლო ფილოსოფიის ისტორია არის ადამიანური გონების განთავისუფლება რელიგიისა და თეოლოგიის ვაკლენისაგან.

ჰეგელამდე ფილოსოფიურ-ისტორიული შემეცნების რაობა სხვადასხვანაირად იყო შეფასებული ფილოსოფიის ცნობილი ისტორიკოსების მიერ, რომელთა მსოფლმხედველობრივ-მეთოდოლოგიური კვალსაზრისები ერთ რამეში შეთანხმებულნი იყვნენ — არ სცნობდნენ ერთიან, შინაგან კანონზომიერებას, რაც შემდეგ ჰეგელმა საგანგებოდ გამოიკვლია. ახალგაზრდა ფოიერბახი ჰეგელის მიმდევარი იყო და თავდაპირველად იდეალისტური პოზიციებიდან სწავლობდა ფილოსოფიის ისტორიას. აღსანიშნავია, რომ ფოიერბახის მთავარი ფილოსოფიურ-ისტორიული გამოკვლევები დაწერილია ჰეგელიანობის დროს, როდესაც ის ჯერ კიდევ იდეალისტურ თეალსაზრისზე იდგა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ, ჰეგელის ლექციების მოსმენის შემდეგ ფოიერბახმა კავშირი გაწყვიტა თეოლოგიასთან და აწივე დროს არ მოიწონა ჰეგელთან თეოლოგიისა და ფილოსოფიის შეთანხმების იდეა. „მე გადავადე თეოლოგია, რათა ჩემს გულში ჩამეკრა ბუნება, რომლის უსასრულობის წინაშე უკან იხევს მშინარა ღვთაება და ჩემს მეგობრად გამეხადა ისეთი გონებანი,

როგორცაა არისტოტელე, სპინოზა, კანტი და ჰეგელი“ [6, ტ. I, გვ. 244]. „ჩემი დაბრუნება უკან, თეოლოგიის დარგისაკენ ეს იქნებოდა ის, რომ უკან დაგვებრუნებინა ფარვანა ჭუპრის მდგომარეობაშიო“ — წერდა ფოიერბახი [6, ტ. 3, გვ. 373].

ფოიერბახის დამოკიდებულება ჰეგელის ფილოსოფიურ-ისტორიული კონცეფციისადმი თავიდანვე შემოქმედებითი და კრიტიკული იყო. ის სწავლობდა ჰეგელის ფილოსოფიას ისტორიკოსის თვალსაზრისით. როგორც ენგელსი ამბობს — „საესეებით მართლმორწმუნე ჰეგელიანელი“ არასოდეს ყოფილა. ფოიერბახმა ჰეგელის მცდარ წარმოდგენას მიაკუთვნა მისი მტკიცება იმის შესახებ, რომ ჰეგელის ფილოსოფიის სახით აბოლუტურმა ჭეშმარიტებამ შეიცნო საკუთარი თავი. „ჩემთვის მისი ფილოსოფია არ იყო გამონაკლისი თვით ჰეგელის მიერვე დადგენილი სასრულობის კანონისაგან“. ფოიერბახმა კარგად განსაზღვრა ჰეგელის ღვაწლი ფილოსოფიის ისტორიაში. მისი აზრით, ჰეგელისეული ფილოსოფიის ისტორია წარმოადგენს „ფილოსოფიის ისტორიის ნამდვილად შემეცნების გარანტიას, რომელიც გვიხსნის სხვადასხვა სისტემების, მათი ცნებების ჭეშმარიტ არსს“ [6, ტ. II, გვ. 10].

ფოიერბახმა ჰეგელისაგან მიიღო მისი ფილოსოფიურ-ისტორიული პრინციპი, ფილოსოფიური სისტემებისადმი დიალექტიკური მიდგომის იდეა. განვითარების იდეის გავრცელებას მთელი ფილოსოფიის ისტორიაზე ფოიერბახი თვლიდა ფილოსოფიის ისტორიის მიღწევად. თუმცა ჰეგელის მიერ დამუშავებული ფილოსოფიურ-ისტორიული პროცესის მოდელი თავისი ობიექტის ადექვატური არ ყოფილა და ბევრ რამეში ამახინჯებდა რეალურ ისტორიულ პროცესს, რაზეც კრიტიკულად მიუთითებდა ფოიერბახი. „ფოიერბახი ერთადერთი მოაზროვნეა, რომელთანაც ჩვენ ვხვდავთ სერიოზულ, კრიტიკულ მიმართებას ჰეგელისეულ დიალექტიკასთან. მხოლოდ მან მოახდინა ჭეშმარიტი აღმოჩენა ამ სფეროში და საერთოდ ნამდვილად გადალახა ძველი ფილოსოფია“ — წერდა მარქსი თავის ადრინდელ ნაწერებში [2, ტ. 3, გვ. 622].

ფოიერბახი ფილოსოფიისა და რელიგიის ისტორიული დამოკიდებულების ფორმათა შესახებ. ფოიერბახი თავის ფილოსოფიურ-ისტორიულ ნაწერებში სამართლიანად მიუთითებს, რომ ჰეგელის ფილოსოფიის ისტორია არის „იდეების ფილიაცია, განუწყვეტელი ინტელექტუალური აქტი“, რომ მისი მეთოდი მთლიანად იხილავს ისტორიას, როგორც მხოლოდ აზრთა დინებას, არ იკვლევს წყაროს, რომლიდანაც ეს „დინება“ მომდინარეობს; რომ ამ მეთოდით ისტორია გადაქცეულია უსასრულო ინტელექტუალურ შემოქმედებად. ფოიერბახის განმარტებით, ფილოსოფიის ისტორია გადაიკვეთება ანტი-ფილოსოფიური ხშირად პრაქტიკული ინტერესებითა და ტენდენციებით, კაცობრიობის წმინდა ემპირიული მოთხოვნებიდან, ამიტომ აუცილებელია ფილოსოფიურ-ისტორიულ მოძღვრებათა ანალიზი დროსთან, ეპოქასთან, ისტორიასთან მიმართებაში. ჰეგელიც მართალია აღნიშნავს, რომ „ფილოსოფია აზრებში ასახული ეპოქაა“ და „ფილოსოფიის ისტორია მსოფლიოს ისტორიასთან განუყოფელია“, მაგრამ ეს აზრები არ ვითარდება ჰეგელის სისტემაში. ფოიერბახი ჰეგელს სწორედ იმაში აკრიტიკებს, რომ მის მიერ ფილოსოფიის ისტორია გაგებულია როგორც იმანენტური, გარეგანი პირობებისაგან დამოუკიდებელი, თვითგანვითარებადი იდეა. ფოიერბახისათვის ფილო-

სოფიურ-ისტორიული პროცესის მამოძრავებელს წარმოადგენს წინააღმდეგობა რწმენასა და ბუნებას შორის. ფილოსოფიის ბრძოლა რელიგიასთან არის ფილოსოფიური პროგრესის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, რომელიც მთლიანად განსაზღვრავდა ახალი დროის ფილოსოფიის ისტორიას. ახალი ფილოსოფიის დაბადებას ფოიერბახი უკავშირებს ანტითეოლოგიურ, ანტირელიგიურ რევოლუციას.

მიანიშნა რა ამ ძირითად მომენტზე, ფოიერბახმა ნათლად უჩვენა რელიგიის უარყოფითი როლი შუა საუკუნეების პერიოდის მხატვრულ, მეცნიერულ და ფილოსოფიურ პროგრესზე. არც შედლო ქრისტიანს, რომელიც მხოლოდ ღმერთით ცხოვრობდა, ვაეგო ბუნების არსი და შეენარჩუნებინა მისი შესწავლისადმი სერიოზული ინტერესი. ბუნება მისთვის წარმოადგენდა დროებითს, შემთხვევითსა და არაარსებითს. ხელოვნებასაც ასევე წაერთვა თავისუფლება, რელიგია მას იყენებდა რელიგიის დოგმათა ქეშმარიტების დასამტკიცებლად. სანამ მოაზროვნე სულს თავის შინაარსად რელიგიისა და თეოლოგიის დოგმები ჰქონდა, „ფილოსოფია მოკლებული იყო იმ თავისუფალ პროდუქტიულობას, იმ შემოქმედებით ქმედებას, ბუნების ავტონომიასა და გონების ავტონომიას, რომლებიც განასხვავებდნენ ბერძნულ და ახალი დროის ფილოსოფიას და შეადგენენ ფილოსოფიის თავისებურ ხასიათს საერთოდ“ [6, ტ. 1, გვ. 70—71].

აღორძინების ეპოქაში ადამიანურმა გონებამ გაიმარჯვა რელიგიაზე. ანტიკური ეპოქის ნაწარმოებები ისევ ენთუზიაზმით მიიღეს, ვინაიდან თავისუფალმა სულმა მათში შეიცნო საკუთარი ქმნილებანი. ბუნების მეცნიერებამ ისევ მოიპოვა აღიარება და ფართოდ იწყო განვითარება. ფოიერბახის მიხედვით, ახალი ფილოსოფიის კულტურულ-ისტორიულ წინამძღვარებს წარმოადგენდა პროტესტანტიზმი, ანტიკატორობისკენ დაბრუნება და ბუნებისადმი მეცნიერული ინტერესი.

ჰეგელის მიხედვით კი, აღორძინების ფილოსოფია მხოლოდ სქოლასტიკური ფილოსოფიის დაშლას წარმოადგენს. „შუა საუკუნეების ფილოსოფიის დუალიზმის მოხსნის ამოცანა განსაზღვრავს ახალი დროის ფილოსოფიის განვითარებას, რომელიც ანტაგონისტურია შუა საუკუნეების თვალსაზრისისა, რომლის თანახმად მოაზროვნე და არსებული უნივერსლში განსხვავებულნი არიან ერთმანეთისაგან“ [5, გვ. 207]. ჰეგელისათვის სქოლასტიკური ფილოსოფიის დაშლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს არა რელიგიის უკუგდება, არამედ მისი შერეგება ფილოსოფიასთან.

ფოიერბახის მიხედვით, აღორძინების პერიოდში წინ წამოწეული იყო ახალი დროისათვის საერთო პრინციპი — ურთიერთწინააღმდეგობათა იგივეობის პრინციპი, მაშინ, როცა შუა საუკუნეებისათვის ასეთ პრინციპს წარმოადგენდა ფორმალური ლოგიკის იგივეობის კანონი. ფოიერბახმა, ჰეგელისაგან განსხვავებით, სწორად შენიშნა აღორძინების პერიოდისათვის დამახასიათებელი ანტირელიგიური მიმართულება. ამიტომაც ახალი დროის ფილოსოფია, ჰეგელის საპირისპიროდ (რომელიც ახალი ფილოსოფიის დასაწყისს უკავშირებს დეკარტეს სახელს) ფოიერბახისათვის იტალიაში იწყება. „ახალი დროის ფილოსოფია იწყება ტელეზიოს ნატურფილოსოფიით. დეკარტეს განხილვა დამფუძნებლად — ეს ისეთივე გაზვიადებაა როგორც ის, რომ ვინმეს აზრად მოსვლიდა ანაქსაგორას ჩათვლა ფუძემდებლად, რომელთანაც ბერძნულმა ფილოსოფიამ მიაღწია აყვავებას“ [6, ტ. 3, გვ. 321].

ახალი დროის ფილოსოფიას ფოიერბახი განიხილავდა როგორც სხვადასხვა ტენდენციათა ბრძოლას — ემპირიზმისა რაციონალიზმთან, რეალიზმისა რომანტიზმთან, აგრეთვე მატერიალიზმისა იდეალიზმთან. მაგრამ მთავარ ტენდენციას ის ხედავს — გონების რწმენასთან, მეცნიერების რელიგიასთან, ფილოსოფიის მითოლოგიასთან — ბრძოლაში. ამ ბრძოლით არის გამსჭვალული ახალი დროის მთელი ფილოსოფია. რელიგიასთან შეუტივებელ ბრძოლაში ახალი დროის ფილოსოფიას ჰყავდა ერთგული მოკავშირე მეცნიერების სახით. „რამდენი ხალხი ფიზიკის, მედიცინის, იურისპრუდენციის წყალობით სავსებით განთავისუფლდა ქრისტიანული რწმენისაგან. ისინი ქრისტიანული არ არის, მაშასადამე ანტიქრისტიანული მეცნიერებებია“ [6, ტ. 3, გვ. 31].

ჰეგელისაგან განსხვავებით — რომელიც აშკარად არ აფასებს მეცნიერების გავლენას ფილოსოფიაზე, კერძოდ, არ სცნობს ბუნებისმეტყველების მიღწევებს — ფოიერბახისათვის რწმენისაგან ადამიანური გონების განთავისუფლებაში რელიგიური მეცნიერება ფილოსოფიის სამსახურში დგას.

ორიენტაცია ფილოსოფიური მოძღვრების ათეისტურ შინაარსზე, ერთის მხრივ, და განუწყვეტელი კავშირი პროგრესულ ბუნებისმეცნიერებებთან, მეორეს მხრივ, ფოიერბახს უზიძგებდა უპირატესად მატერიალისტური მოძღვრებების გამოყოფისა და მათი როლის განსაკუთრებული შეფასებისაკენ. საპირისპირო პოზიციები ნათლად ჩანს ორივე მოაზროვნის მიერ ახალი დროის ფილოსოფიური მოძღვრებების შერჩევასა და მათს შეფასებაში. ჰეგელი, როგორც აღნიშნავს ლენინი „აქებს და ლეჰავს მისტიკას — იდეალიზმს ფილოსოფიის ისტორიაში. უგულვებელყოფს და მუდმივად ამცირებს მატერიალიზმს“ [3, ტ. 29, გვ. 254].

თუმცა ფოიერბახი ახალი დროის ფილოსოფიის ისტორიის საწყისებს იტალიაში ხედავდა და აღორძინების პერიოდი მის საფუძვლად მიაჩნდა, მაგრამ ახალი ფილოსოფიის ნამდვილ დამწყებად მან მაინც ბეკონის ფილოსოფია დანახა, რამდენადაც ფოიერბახს მტკიცედ სწამდა, რომ ფილოსოფიის განთავისუფლება იწყება ბუნების მეცნიერული კვლევისადმი ინტერესის აღდგენით და რომ ახალი დროის ფილოსოფიას იწყებენ ის სისტემები, რომლებიც აფუძნებენ ცდის ღირებულებასა და მნიშვნელობას.

ბეკონი მეცნიერული აზროვნების თავისუფლებას მოითხოვს, მაგრამ ამასთანავე როგორც თავისი დროის შვილი, კავშირს ვერწყვეტს რელიგიასთან. ფოიერბახი ბეკონის ფილოსოფიაში წინ წამოსწევს მატერიალისტურ ტენდენციებს. ბეკონის დამსახურებად მიიჩნევს მის მცდელობას გამოეყვანა მეცნიერება „ბერისისაგან“ და უშუალოდ შესწავლა ბეკონისა ადამიანის ცოდნის საფუძვლად ბუნების საგანთა წესისკენ გამოაცხადა. რაც ღირსია არსებობის, ის ღირსია აგრეთვე ცოდნად გადაქცევისა. ობიექტურად არსებობის უფლება კი მხოლოდ ბუნებას აქვს — ამტკიცებს ბეკონი. ამაში მდგომარეობს, ფოიერბახის აზრით, ბეკონის ისტორიული დამსახურება.

ჰეგელი ბეკონს უწოდებს „ყოველი ცდისეული ფილოსოფიის სარდალს“. მაგრამ მის ინტერესს ბუნების შესწავლისადმი უარყოფითად აფასებს, ვინაიდან, მან უარყო რა სქოლასტიკური მეთოდი, მთელი ყურადღება მიაპყრო არა სულის შესწავლას, არამედ ბუნების საგნებს.

ბეკონის მოძღვრებასთან კავშირში იხილავს ფოიერბახი ჰობსის ფილოსოფიას. ჰობსი ამთავრებს ბეკონის მიერ დაწყებულ საქმეს, ასაბუთებს ახალ 4. „მაინე“, ფილოსოფიისა და ესქოლოგიის სერია, 1990, № 4

ფილოსოფიას, როგორც მატერიალიზმს; მექანიკურ მატერიალიზმს ამდიდრებს რაციონალიზმის ელემენტებით. ჰეგელი კი ჰობსს აკრიტიკებს იმის გამო, რომ მან გამოიყენა „ემპირიის დაკარგებული სული ფილოსოფიის დასაფუძნებლად“, მაგრამ, როგორც შენიშნავს ფოიერბახი, „სწორედ ამ დაცარიელებულ და გაუცხოებულ გონში, აზროვნების ამ ექსცენტრიულ მატერიალობაში მდგომარეობს ინტერესი და ჰობსის სისტემის ისტორიული მნიშვნელობა, მისი აუცილებლობა და კავშირი ახალი დროის ფილოსოფიის ისტორიასთან, მისი გამართლება და ღირსება“ [6, ტ. 1, გვ. 134]. „ლევიათანი“ ჰობსი აჩვენებს რომ სარწმუნოება შიშის შედეგად არის წარმოშობილი. სადაც მეცნიერული დისკუსია იწყება, იქ ღმერთის საქმე წაგებულია — ამბობს ჰობსი. როგორც შემდეგ ფოიერბახი, ჰობსიც ამტკიცებდა, რომ ღმერთი თვითონ ადამიანებმა შექმნეს, თუმცა ჰობსი საბოლოოდ მაინც აღიარებს ღმერთს, მაგრამ მისი თეიზმი არსებითად ათეიზმია. მისი ღმერთი მხოლოდ უარყოფითი არსებაა, უფრო სწორად „არა — არსია“, შენიშნავს ფოიერბახი.

ფოიერბახმა ნათლად უჩვენა, რომ ჰობსთან რელიგიის აუცილებლობის აღიარება ნაკარნახევი იყო გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური მოსაზრებებით.

ემპირიული ფილოსოფიის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს ფოიერბახი პიერ გასენდის მოძღვრებას. ჰეგელი გასენდს მიიჩნევს მხოლოდ ძველი ატმისტკის რეფორმატორად. ფოიერბახისათვის კი გასენდი დამოუკიდებელი მოაზროვნეა, „ეპიკურე მხოლოდ ამოსავალი წერტილია გასენდის საკუთარი აზრებისათვის“. ამასთანავე ფოიერბახი აკრიტიკებს გასენდს მისი არათანმიმდევრობისათვის რელიგიასთან მიმართებაში. იცავდა რა სამყაროს მექანიკურ კონცეფციას, გასენდი ცდილობდა შეეთანხმებინა ის ქრისტიანულ თეოლოგიასთან, ღმერთს ატომების შემქმნელად აცხადებდა. ფოიერბახის აზრით, ატომები თავად არიან აბსოლუტური ათეისტები, რომლებიც ისევე ცოტას ზრუნავენ ღმერთზე, როგორც ეპიკურეს ღმერთი სამყაროსა და ატომებზე. ატომების ბუნებიდან არ გამომდინარეობს მათი შექმნა ღმერთის მიერ — როგორც ამტკიცებს გასენდი. გასენდის აზროვნების პირინციპი — შენიშნავდა ფოიერბახი — ეწინააღმდეგება მის რელიგიურ პრინციპს. როგორც მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავდნენ, გასენდის მოძღვრების ყველა ეს წინააღმდეგობა აიხსნება იმით, რომ მას სურდა თავისი კათოლიკური სინდისი შეერიგებინა თავის აზროვნებასთან, ეპიკურე — ეკლესიასთან.

გერმანულ მისტიკოს იაკობ ბოემეს ჰეგელი პირველ გერმანულ ფილოსოფოსად აცხადებს, ვინაიდან ის პროტესტანტული პრინციპი — ინტელექტუალური ქვეყანა შენს საკუთარ სულის სიღრმეში ჩაიტანო და ყველაფერი, რაც ჩვეულებრივ გარეთ იყო მოთავსებული, შენს საკუთარ თვითცნობიერებაში იხილო — ჰეგელს მიაჩნდა გერმანული სულისა და მისი ფილოსოფიის საკუთრებად.

ფოიერბახი ბოემეს ფილოსოფიის მისტიკურ ფორმასთან ერთად უჩვენებს მის რაციონალურ შინაარსს, — აზროვნების დიალექტიკურ უნარს. ბოემესთან ღმერთი წარმოადგენს ცოცხალ სულს მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადაც თავისთავში შეიცავს თავის განსხვავებას. ფოიერბახი მიუთითებს, რომ თავის ნატურფილოსოფიაში ბოემე ცდილობს ახსნას არა მხოლოდ ღმერთის არსება, არამედ მისგან ბუნების წარმოშობაც. მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ფოიერბახი იმ მოაზროვნეთა განხილვაზე, რომლებიც ჰე-

გელის აზრით, წარმოადგენენ საკუთრივ ახალი დროის ფილოსოფიას, რომლის საწყისი შექმნა დეკარტემ, საფუძველი დაუდო რა სუბსტანციის კატეგორიების შემუშავებას, რომელიც შემდგომ განავითარეს სპინოზამ და მალბრანშმა.

დეკარტეს ფილოსოფია ცდილობს შეარიგოს ახალი დროის რაციონალიზმი და სუბიექტივიზმი იდეალისტური ფილოსოფიის უნივერსალიზმთან. მარქსი აღნიშნავდა, რომ დეკარტმა მოწყვიტა ფიზიკა თავის მეტაფიზიკას. ფიზიკის სფეროში მატერია წარმოადგენს ერთადერთ სუბსტანციას, ყოფიერებისა და შემეცნების ერთადერთ საფუძველს. მეტაფიზიკაში კი სული არის ერთადერთი სუბსტანცია. ღმერთი, რომელიც უმაღლესია და მათზე მაღლა დგას, წარმოადგენს ორივე სუბსტანციის შემოქმედს. ჰეგელს განსაკუთრებით მოსწონს დეკარტეს რაციონალიზმი — ის, რომ დეკარტესთვის ყველაფერი აზროვნებით არის რეზულტირებული. ჰეგელის მიხედვით, დეკარტე არის ჰეროსი, რომელმაც ფილოსოფიის მთელი საქმე კიდევ ერთხელ თავიდან დაიწყო, ათასი წლების შემდეგ ფილოსოფია საკუთარ ნიადაგს დაუბრუნა.

ფოიერბახისთვის დეკარტეს ფილოსოფია საინტერესოა უმთავრესად შექვეების პრინციპის დაყენებით. დეკარტეს სახით ადამიანური აზროვნება ამტიკებს თავის თავს, როგორც სუვერენული და ჰეგემარითი ყოფიერება. მისი პრინციპი „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“ — არის არა სკეპტიციზმი, არამედ მეცნიერული შემეცნების პრინციპების ძიება. ფოიერბახი დეკარტეს დამსახურებას ხედავს იმაში, რომ მან რამდენადმე მყარად განავითარა თავისი შეხედულება ბუნებაზე.

1947 წელს ფოიერბახი ისევ უბრუნდება დეკარტეს ფილოსოფიის განხილვას სპეციალურ განყოფილებაში „დასკვნითი შენიშვნები დეკარტეს ფილოსოფიაზე“. ფოიერბახი ცდილობს რელიგიასთან კავშირში ახსნას დეკარტეს იდეების მნიშვნელობა. თუკი ქრისტიანობაში საწყისია „ღმერთი არის სული“, დეკარტთან არის „მე ვარ სული“. ფოიერბახი დეკარტეს ფილოსოფიაში შენიშნავს რელიგიის ანთროპოლოგიური ახსნის წინამძღვრებს.

ახალი დროის იდეალიზმი, განსაკუთრებით კი დეკარტეს ფილოსოფია — როგორც აღნიშნავს ფოიერბახი — ასახავს ადამიანური თვითშემეცნების გამოვლიძებას რელიგიის მრავალწლიანი ბატონობის შემდეგ, გამოხატავს მისწრაფებას თავისუფალი შემეცნებისადმი. ამდენად, დეკარტე როგორც ფილოსოფოსი არ იყო კათოლიკე და რამდენადაც კათოლიკე იყო, არ იყო ფილოსოფოსი — მიუთითებს ფოიერბახი.

დეკარტეს შემდეგ ფოიერბახი იხილავს ოკაზიონალიზმის წარმომადგენელის არნოლდ გელინქსის შეხედულებებს, რომელიც საერთოდ არ განიხილება ჰეგელის მიერ. ფოიერბახი თვლის, რომ მალბრანში განვითარების შემდგომი საფეხურია, ვინაიდან მასთან ღმერთი გამოდის როგორც სამყაროს ცენტრი, ერთადერთი სუბსტანცია, მისთვის დამახასიათებელი აზროვნებათა და ვრცეულობით. განვითარების ეს ხაზი — ღმერთის თეოლოგიური გავების გადალახვა ფილოსოფიით — დაამთავრა სპინოზამ. მისი მოძღვრებით განისაზღვრება „განთავისუფლება ანუ განწმენდა ყოველგვარი თეოლოგიისა და თეოლოგიური მეტაფიზიკისაგან. ის არის წმინდა, აბსოლუტურად დამოუკიდებელი ფილოსოფია“ [6, ტ. 1, გვ. 376].

პეგელი იძლევა სპინოზას ფილოსოფიის იდეალისტურ ინტერპრეტაციას. მისი აზრით, „სპინოზას სისტემა არის აზრებში აყვანილი აბსოლუტური პანთეიზმი და მონოთეიზმი. პეგელისაგან განსხვავებით, ფოიერბახი მიუთითებს სპინოზას ფილოსოფიის მატერიალისტურ ელემენტებზე. სპინოზამ, ქრისტიანული რელიგიის საპირისპიროდ გააღმერთა ბუნება და ის გადააქცია ადამიანის შემოქმედ მიზეზად. სწორედ ამაშია მისი დამსახურება — დანახული ფოიერბახის მიერ.

ბუნებისა და ღმერთის გაიგივება თავისთავად იყო გარკვეული ეტაპი ფილოსოფიის რელიგიისაგან განთავისუფლების გზაზე. „სპინოზა — მიუთითებდა ფოიერბახი — არსებითად მივიდა ღმერთის უარყოფამდე, მაგრამ მას არ აწყობდა ათეისტობა და უარი თქვა რა ღმერთისა და ბუნების დუალიზმზე; გააღმერთა ბუნება, მისცა მას არაგრძნობადი, თეოლოგიური ხასიათი. იქ, სადაც ღმერთი გაიგივებულია ანუ არეულია ბუნებასთან, ანუ პირიქით, ბუნება ღმერთთან — იქ არ არის არც ღმერთი, არც ბუნება, არამედ არის მისტიკური ამფიბიოლოგიური ნარევი — ამაშია სპინოზას ძირითადი ნაკლი“ [6, ტ. 11, გვ. 126].

სპინოზას მეტე გონებისა და რწმენის კომპრომისისაყენ ნაბიჯი გადადგა ლაიბნიცმა. მან სპინოზას საყოველთაო კავშირის პრინციპი გაამდიდრა დიალექტიკით. სპინოზას უსიციოცხლო და უმოძრაო სუბსტანცია გააცოცხლა, მიანიჭა რა განვითარების უნარი, მოქმედება — ხაზს უსვამს ფოიერბახი ლაიბნიცის თვალსაზრისის დახასიათებისას — ეს არის მისი ფილოსოფიის პრინციპი. იმის მიზეზით, რომ არსებობს არა ერთი სუბსტანცია, არამედ სუბსტანციები, მონადები ერთმანეთს უკავშირდებიან მხოლოდ მატერიის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დარჩებოდნენ საყოველთაო კავშირის გარეშე. მეორეს მხრივ, ლაიბნიცი ცდილობდა გადაეწყვიტა სამყაროს ერთიანობის საკითხი წინასწარმოწყობილი ჰარმონიის ანუ ღმერთის საშუალებით, (რასაც ფოიერბახი ლაიბნიცის მოძღვრების სუსტ მხარედ მიიჩნევდა). „არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს მოკრძალებული დამოკიდებულება თეოლოგიისადმი შინაგანად უარყოფით კვალს ამჩნევდა მის ფილოსოფიას“ [6, ტ. 2, გვ. 223].

ლაიბნიცის ფილოსოფიის ანალიზისას ფოიერბახი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რელიგიის უარყოფით როლს, თეოლოგიისაგან ფილოსოფიის განთავისუფლების პროცესის სირთულეს და წინააღმდეგობრიობას. ახალი დროის ფილოსოფიის სული ანტითეოლოგიურია, მაგრამ მისი წარმომადგენლები კი არიან თავისუფალნი თეოლოგიისაგან. ამის გამოხატულებაა ლაიბნიცის ფილოსოფია. „იქ სადაც ლაიბნიცი აძლევს ხარკს თეოლოგიას, ის უკუაგდებს თავის საუკეთესო აზრებს და ხელს უშლის აიყვანოს ღრმა პრობლემები მის უკანასკნელ, დამამთავრებელ საფეხურებამდე. სადაც შეიძლებოდა ფილოსოფოსობის გაგრძელება, ის პირიქით იქცევა, სადაც აუცილებელი იყო მეტაფიზიკური განსაზღვრულობის მოცემა, მეტაფიზიკური გამოხატულების მოძებნა, ის ითქვიფება თეოლოგიურ სახეებში. იქ, სადაც ლაიბნიცი გამოდის როგორც ფილოსოფოსი, ის ვარდება რელიგიური შემეცნების მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში. რწმენა — ამბობს ფოიერბახი — ყოფს კაცობრიობას, შემოსაზღვრავს მას. ის ეშმაკისეული სიხარულით ისტუმრებდა ჯოჯოხეთში ყველაზე ღვთიურ, კეთილშობილ წარმომადგენლებს ანტიკური სულისა. ამიტომ ლაიბნიცის ფილოსოფიის ისტორიული მნიშვნელობა უპირველესად

იმაში მდგომარეობს, რომ მას თავისი ეპოქის ორთოდოქსალური შეზღუდულობის მიუხედავად თავისი სულიერი პორიზონტი არ გამოუყვია ჩინური კედლით, რომელიც რწმენამ აღმართა ქრისტიანულ და სიტყვიერ სამყაროს შორის“ [6, ტ. 2, გვ. 132].

ისტორიულ-ფილოსოფიური გამოკვლევების ციკლი მთავრდება პიერ ბეილით. ფოიერბახის მიხედვით, ბეილი იყო ის მოაზროვნე, რომელმაც მკაცრად დაგმო თეოლოგების მტკიცება იმაზე, რომ მორალი აუცილებლობით დაკავშირებულია რელიგიასთან. ასე რომ იფიქრო, ეს ნიშნავს ისტორიული ფაქტების წინააღმდეგ წახვიდე. განა ქრისტიანი ხალხები, რომლებიც სახარებით ხელმძღვანელობდნენ, ყოველთვის იყვნენ მშვიდობიანი და თვინვიროი?!

ფოიერბახი მთლიანად იზიარებს ბეილის აზრს იმაზე, რომ თვისებებისაგან შემდგარი საზოგადოება ისევე კარგად განახორციელებდა იმ ზნეობრივ და მოქალაქეობრივ ნორმებს, როგორც ნებისმიერი სხვა საზოგადოება. ბეილის მიხედვით, დიდი უხეშობაა ის აზრი, თითქოს ათეისტს შეუძლია ჩაიღიანოს ნებისმიერი დანაშაული, ვინაიდან არ ეშინია დასჯის. გონების რელიგიის გარეშე შეუძლია უჩვენოს ადამიანს ზნეობრივი მოქმედების გზა.

ფოიერბახის აზრით, ბეილს დეკარტეს მსგავსად არ შეეძლო რელიგიასთან გაეწყვიტა კავშირი. ის იძულებული იყო ხარკი მოეხადა გაბატონებული რელიგიური რწმენის წინაშე.

ამრიგად, ფოიერბახმა აჩვენა, რომ ახალი დროის ფილოსოფოსების — ბეკონის, ჰობსის, გასენდის, დეკარტეს, ლიბნიცის, სპინოზასა და ბეილის მოძღვრებები არის წინააღმდეგობა ბუნებასა და რწმენას, მეცნიერებასა და რელიგიას, ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის. ყოველი მათგანი მისწრაფოდა ადამიანური გონება გაეთავისუფლებინა რელიგიის გავლენისაგან, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ბოლომდე ვერ განთავისუფლდა რწმენისა და გონების დუალიზმისაგან. ფოიერბახი მოითხოვდა თანმიმდევრობასა და უკომპრომიზობას ამ საკითხში. ამასთანავე ათეიზმი ფოიერბახისათვის უბრალოდ ღმერთის უარყოფა არ იყო. ღმერთის უარყოფით ფოიერბახი ამტკიცებდა გრძნობადს, ქვეშარტს. აქედან გამომდინარე, ადამიანის პოლიტიკურ, სოციალურ ადგილს — ილუზორული, ფანტასტიკური ადამიანის ნაცკლად. მისთვის ღმერთის ყოფნის ან არყოფნის საკითხი არის ადამიანის არსის ან არარსის საკითხი.

ამრიგად, ფოიერბახს არ აკმაყოფილებდა თავისი წინამორბედების ნეგატიური ათეიზმი. ის მოითხოვდა ადამიანის აქტიურობის დამკვიდრებას. მოგვიანებით მარქსი, რომელიც ფოიერბახის ფილოსოფიას გულისხმობდა, ამის თაობაზე წერდა: „რელიგიის კრიტიკა იმ მოძღვრებით მთავრდება, რომ ადამიანი უმალღესი არსებაა ადამიანისათვის. მთავრდება კატეგორიული იმპერატივით, რომელიც მოითხოვს, რომ დავაშოთ ყველა ის ურთიერთობა, რომელშიც ადამიანი დამცირებული, დამონებული, უსუსური საქმლველი არსებაა“ [6, გვ. 14, 15].

მარქსიზმის კლასიკოსები რელიგიის კრიტიკის ისტორიაში მიუთითებდნენ რა ფოიერბახის უდიდეს დამსახურებაზე, ამავე დროს აღნიშნავდნენ ამ კრიტიკის არათანმიმდევრულობას, ფოიერბახის მატერიალიზმის მკვრეტელობით ხასიათს. ფოიერბახმა განახორციელა მარქსამდელ ფილოსოფიაში XVII საუკუნის დასავლეთ ევროპული ფილოსოფიის სრული გამოკვლევა. მან მნიშ-

ენელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ ჰეგელისეულ ფილოსოფიურ-ისტორიულ კონცეფციასთან შედარებით, შეარყია მისი იდეალისტური საფუძვლები და წინ წამოსწია ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული განვითარებისათვის მრავალი არსებითი მხარე.

მან განსაზღვრა ფილოსოფიის ისტორია, როგორც ფილოსოფიური აზრის რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია და რადგან რელიგიის, თეოლოგიის წინააღმდეგ მებრძოლ ფილოსოფიად მას მატერიალიზმი მიაჩნია, ამიტომ ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერების საგნად დასაბა მატერიალიზმის ისტორიული განვითარების შესწავლა. ფილოსოფიის ისტორიის განვითარების კანონზომიერება კი გაიგო როგორც ბუნებისმეცნიერების მიღწევებთან დაკავშირებული ფილოსოფიური მატერიალიზმის მიერ რელიგიისა და იდეალიზმის დაძლევა.

ამით ფიგურბახმა მოამზადა საფუძველი ჰეგელის ფილოსოფიურ-ისტორიული კონცეფციის კრიტიკული დაძლევისა და ფილოსოფიის ისტორიის მარქსისტული თეორიის შექმნისათვის.

ლიტერატურა

1. მარქსი კ. ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი, თბ., 1971.
2. Маркс К., Энгельс Ф. Из ранних произведений, М., 1955.
3. Ленин, Сочинения, т. 29, М., 1946.
4. Гегель Г. Сочинения, т. IX, М.—Л., 1935.
5. Гегель Г. Сочинения, т. XI, М.—Л., 1935.
6. Фейербах Л. Сочинения, т. 1, 2, 3, М., 1955.

მ. მ. ნაკეხია

ФЕЙЕРБАХ ОБ ОТНОШЕНИИ ФИЛОСОФИИ К РЕЛИГИИ

(Историко-философский аспект)

Резюме

Л. Фейербах в истории философии имеет фундаментальные труды. Его интерес к предмету — результат влияния Гегеля, который первым внес в учебную программу Берлинского университета систематический курс истории философии.

Отношение Фейербаха к историко-философской концепции Гегеля с самого начала было творческим и критическим.

Характерная особенность всех историко-философских сочинений Фейербаха состоит в том, что они пронизаны борьбой против религиозного мировоззрения. Мыслитель рассматривает в них историю философии как процесс освобождения человеческого разума из-под власти религии и теологии.

Гегель противопоставлял религию и философию по форме, объявляя философию более адекватным выражением истины, а религию — ее отражением в символических представлениях. Фейербах противопоставляет их по существу и приходит к материализму через полное преодоление религии.

Этим Фейербах подготовил почву для критического преодоления историко-философской концепции Гегеля и создания марксистской теории истории философии.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ფსიქოლოგია

ციცინო მავზარაშვილი

სტრესის გავლენა გადაწყვეტილების პროცესში ალტერნატივათა გადაფასებაზე

სტრესის ცნება სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად შემოიტანა კანადელმა მეკლევარმა პ. სელიემ [8]. იგი ასე განსაზღვრავს სტრესს: „სტრესი არის ორგანიზმის არასპეციფიკური პასუხი მისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე“ [8, გვ. 27]. ეს მოთხოვნა აღმოცენებული სიძნელისადმი შეგუების მოთხოვნა. პ. სელიეს მიხედვით, სტრესის დონე მით უფრო დაბალია, რაც უფრო გულგრილია ადამიანი, სტრესის მინიმალურ დონეს ადგილი აქვს ძილის დროს, მაგრამ ეს მინიმალური დონე არ არის ნულოვანი, სტრესის ნულოვანი დონე უდრის სიკვდილს. სტრესის ფენომენით დაინტერესებულ მეკლევართა უმეტესობა არ იზიარებს პ. სელიეს აზრს იმის შესახებ, რომ ადამიანი ყოველთვის განიცდის სტრესს, მაგრამ ყველა მეკლევარის აზრით, სტრესორის (დამაზიანებლის) მოქმედება ორგანიზმზე გამოიხატება ამ ორგანიზმში ჰომეოსტაზის დარღვევაში, ხოლო სტრესი მდგომარეობს ამ ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში [1, 7, 8]. როგორც ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, ყველა სქემატური შეხედულება სტრესოგენულ პირობებზე მრავალ ასპექტში ემთხვევა ემოციოგენურ ფაქტორებზე სქემატურ შეხედულებებს, რადგან სტრესის ძირითად კომპონენტს ყოველთვის წარმოადგენს ესა თუ ის ემოცია. პ. ფრესს მიაჩნია, რომ „არ არსებობს ემოციოგენური სიტუაცია, როგორც ასეთი. იგი დამოკიდებულია სუბიექტის შესაძლებლობებსა და მის მოტივაციას შორის არსებულ მიმართებაზე“ [9, გვ. 78]. ემოციოგენური სიტუაცია, მისი აზრით, აღმოცენდება მაშინ, როდესაც ინდივიდს გააჩნია ადაპტაციის საშუალებებთან შედარებით ჭარბი მოტივაცია სხვადასხვაგვარი ემოციოგენური სიტუაციების კლასიფიკაციის მიზნით პ. ფრესი აჯგუფებს მათ სამ ჯგუფად, რომელთაგან პირველი ჯგუფის დამახასიათებელი თვისებაა სი-ახლე, მეორე ჯგუფის — უჩვეულობა, და მესამეი — მოულოდნელობა, მაგრამ თვითონვე აღნიშნავს, რომ მრავალი სიტუაცია ხასიათდება ამ თვისებებიდან რამდენიმე მათგანით [9].

ჩვენის აზრით, სტრესული მდგომარეობა ისეთი მდგომარეობაა, რომელიც ხასიათდება რომელიმე, მათ შორის შფოთვის, ემოციის აღმოცენებითა და გაზრდით და ამავე დროს არსებული გარემო პირობებისადმი ადამიანის შეგუების გაძნელებით: ხოლო სტრესოგენული სიტუაცია ისეთი სიტუაციაა, რომელიც აღნიშნულ ძვრებს იწვევს ადამიანში, ანუ რომელიც იწვევს რომელიმე, მათ შორის შფოთვის, ემოციის აღმოცენებასა და გაზრდას და ამავე დროს არსებული პირობებისადმი შეგუების გაძნელებას — შესაბამისად, ადამიანის ადაპტაციური უნარებისა და სისტემების უფრო მეტ მობილიზაციას, ვიდრე ეს ხდება ნეიტრალურ სიტუაციაში.

ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად უხდება საქმიანობა სტრესოგენულ სიტუაციაში. ზოგჯერ რაღაც მიზეზით აღმოცენებულ სტრესოგენულ სიტუაციაში პიროვნება ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც შინაარსობრივად არ არის დაკავშირებული სტრესორთან. მაგალითად, სტრესოგენულ სიტუაციაში ადამიანს ხშირად უწევს ხოლმე გადაწყვეტილების მიღება, რაც მდგომარეობს რამდენიმე ალტერნატივიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობაში.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები გადაწყვეტილების პროცესში ალტერნატივათა გადაფასების აღმოცენებისა და ამ ფენომენის ფსიქოლოგიური მექანიზმის შესახებ ნეიტრალურ მდგომარეობაში. კოგნიტური დისონანსის თეორიის მიხედვით, რომლის ავტორია ლ. ფესტიჩერი, ალტერნატივათა გადაფასებას ადგილი აქვს მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და მას უპირატესად აქვს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი მიმართულება — ე. ი. იხრდება ამორჩეული ალტერნატივის მიმზიდველობა და მცირდება უკუგდებულისა; ამის მექანიზმს წარმოადგენს პიროვნებაში აღმოცენებული კოგნიტური დისონანსის რედუქციის ტენდენცია [10, 11, 13]. თვითაღქმის თეორიის მიხედვით, რომლის ავტორია დ. ბემი, ალტერნატივათა გადაფასება ასევე აღმოცენდება მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და მას ასევე აქვს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი მიმართულება, მაგრამ მის მექანიზმს წარმოადგენს პიროვნების მიერ საკუთარი, უკვე მიღებული, გადაწყვეტილების აღქმა და აქედან გამოტანილი დასკვნა, რომ მას თურმე ამორჩეული ალტერნატივა უფრო მოსწონს, ვიდრე უკუგდებული [10, 11, 12]. კონფლიქტის გადაჭრის თეორიის მიხედვით, რომლის ავტორები არიან ი. ჯეინისი, ლ. მანი, რ. ჩაპლინი, ვ. ტეილორი და სხვები, პიროვნებაში გადაწყვეტილების წინ შეიძლება აღმოცენდეს ორი სახის კონფლიქტი. ა) აქ და ახლა არსებული კონფლიქტი და ბ) ანტიციპირებული კონფლიქტი; პირველ შემთხვევაში ალტერნატივათა გადაფასება აღმოცენდება გადაწყვეტილების წინ და მას მომავალი გადაწყვეტილების შესაბამისი მიმართულება აქვს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ალტერნატივათა გადაფასება აღმოცენდება გადაწყვეტილების შემდეგ და მასაც გადაწყვეტილების შესაბამისი მიმართულება აქვს [10, 11, 14, 15, 16]. ქართული ფსიქოლოგები გადაწყვეტილების პროცესში ალტერნატივათა გადაფასების ფენომენს ხსნიან დ. უზნაძის განწყობის თეორიის პოზიციებიდან. მ. ბალიაშვილს მიაჩნია, რომ სოციალური განწყობის შეცვლის ფაქტი წარმოადგენს ფიქსირებული და აქტუალური განწყობების ურთიერთმოქმედების შედეგს, ხოლო სოციალური განწყობის შეცვლის სახე დამოკიდებულია ფიქსირებული და აქტუალური განწყობების მდგომარეობაზე [1]. ბ. თაგურის მოსაზრებით, გადაწყვეტილების აქტის წინარე სტადიაზე ალტერნატივათა განმსაზღვრელს წარმოადგენს მათ მიმზიდველობებს შორის სხვაობის დადგენის თეორიული ქცევის განწყობა, ხოლო გადაწყვეტილების აქტის შემდეგ ალტერნატივათა გადაფასების განმსაზღვრელად უნდა მივიჩნიოთ გადაწყვეტილების მიღებით აქტუალიზირებული, პრაქტიკული ქცევის განწყობა, რომელიც მომავალი ქცევის განხორციელებას ედება საფუძვლად [2]. როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება სტრესულ მდგომარეობაში? რა განსხვავებაა ნეიტრალურ მდგომარეობასა და სტრესულ მდგომარეობაში გადაწყვეტილების მიღებას შორის? დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგი-



ური თეორიის მიხედვით, გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდში პიროვნება ახორციელებს ინტელექტუალურ საქმიანობას, რომელიც არკვევს — თუ რა მოსაზრებით რა უნდა გადაწყვიტოს პიროვნებამ [5]. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სწორედ ეს პროცესი მთავრდება არსებულ ალტერნატივითა გადაფასებით, ე. ი. პიროვნება, მსჯელობს რა თითოეული ალტერნატივის დადებითა და უარყოფით მხარეებზე, მათი არჩევის გამო მოსალოდნელ შედეგებზე, აცნობიერებს ერთ-ერთი მათგანის უპირატესობას სხვებთან შედარებით. ასე ხდება, როდესაც პიროვნება ნეიტრალურ (არასტრესულ) მდგომარეობაშია, თუ განვიხილავთ ისეთ შემთხვევას, როდესაც სტრესორი და პიროვნების ისეთი საქმიანობა, როგორც არის გადაწყვეტილების მიღება, არ არის კავშირში ერთმანეთთან, ჩვენის აზრით, შემდეგ სურათს მივიღებთ: პიროვნება სტრესულ მდგომარეობაშია, რაც მის მიერ განიცდება, როგორც ნეგატიური მდგომარეობა; სტრესული მდგომარეობა და სტრესოგენული სიტუაცია პიროვნებისთვის აქტუალურებია მათი სტრესოგენულობის გამო, რის გამოც პიროვნების ცნობიერება, მისი ფსიქიკური უნარები მიმართულია ამგვარი სიტუაციის დაძლევისაკენ, სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლისაკენ. წარმოვიდგინოთ, რომ ამგვარ სიტუაციაში პიროვნების წინაშე დადგა გადაწყვეტილების მიღების ამოცანა, ანუ რამდენიმე ალტერნატივიდან ერთ-ერთის არჩევის ამოცანა, მაგრამ ისე, რომ ეს ალტერნატივები არ არის დაკავშირებული სტრესორთან. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, პიროვნება მიმართავს აზროვნებით-შეფასებით საქმიანობას, რომლითაც დაიწყება გადაწყვეტილების წინარე სტადია და რომელიც მიმართული იქნება მოცემული ალტერნატივებიდან საუკეთესოს გამოვლენისაკენ; მაგრამ რადგან სტრესული მდგომარეობის აქტუალობის გამო პიროვნების ცნობიერება, მისი ფსიქიკა მიმართულია სტრესოგენული სიტუაციისაკენ, სტრესორისაკენ, სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლისაკენ, ამიტომ პიროვნება სათანადო ყურადღებას ვერ დაუთმობს ალტერნატივითა განხილვას, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენას; მისი ინტელექტუალურ-შეფასებითი საქმიანობა იქნება ზერტლე და ხარვეზოვანი, რის გამოც ამ სტადიაზე პიროვნების მიერ გაცნობიერებული და გამოვლენილი ალტერნატივითა განსხვავება, მათი გადაფასება გამოხატული იქნება უფრო მცირე სიდიდით, ვიდრე ნეიტრალურ სიტუაციაში.

დ. უზნაძის მიხედვით, გადაწყვეტილების წინარე სტადიაზე აზროვნების პროცესს მოსდევს მოტივაციის პროცესი, რომლის შედეგადაც პიროვნება აცნობიერებს იმ ღირებულების უპირატესობას, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს მისთვის [5].

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღება პიროვნების დონეზე მიმდინარე ისეთი ფსიქიკური აქტივობაა, რომელიც მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას ემსახურება, ხოლო მიზანშეწონილი ქცევის საფუძველს წარმოადგენს ინდივიდის შინაგანი მდგომარეობა, რომელშიც ასახულია ინდივიდის მოთხოვნილება, მისი დაკმაყოფილების გარემო და პიროვნების ქცევის ინსტრუმენტალური შესაძლებლობები. აღნიშნული სამი ფაქტორის ერთიანობა ინდივიდში არსებობს გარკვეული ქცევის განხორციელების მზაობის, განწყობის სახით [4]. განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში გადაწყვეტილების მიღება განხილულია ნებელობითი პროცესების კონტექსტში. დ. უზნაძის მიხედვით, ყოველი გა-

დაწვევტილება, რომელსაც პიროვნება ღებულობს, განპირობებულია გარკვეული მოტივით. გადაწვევტილების მოსამზადებელ პერიოდში, მოტივაციის პროცესის დროს, ხდება მომავალი ქცევის განწყობის ფაქტორთა შერჩევა, ხოლო თვითონ გადაწვევტილების პერიოდში კი ხდება ამ შერჩეულ ფაქტორთა გაერთიანება, ანუ იმ ახალი განწყობის აქტუალიზაცია, რომელიც მომავალ ქცევას უნდა დაედოს საფუძვლად. რაიმე ახალი ქცევის სასარგებლოდ გადაწვევტილების მიღება ნიშნავს უფრო დიდი სუბიექტური ღირებულების, სუბიექტური მნიშვნელობის მქონე ქცევის სასარგებლოდ გადაწვევტილების მიღებას. ჩვენის აზრით, სტრესულ მდგომარეობაში გადაწვევტილების მოსამზადებელ პერიოდში პიროვნება ვერც გადაწვევტილების მოტივის მოძებნას დაუთმობს სათანადო ყურადღებას და, მაშასადამე, მოტივაციის პროცესიც ზერეღე იქნება, რადგან პიროვნების ცნობიერება მიმართულია სტრესორისაკენ. მაშასადამე, ჩვენის აზრით, გადაწვევტილების მოსამზადებელი პერიოდი სტრესულ მდგომარეობაში, ისევე, როგორც ნეიტრალურში, გულისხმობს ორი ფაქტორის მონაწილეობას — აზროვნებისა და მოტივაციის პროცესის, მაგრამ ნეიტრალური მდგომარეობისაგან განსხვავებით, სტრესულ მდგომარეობაში აღნიშნული ორივე ფაქტორი — როგორც აზროვნების, ასევე მოტივაციის პროცესები ზერეღე და ხარვეზოვანია, რაც გამოვლინდება გადაწვევტილების წინარე სტადიაზე ალტერნატივათა გადაფასების მცირე სიდიდით.

მოტივაციის პროცესი, ჩვენის აზრით, არ მთავრდება გადაწვევტილების მოსამზადებელ პერიოდში, იგი თან სდევს როგორც თვითონ გადაწვევტილების პერიოდს, ისე მის შემდგომ პერიოდს. მოტივაციის პროცესი ანიჭებს გადაწვევტილებას და მისგან გამომდინარე საქმიანობას აზრს, სუბიექტურ მნიშვნელობას, აძლევს იმპულსსა და მიმართულებას. როდესაც ადამიანი რაიმე საქმიანობას ახორციელებს, როგორც წესი, მისი საქმიანობა მოიცავს მის რამდენიმე მოთხოვნილებას, რომელთაგან ზოგის დაკმაყოფილება ხდება და ზოგის — ფრუსტრაცია. ადამიანის ქცევის მოტივი, რომელიც ქცევის აღმძვრელს წარმოადგენს და მას სუბიექტურ ღირებულებას, მნიშვნელობას აზრს ანიჭებს, ასახავს მოცემულ ქცევასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნილების სუბიექტურ ღირებულებას, ანუ ზოგიერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მაღალ სუბიექტურ მნიშვნელობას და სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების დაბალ სუბიექტურ ღირებულებას არსებულ მომენტში, არსებულ სიტუაციაში. გადაწვევტილების მიღების შემდეგ პერიოდში, როდესაც პიროვნებას უკვე ჩამოყალიბებული აქვს ნებელობითი ქცევის განწყობა და მის საფუძველზე ახორციელებს ქცევას ამორჩეული კურსით, მოტივაციის პროცესი ამ ქცევის განწყობის (ნებელობითი ქცევის განწყობის) სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს ანიჭებს აზრს, სუბიექტურ მნიშვნელობასა და ღირებულებას.

ჩვენის აზრით, სტრესულ მდგომარეობაშიც ფსიქიკური აქტივობის ასეთივე მიმდინარეობას აქვს ადგილი: მოტივაციის პროცესი, რომელიც აღმოცენდება გადაწვევტილების მოსამზადებელ პერიოდში და ხარვეზოვანია, არ მთავრდება ამავე პერიოდში, იგი თან სდევს როგორც გადაწვევტილების პერიოდს, ისე მის შემდგომ პერიოდს. იმისათვის, რომ სტრესულ მდგომარეობაში მყოფი პიროვნების მიერ მიღებულ გადაწვევტილებას აზრი, სუბიექტური მნიშვნელობა გააჩნდეს, უნდა შეივსოს მოტივაციური პროცესის ხარვე-

ზები, რომელიც მას ახასიათებს გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდში, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ისევე მოტივაციური პროცესის, გადაწყვეტილების შემდეგ მიმდინარე მოტივაციური პროცესის საშუალებით და რაც გამოიხატება გადაწყვეტილების პროცესში ქცევის არჩეული ალტერნატიული კურსის მიმზიდველობის გაზრდითა და ქცევის უკუგაღებული ალტერნატიული კურსის მიმზიდველობის შემცირებით.

მაშასადამე, ჩვენის აზრით, სტრესულ მდგომარეობაში გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდში ინტელექტუალური და მოტივაციური პროცესები ხარვეზოვანია, რის გამოც ალტერნატივათა გადაფასება გადაწყვეტილების წინარე სტადიაზე აღმოცენდება უფრო მცირე სიდიდით, ვიდრე ნეიტრალურ (არასტრესულ) მდგომარეობაში; მაგრამ გადაწყვეტილების შემდეგ პერიოდში მოტივაციის პროცესი ავსებს გადაწყვეტილების წინარე სტადიაზე მიმდინარე მოტივაციის პროცესის ხარვეზებს და განაპირობებს გადაწყვეტილების შემდეგ ალტერნატივათა გადაფასების კვლავ აღმოცენებას, რომელსაც აქვს გადაწყვეტილების შესაბამისი მიმართულება — ანუ იზრდება ამორჩეული ალტერნატივის მიმზიდველობა და მცირდება უკუგაღებულისა. სტრესულ მდგომარეობაში გადაწყვეტილების შემდეგ აღმოცენებული ალტერნატივათა გადაფასება, ჩვენის აზრით, უფრო მეტი სიდიდისაა, ვიდრე გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდში, ხოლო ნეიტრალურ მდგომარეობაში, ასეთ განსხვავებას ყოველთვის არ აქვს ადგილი, მოსალოდნელია გადაწყვეტილების წინ აღმოცენებული ალტერნატივათა გადაფასება უფრო მეტი სიდიდის იყოს, ვიდრე გადაწყვეტილების შემდეგ. ასეთ გავლენას ახდენს, ჩვენის აზრით, პიროვნების სტრესული მდგომარეობა გადაწყვეტილების პროცესში ალტერნატივათა გადაფასებაზე, როდესაც არსებული ალტერნატივები და სტრესორი შინაარსობრივად არ არის კავშირში ერთმანეთთან.

ჩვენი მსჯელობის ჭეშმარიტების შესამოწმებლად ჩავატარეთ ექსპერიმენტული კვლევა, რითაც მიზნად დავისახეთ პასუხი გავცეცა შემდეგ კითხვებზე:

1) სტრესულ მდგომარეობაში, როდესაც გადაწყვეტილების აქტი შინაარსობრივად არ არის დაკავშირებული სტრესორთან, ალტერნატივათა გადაფასება გადაწყვეტილების მოსამზადებელ სტადიაზე აღმოცენდება თუ გადაწყვეტილების შემდეგ?

2) გადაწყვეტილების წინ ალტერნატივათა გადაფასება ნეიტრალურ მდგომარეობაში უფრო მეტი სიდიდით ვლინდება თუ სტრესულში?

3) გადაწყვეტილების შემდეგ ალტერნატივათა გადაფასება ნეიტრალურ მდგომარეობაში უფრო მეტი სიდიდით ვლინდება თუ სტრესულში?

4) გადაწყვეტილების შემდეგ ალტერნატივათა გადაფასება გადაწყვეტილების წინ ალტერნატივათა გადაფასებისაგან როდის უფრო მეტად განსხვავდება: ნეიტრალურ მდგომარეობაში თუ სტრესულში?

ემპირიული გამოკვლევის ჩატარებისას ზემოთ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე ჩვენ წამოყენებული გეგმონდა შემდეგი ჰიპოთეზები:

1) სტრესულ მდგომარეობაში, როდესაც გადაწყვეტილება შინაარსობრივად არ არის დაკავშირებული სტრესორთან, ალტერნატივათა გადაფასება აღმოცენდება როგორც გადაწყვეტილების წინ, ისე მის შემდეგაც;

2) გადაწყვეტილების წინ ალტერნატივათა გადაფასება ნეიტრალურ მდგომარეობაში უფრო მეტი სიდიდით ვლინდება, ვიდრე სტრესულში;



3) გადაწყვეტილების შემდეგ ალტერნატივათა გადაფასება ნეიტრალურ-სა და სტრესულ მდგომარეობაში თითქმის თანაბარი სიდიდით ვლინდება და მათ შორის განსხვავება შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ გადაწყვეტილების მიმართ შესაბამისობაში;

4) გადაწყვეტილების შემდეგ აღმოცენებული ალტერნატივათა გადაფასება გადაწყვეტილების წინ ალტერნატივათა გადაფასებისაგან სტრესულ მდგომარეობაში უფრო მეტად განსხვავდება, ვიდრე ნეიტრალურში; ეს განსხვავება სტრესულ და ნეიტრალურ მდგომარეობებში შეიძლება საპირისპირო ნიშნის მატარებელიც იყოს.

აღნიშნული ექსპერიმენტული კვლევის ჩატარებისას გამოიყენეთ ორგენრალი შეფასების მეთოდი, ჩავატარეთ 4 ძირითადი და 2 საკონტროლო ექსპერიმენტი. I და II ექსპერიმენტი ჩავატარეთ სტრესოვანულ სიტუაციაში, ოსუ სტუდენტებზე სესიის პერიოდში, III და IV ექსპერიმენტი ჩავატარეთ ნეიტრალურ სიტუაციაში, ასევე ოსუ სტუდენტებზე საზაფხულო პრაქტიკის პერიოდში. ექსპერიმენტის მასალა და ინსტრუქცია ერთნაირი იყო I და III, აგრეთვე II და IV ექსპერიმენტში. ექსპერიმენტული კვლევისას ვახდენდით ორი ფაქტორის ცვლილებას: გადაწყვეტილების მიღების სტადიისა და სიტუაციის, რომელიც იყო სტრესული ან ნეიტრალური (არასტრესული) მდგომარეობის გამოიწვევი. ვიკვლევდით აღნიშნული ორი ფაქტორის გავლენას ალტერნატიული ობიექტების გადაფასებაზე.

I ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 26 სტუდენტმა. ექსპერიმენტი ტარდებოდა ინდივიდუალურად, გამოცდაზე შესვლის წინ. ცდისპირს ვაძლევდით ფურცელს, რომელზეც ჩამოწერილი იყო 20 პიროვნული თვისება. მას ინსტრუქციაში ვეუბნებოდით: „თქვენ გეძლევათ იმ 20 პიროვნული თვისებების სია, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენებიან ხოლმე ადამიანის დასახასიათებლად. თითოეული ეს თვისება შეაფასეთ თერთმეტსაფეხურიან სკალაზე (—5-დან +5-მდე, 0-ის, ჩათვლით) იმის მიხედვით, თუ რამდენად უნდა ახასიათებდეს იგი, თქვენის აზრით, ლექტორს — გამოცდელს. მაქსიმალურად სასურველ თვისებას მიანიჭეთ შეფასება „+ 5“, მაქსიმალურად არა სასურველს — „—5“, ხოლო 0 კი მიანიჭეთ ისეთ თვისებას, რომლებიც, თქვენის აზრით, სულერთია, ექნება ლექტორს — გამოცდელს, თუ არა“. ამ დავალების შესრულების შემდეგ ცდისპირი შედიოდა გამოცდაზე.

7—10 დღის შემდეგ ჩვენ კვლავ ვხვდებოდით იმავე ცდისპირებს, რომლებსაც ისევ ჰქონდათ გამოცდა. ჩვენ მათ ისევ გამოცდაზე შესვლის წინ ვუტარებდით ექსპერიმენტის შემდგომ პროცედურას, მაგრამ ჯერ ვთხოვდით 6 საფეხურიან სკალაზე (0-დან +5-ის ჩათვლით) შეეფასებინა საკუთარი შფოთვის დონე იმ მომენტში. ამის შემდეგ ჩვენ მათ ვაძლევდით ორ ბარათს, რომლებზედაც მოცემული იყო ოთხ-ოთხი თვისება თავდაპირველი 20 თვისებიდან. ცდისპირს ვაძლევდით ინსტრუქციას: „მოცემული თვისებების მიხედვით წარმოიდგინეთ ორი სხვადასხვა ლექტორი და წარმოიდგინეთ, რომ მათ წაიყვანეს სტუდენტთა ჯგუფი ექსკურსიაზე. თქვენი აზრით, როგორ მოიქცევა თითოეული ლექტორი ექსკურსიაზე? დაახსიათეთ მათგან მოსალოდნელი ქცევა!“ ამ დავალების შესრულებას სჭირდებოდა დაახლოებით 4—5 წუთი. ამის შემდეგ ცდისპირს ვაძლევდით შემდეგ ინსტრუქციას: „წარმოიდგინეთ, რომ ამ ორივე ლექტორმა მოგვით სამეცნიერო ხასიათის დავალება, რომელიც ვერ შეასრულეთ მოცემულ ვადაში და არც საპატიო მიზეზი გაქვთ თა-

ვის გასამართლებლად, თქვენის აზრით, როგორ მოიქცევა თითოეული მათგანი?“ ამ დავალების შესრულების შემდეგ ცდისპირს ვაძლევდით მესამე დავალებას: „წარმოიდგინეთ, რომ ეს ორივე ლექტორი ატარებს გამოცდას. საგამოცდო პროგრამა ძალიან კარგად იცით, მაგრამ გაქვთ ბევრი გაცდენა არასაპატიო მიზეზით. თქვენის აზრით, როგორ მოიქცევა თითოეული მათგანი?“ როდესაც ცდისპირი ამ დავალებასაც შეასრულებდა, ჩვენ მას ვთხოვდით გაეკეთებინა არჩევანი ამ ორ პიროვნებას შორის, თუ რომელი უნდოდა, რომ ყოფილიყო მისი ლექტორი — გამომცდელი და რატომ; უპირატესად რომელმა თვისებამ განაპირობა მისი არჩევანი. ეს შეკითხვა და სხვადასხვა სიტუაციებში ლექტორის მოსალოდნელი ქცევის დახასიათება, ჩვენის აზრით, იმისათვის იყო საჭირო, რომ ცდისპირს მაქსიმალურად გაეცნობიერებინა, თუ როგორი პიროვნებების შესახებ იყო ლაპარაკი ექსპერიმენტის მსვლელობისას და რომ ცდისპირი მაქსიმალურად მე-ჩართული ყოფილიყო არჩევანის გაკეთების დროს. ამის შემდეგ ცდისპირს ვაძლევდით ისევ თერთმეტსაფეხურიან სკალას და საწყის 20 პიროვნულ თვისებას და ვთხოვდით, ხელახლა შეეფასებინა ამ სკალის მიხედვით იგივე 20 თვისება იმის მიხედვით, თუ რამდენად უნდა ახასიათებდეს ისინი, მისი აზრით, ლექტორს — გამომცდელს. ამ პროცედურის დამთავრების შემდეგ ცდისპირი შედიოდა გამოცდაზე.

II ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 25 სტუდენტმა. ეს ექსპერიმენტი წინასაგამოცდო (ანუ სტრესოგენულ) სიტუაციაში ტარდებოდა I ექსპერიმენტის მსგავსად, მაგრამ მისგან განსხვავებით, მას შემდეგ, როდესაც ცდისპირი დაახასიათებდა ორი განსხვავებული პიროვნების — ლექტორის ქცევას საგამოცდო სიტუაციაში, მას ვაძლევდით საწყის 20 პიროვნულ თვისებას და ვთხოვდით შეეფასებინა ისინი თერთმეტსაფეხურიან სკალაზე — 5-დან +5-მდე 0-ის ჩათვლით) იმის მიხედვით, თუ რამდენად უნდა ახასიათებდეს ისინი, მისი აზრით, ლექტორს — გამომცდელს. ამის შემდეგ ვთხოვდით ცდისპირს ზემოთ აღნიშნული ოთხ-ოთხი თვისებით დახასიათებული ორი განსხვავებული პიროვნებიდან აერჩია ერთ-ერთი მათგანი თავის ლექტორად — გამომცდელად და აღენიშნა, უპირატესად რომელმა თვისებამ განაპირობა მისი არჩევანი. ამ პროცედურის დამთავრების შემდეგ ცდისპირი შედიოდა გამოცდაზე.

III ექსპერიმენტშიც მონაწილეობა მიიღო 25 ცდისპირმა. ექსპერიმენტი ტარდებოდა თსუ სტუდენტებზე I ექსპერიმენტის ანალოგიურად, მაგრამ არასაგამოცდო, ე. ი. არასტრესოგენულ სიტუაციაში, საზაფხულო პრაქტიკის დროს. სიტუაციის არასტრესოგენულობას ადასტურებდა ცდისპირთა მონაცემები საკუთარი შფოთვის დონის შესახებ, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ მათ ვაფასებინებდით ექვს საფეხურიან სკალაზე (0-დან +5-ის ჩათვლით).


IV ექსპერიმენტი ჩატარდა 25 ცდისპირზე II ექსპერიმენტის სქემის ანალოგიურად, მაგრამ არასტრესოგენულ სიტუაციაში.

V და VI ექსპერიმენტები საკონტროლო ხასიათის იყო. V ექსპერიმენტი ჩატარეთ საგამოცდო (ე. ი. სტრესოგენულ) სიტუაციაში; იგი მდგომარეობდა ზემოთ მოყვანილი 20 პიროვნული თვისების ორჯერად შეფასებაში გადაწყვეტილების აქტის გარეშე. ც. ბ.-ს გამოცდაზე შესვლის წინ ვთხოვდით, შეეფასებინა აღნიშნული პიროვნული თვისებები 11 საფეხურიან სკალაზე (—5-დან +5-მდე 0-ის ჩათვლით) იმის მიხედვით, თუ რამდენად უნდა ახა-

სიათბუდეს ისინი ლექტორს — გამოცდელს. 7—10 დღის შემდეგ, ჩვენ ისევ ვხვდებოდით იმავე ე. პებს, რომელთაც კვლავ ჰქონდათ გამოცდა და კვლავ გამოცდაზე შესვლის წინ ვთხოვდით შეესრულებინათ იგივე პროცედურა.

VI ექსპერიმენტი ჩავატარეთ V ექსპერიმენტის ანალოგიურად, მაგრამ ნეიტრალურ (არასაგამოცდო, ე. ი. არასტრესოგენულ) სიტუაციაში.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგების სტიუდენტის t კრიტერიუმით დამუშავებისას აღმოჩნდა (იხ. სქემა № 1):



სქემა № 1. ამორჩეულ და უაზრებულ ალტერნატივთა მიმზიდველობის ცვლილება გადაწყვეტილების წინ და გადაწყვეტილების შემდეგ სტრესოგენულ და ნეიტრალურ სიტუაციაში (სტრესულ და ნეიტრალურ მდგომარეობებში)

1) სტრესულ მდგომარეობაში (ე. ი. სტრესოგენულ სიტუაციაში) ამორჩეული ალტერნატივის სტატისტიკურად სანდო გადაფასებას ადგილი ჰქონდა გადაწყვეტილების შემდეგ ($M_2 - M_1 = 2,39$; $t = 1,63$; $p < 0,05$), ხოლო გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდში ამორჩეული ალტერნატივის გადაფასება სტატისტიკურად არ იყო სანდო ($M_2 - M_1 = 2,08$; $t = 1,56$; $p > 0,05$).

ნეიტრალურ მდგომარეობაში გადაწყვეტილების პროცესში ამორჩეული ალტერნატივის სტატისტიკურად სანდო გადაფასებას ადგილი ჰქონდა როგორც გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდში ($M_2 - M_1 = 2,64$; $t = 1,89$; $0,05 > p > 0,025$), ისე გადაწყვეტილების შემდეგაც ($M_2 - M_1 = 2,48$; $t = 1,88$; $0,05 > p > 0,025$).

სტრესოგენულ სიტუაციაში უაზრებულ ალტერნატივის გადაფასება მცირე იყო როგორც გადაწყვეტილების წინ ($M_2 - M_1 = -1,52$) ისე გადაწყვეტილების შემდეგ ($M_2 - M_1 = -1,8$); უაზრებულ ალტერნატივის გა-

დაფასება ნეიტრალურ სიტუაციაში გამოვლინდა მცირე სიდიდით როგორც გადაწყვეტილების წინ ($M_2 - M_1 = -1,48$), ასევე გადაწყვეტილების შემდეგაც ($M_2 - M_1 = -0,88$).

სტრესოგენულ სიტუაციაში ალტერნატივათა (როგორც ამორჩეულის, ისე უგუჯდებულის) ერთობლივი გადაფასება გადაწყვეტილების წინ ტოლი იყო $M_2 - M_1 = 3,6$ რაც სტატისტიკურად სანდო სიდიდეს წარმოადგენს ($t = 1,94; 0,05 > p > 0,025$).

ნეიტრალურ სიტუაციაში ალტერნატივათა ერთობლივი გადაფასება გადაწყვეტილების წინ ტოლი იყო $M_2 - M_1 = 4,12$ სიდიდის, რაც ასევე სტატისტიკურად სანდო სიდიდეს წარმოადგენს ($t = 2,34; 0,025 > p > 0,01$).

სტრესოგენულ სიტუაციაში ალტერნატივათა ერთობლივი დისკრიმინაცია გადაწყვეტილების შემდეგ ტოლი იყო $M_2 - M_1 = 4,19$ სიდიდის, რაც სტატისტიკურად სანდოა ($t = 2,09; 0,025 > p > 0,01$).

ნეიტრალურ სიტუაციაში გადაწყვეტილების შემდეგ ალტერნატივათა ერთობლივი დისკრიმინაცია ტოლი იყო $M_2 - M_1 = 3,36$ სიდიდის, რაც ასევე სტატისტიკურად სანდო სიდიდეს წარმოადგენს ($t = 1,8; 0,05 > p > 0,025$).

თხზივე შემთხვევაში ალტერნატივათა ერთობლივი დისკრიმინაცია ხორციელდებოდა უპირატესად ამორჩეული ალტერნატივის მიმზიდველობის გაზრდით, და არა უკუგდებულ ალტერნატივის მიმზიდველობის შემცირებით.

საკონტროლო თვისებებმა, რომლებიც არ მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების აქტში, განიცადეს მცირე გადაფასება როგორც სტრესოგენულ, ისე ნეიტრალურ სიტუაციებში, როგორც გადაწყვეტილების წინ, ისე მის შემდეგ. კერძოდ, სტრესოგენულ სიტუაციაში საკონტროლო თვისებებმა გადაწყვეტილების წინ განიცადეს გადაფასება $M_2 - M_1 = 1,92$ სიდიდით, ხოლო გადაწყვეტილების შემდეგ $M_2 - M_1 = 1,27$ სიდიდით, ნეიტრალურ სიტუაციაში მათ გადაწყვეტილების წინ განიცადეს გადაფასება $M_2 - M_1 = 0,44$ სიდიდით, ხოლო გადაწყვეტილების შემდეგ $M_2 - M_1 = 0,52$ სიდიდით.

ჩვენ იგივე სიდიდეები გამოვთვალეთ საკონტროლო ექსპერიმენტული (V და VI) ჯგუფებისათვისაც. აღმოჩნდა, რომ საკონტროლო ექსპერიმენტებში როგორც სტრესოგენულ, ისე ნეიტრალურ სიტუაციებში მცირედ შეიცვალა იმ თვისებათა შეფასება, რომლებიც ძირითადად ექსპერიმენტში გადაწყვეტილების აქტში მონაწილეობდნენ (სტრესოგენულ სიტუაციაში $M_2 - M_1 = 1,13$, ნეიტრალურ სიტუაციაში $M_2 - M_1 = 71$); აგრეთვე მცირედ შეიცვალა იმ თვისებათა შეფასება, რომლებიც ძირითად ექსპერიმენტში გადაწყვეტილების აქტში არ მონაწილეობდნენ (სტრესოგენულ სიტუაციაში $M_2 - M_1 = 1,21$; ნეიტრალურ სიტუაციაში $M_2 - M_1 = 0,69$).

2) გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდში ამორჩეული ალტერნატივის გადაფასება სტრესოგენულ სიტუაციაში უფრო მცირე სიდიდით გამოვლინდა (2,08), ვიდრე ნეიტრალურ სიტუაციაში (2,64), მაგრამ მათ შორის განსხვავება არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო ($M_2 - M_1 = 0,56$).

უკუგდებულ ალტერნატივის გადაფასება გადაწყვეტილების წინ სტრესოგენულ სიტუაციაში უფრო მცირედ განსხვავებული სიდიდით გამოვლინდა (-1,52), ვიდრე ნეიტრალურ სიტუაციაში (-1,48); მათ შორის განსხვავება უმნიშვნელო იყო ($M_2 - M_1 = 0,04$).

გადაწყვეტილების წინ ალტერნატივათა ერთობლივი გადაფასება ნეიტრალურ სიტუაციაში უფრო მეტი სიდიდით გამოვლინდა (4,12), ვიდრე

სტრესოგენულში (3,6), მაგრამ მათ შორის სხვაობა ($M_2 - M_1 = 0,52$) არ იყო სტატისტიკურად სანდო.

3) გადაწყვეტილების შემდეგ ამორჩეული ალტერნატივის გადაფასება სტრესოგენულ სიტუაციაში გამოვლინდა უფრო მცირე სიდიდით, (2,39), ვიდრე ნეიტრალურ სიტუაციაში (2,48), მაგრამ მათ შორის განსხვავება მეტად მცირე იყო ($M_2 - M_1 = 0,09$).

გადაწყვეტილების შემდეგ უკუგდებული ალტერნატივის გადაფასება სტრესოგენულ სიტუაციაში უფრო მეტი სიდიდით გამოვლინდა (1,8), ვიდრე ნეიტრალურში (0,88), მაგრამ მათ შორის განსხვავება ($M_2 - M_1 = 0,92$) არ იყო სტატისტიკურად სანდო.

გადაწყვეტილების შემდეგ ალტერნატივათა ერთობლივი გადაფასება სტრესოგენულ სიტუაციაში უფრო მეტი სიდიდით გამოვლინდა (4,19), ვიდრე ნეიტრალურში (3,36), მაგრამ მათ შორის განსხვავება ($M_2 - M_1 = 0,83$) არ იყო სტატისტიკურად სანდო.

4) სტრესოგენულ სიტუაციაში ამორჩეული ალტერნატივის გადაფასება გადაწყვეტილების შემდეგ განსხვავდებოდა გადაწყვეტილების წინ მისი გადაფასებისაგან $M_2 - M_1 = 0,31$ სიდიდით; ხოლო ნეიტრალურ სიტუაციაში ამორჩეული ალტერნატივის გადაფასება გადაწყვეტილების შემდეგ განსხვავდებოდა გადაწყვეტილების წინ მისი გადაფასებისაგან $M_2 - M_1 = -0,16$; მაშასადამე, სტრესოგენულ სიტუაციაში გადაწყვეტილების წინ ამორჩეული ალტერნატივის გადაფასება გამოვლინდა უფრო მცირე სიდიდით, ვიდრე გადაწყვეტილების შემდეგ, ხოლო ნეიტრალურ სიტუაციაში კი პირიქით მოხდა — გადაწყვეტილების წინ გამოვლინდა ამორჩეული ალტერნატივის უფრო მეტი სიდიდით გადაფასება, ვიდრე გადაწყვეტილების შემდეგ.

უკუგდებული ალტერნატივის გადაფასება სტრესოგენულ სიტუაციაში გადაწყვეტილების შემდეგ განსხვავდებოდა გადაწყვეტილების წინ მისი გადაფასებისაგან $M_2 - M_1 = -9,28$ სიდიდით, ხოლო ნეიტრალურ სიტუაციაში მისი გადაფასება გადაწყვეტილების შემდეგ განსხვავდებოდა გადაწყვეტილების წინ მისი გადაფასებისგან $M_2 - M_1 = 0,6$ სიდიდით, ე. ი. სტრესოგენულ სიტუაციაში უკუგდებული ალტერნატივის მიმზიდველობა გადაწყვეტილების წინ უფრო ნაკლებად შემცირდა, ვიდრე გადაწყვეტილების შემდეგ, ხოლო ნეიტრალურ სიტუაციაში მისი მიმზიდველობა გადაწყვეტილების წინ უფრო შემცირდა, ვიდრე გადაწყვეტილების შემდეგ.

სტრესოგენულ სიტუაციაში გადაწყვეტილების შემდეგ ალტერნატივათა ერთობლივი გადაფასება განსხვავდებოდა გადაწყვეტილების წინ ალტერნატივათა ერთობლივი გადაფასებისგან $M_2 - M_1 = 0,59$ სიდიდით, ხოლო ნეიტრალურ სიტუაციაში გადაწყვეტილების შემდეგ ალტერნატივათა ერთობლივი გადაფასება განსხვავდებოდა გადაწყვეტილების წინ ალტერნატივათა ერთობლივი გადაფასებისაგან $M_2 - M_1 = -0,76$ სიდიდით. მაშასადამე, ალტერნატივათა ერთობლივი გადაფასების ცვლილება სტრესოგენულ სიტუაციაში გადაწყვეტილების შემდეგ განსხვავდებოდა ნეიტრალურ სიტუაციაში გადაწყვეტილების შემდეგ ალტერნატივათა ერთობლივი გადაფასების ცვლილებისაგან არა მხოლოდ სიდიდით, არამედ მიმართულებითაც — სტრესოგენულ სიტუაციაში გადაწყვეტილების შემდეგ ალტერნატივათა ერთობლივი გადაფასება გაიზარდა, ხოლო ნეიტრალურ სიტუაციაში კი შემცირდა.

ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნები:

1. ნეიტრალურ სიტუაციაში გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდში ადგილი აქვს ინტელექტუალურ და მოტივაციურ პროცესებს. ინტელექტუალურ საქმიანობას პიროვნება იმიტომ მიმართავს, რომ სწორად აირჩიოს მისთვის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ალტერნატივა. ამდენად, ინტელექტუალური პროცესი მთავრდება არჩევანით, რაც გამოიხატება ალტერნატივათა მიმზიდველობების შეცვლით. ამგვარად, ნეიტრალურ სიტუაციაში ალტერნატივათა დისკრიმინაცია აღმოცენდება გადაწყვეტილების მოსამზადებელ სტადიაზე, რაც განპირობებულია ინტელექტუალური პროცესით.

2. გადაწყვეტილების მოსამზადებელ სტადიაზე ინტელექტუალური პროცესის გარდა ადგილი აქვს მოტივაციის პროცესს. იგი განპირობებს თვითონ გადაწყვეტილების მიღებას, რადგან მისი საშუალებით პიროვნება ახდენს აზროვნებით გამოვლენილი საუკეთესო ალტერნატივის გამართლებას, მისთვის სუბიექტური ღირებულების, სუბიექტური აზრის, მნიშვნელობის მინიჭებას. ამ ეტაპზე, გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდში, მოტივაციური პროცესები არ ასრულებენ ალტერნატივათა შეფასებისა და დისკრიმინაციის ფუნქციას, რადგან მას ინტელექტუალური პროცესები ასრულებენ.

მოტივაციური პროცესი არ მთავრდება გადაწყვეტილების მოსამზადებელ ეტაპზე. მას ადგილი აქვს გადაწყვეტილების შემდეგაც. გადაწყვეტილების შემდეგ მოტივაციის პროცესი ასახავს პიროვნების მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების სუბიექტურ მნიშვნელობას, ღირებულებას, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების შემდეგ არსებულ ალტერნატივათა დისკრიმინაციით. ამრიგად, გადაწყვეტილების შემდეგ ადგილი აქვს ალტერნატივათა გადაფასებას, რასაც განპირობებს მოტივაციის პროცესი.

3. სტრესოგენულ სიტუაციაში პიროვნების ყურადღება, ცნობიერება მიმართულია სტრესორისაკენ, სტრესოგენული სიტუაციის დაძლევისაკენ. თუ მან ამ დროს უნდა მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, რომელიც შინაარსობრივად არ არის დაკავშირებული სტრესოგენულ ფაქტორთან, იგი, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების აქტს იწყებს აზროვნებით, რათა გამოავლინოს საუკეთესო ალტერნატივა, მაგრამ რადგან მისი ცნობიერება მიმართულია სტრესოგენული სიტუაციის დაძლევისაკენ, იგი სათანადო ყურადღებას ვერ უთმობს ალტერნატივათა ყოველმხრივ განხილვას, მისი ინტელექტუალური საქმიანობა ხარვეზებით მიმდინარეობს, რაც იწვევს გადაწყვეტილების მოსამზადებელ ეტაპზე ალტერნატივათა უფრო მცირე სიდიდით გადაფასების აღმოცენებას, ვიდრე ეს ხდება ნეიტრალურ სიტუაციაში. ამავე მიზეზის გამო ხარვეზოვანია გადაწყვეტილების მოსამზადებელ ეტაპზე მიმდინარე მოტივაციის პროცესი და პიროვნებას გადაწყვეტილება სწორედ ასეთი, ხარვეზოვანი, ინტელექტუალური და მოტივაციური პროცესების შედეგად გამოაქვს. ამრიგად, გადაწყვეტილების მოსამზადებელ ეტაპზე სტრესოგენულ სიტუაციაში ალტერნატივათა გადაფასება უფრო ნაკლები სიდიდით აღმოცენდება, ვიდრე ნეიტრალურ სიტუაციაში.

4. სტრესოგენულ სიტუაციაში, ისევე, როგორც ნეიტრალურში, გადაწყვეტილების შემდეგ კვლავ გრძელდება მოტივაციის პროცესი, რომელიც პიროვნების მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების გამართლებას, მისთვის სუბიექტური მნიშვნელობის მინიჭებას ემსახურება. იგი ახდენს იმ ხარვეზ-



ბის შევსებას, რომლებიც გააჩნდათ გადაწყვეტილების მოსამზადებელ საფეხურზე მიმდინარე ინტელექტუალურ და მოტივაციურ პროცესებს და რაც გამოიხატება გადაწყვეტილების შემდეგ ეტაპზე ალტერნატივათა გაცილებით გავრდილი დისკრიმინაციით, ვიდრე ეს იყო გადაწყვეტილების წინ. ამრიგად, სტრესოვანულ სიტუაციაში გადაწყვეტილების შემდეგ ადგილი აქვს ალტერნატივათა დისკრიმინაციას, რომელიც უფრო მეტი სიდიდისაა, ვიდრე გადაწყვეტილების წინ და რომელიც სიდიდით უახლოვდება ნეიტრალურ სიტუაციაში გადაწყვეტილების შემდეგ არსებულ ალტერნატივათა გადაფასებას.

ლიტერატურა

1. ბალიაშვილი მ. სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა. თბილისი, 1975.
2. თაგაური ბ. არჩევანი და ალტერნატივათა გადაფასება. მაცნე, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1985, № 4.
3. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, 1975.
4. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, ტ. 1, თბილისი, 1983.
5. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. III—IV, თბილისი, 1964.
6. ყვავილაშვილი ჯ. სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, თბილისი, 1974.
7. Андреева Г. М., Богомолова Н. Н., Петровская Л. А. Современная социальная психология на западе. М., 1978.
8. Аронсон Э. Теория диссонанса: прогресс и проблемы. В сб.: Современная зарубежная социальная психология. Тексты, М., 1984.
9. Китаев-Смык Л. А. Психология стресса, М., 1981.
10. Селье Г. Стресс без дистресса. М., 1982.
11. Фресс П. Эмоции. В кн.: Экспериментальная психология. Под ред.: Фресса П., Пиаже Ж. т. V, М., 1975.
12. Хекхаузен Х. Мотивация и деятельность, т. 2, М., 1986.
13. Хекхаузен Х. Мотивация и деятельность, т. I, М., 1986.
14. Bem D. J. Self-perception: an Alternative interpretation of cognitive dissonance phenomena.—In: Psychological review, 1967, 74.
15. Festinger L. Conflict and dissonance. Stanford, 1964.
16. Janis I. L., Mann L. A conflict-theory approach to attitude change and decision-making. In: Greenwald A. G., Brock T. C., Ostrom T. M. Psychological foundations of attitudes. New-York, 1968.
17. Mann L., Taylor V. The effects of commitment and choice difficulty on predecisional process. In: Journ. of soc. psychol. 1970, 82.
18. Mann L., Janis I. L., Chaplin R. Effect of anticipation of forth-coming information on predecisional processes. In: Journ. of pers. and soc. psych., 1969, 11.



Ц. О. МАВЗАРАШВИЛИ

О ВЛИЯНИИ СТРЕССА НА ПЕРЕОЦЕНКУ АЛЬТЕРНАТИВ В ПРОЦЕССЕ ПРИНЯТИЯ РЕШЕНИЯ

Резюме

В статье дан обзор экспериментального исследования по влиянию стрессового состояния на переоценку альтернатив в том случае, когда существующие альтернативы по своему содержанию не связаны со стрессом.

В ходе эксперимента нами была выдвинута гипотеза, согласно которой в подготовительном периоде решения в стрессовом состоянии интеллектуальные и мотивационные процессы протекают с некоторыми недостатками, что и обуславливает возникновение переоценки альтернатив в этом периоде с меньшей величиной, чем в нейтральном состоянии. Однако в стрессовом состоянии после принятия решения мотивационный процесс восполняет обозначенные недостатки, что и определяет приближение величины переоценки альтернатив в этом периоде к ее величине после принятия решения в нейтральном состоянии.

Результаты эксперимента подтвердили выдвинутую гипотезу.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზ-
ნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ლალი ფუთურიძე

თანააქტიურობის გავლენა აბრიჯაციის პროცესზე

თანააქტიურობა სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის კომპლექსურ პარადიგმას წარმოადგენს. იგი გულისხმობს ერთი და იმავე საქმიანობით დაკავებულ ინდივიდთა ჯგუფს, რომლის წევრები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მაგრამ ერთდროულად ასრულებენ დავალებას. თანააქტიურობის სიტუაცია განსაკუთრებით ეფექტური სოციალური ფასილიტაციის კვლევისათვის აღმოჩნდა, რადგანაც სოციალური გადვილებების შესწავლა სწორედ იმ პირობებს საჭიროებს, რომელთაც თანააქტიურობის ვითარება ითვალისწინებს.

სოციალური ფასილიტაცია გულისხმობს სოციალური სიტუაციის საფუძველზე აღძრულ ფსიქო-ფიზიკურ ძალთა აქტივაციას, რომლის შედეგია ქცევის გაადვილება ანუ ქცევის ფსიქიკური ან ფიზიკური თვალსაზრისით უფრო ეფექტურად წარმართვა. მაგალითად, ექსპერიმენტული შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სამოქმედო სიტუაციაში სხვა ადამიანის არსებობა იწვევს კუნთური მუშაობის მკვეთრად გაზრდას, რაც ტვირთის უფრო იოლად აწევაში გამოვლინდა. ამავე ვითარებაში დასწავლილი მასალის გახსენება უფრო ეფექტური აღმოჩნდა. სხვა ადამიანის არსებობა სამოქმედო სიტუაციაში. მრავალმხრივ მოქმედებს პიროვნების აქტიურობაზე. ეს ფაქტი ზოგადად მოწმობს იმას, რომ „მეორე ადამიანი“ სრულიად სპეციფიკური ბუნების მოვლენაა ადამიანისათვის, რომ სოციალურობა ადამიანის უპირველესი თვისებაა.

რადგანაც სოციალური ფასილიტაცია სოციალურ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, უნდა გაფართოვდეს ქცევითი ეფექტების შესწავლის საზღვრები და მკვლევართა ყურადღების საგანი საკუთრივ სოციალური ეფექტი უნდა გახდეს, რადგანაც ის არის ყველაზე მეტად არსებითი და სპეციფიკური სოციალური ფასილიტაციის პრობლემისათვის. ამასთან, ხაზს უვსვამთ, რომ სოციალური ეფექტი დამოუკიდებლად შესწავლას საჭიროებს, ვინაიდან თუმცა იგი ფსიქო-ფიზიკურ გადვილებებშიც ვლინდება, მასში იგი არასრულად და სახეშეცვლილად არის წარმოდგენილი. სოციალური ეფექტი გულისხმობს სოციალური საქმიანობის პროცესში სოციალური ზეგავლენის საფუძველზე აღძრულ ნებისმიერი სახის სოციალურ თავისებურებას, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ისეთ სოციალურ მოვლენაში, როგორცაა თანააქტიურობის ვითარებაში პრეტენზიის დონის ამღლება, ჯგუფში ურთიერთშეთანხმებულობის დონის გაზრდა და ა. შ.

სოციალური ეფექტის სრულყოფილად შესწავლა სპეციფიკურ სოციალურ საქმიანობას მოითხოვს, რაც გულისხმობს სოციალური ეფექტის ფსიქო-ფიზიკური ეფექტისაგან მკვეთრად გამიჯვნას მათივე შესწავლის პროცესში.

სოციალური ეფექტის შესწავლისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი სპეციფიკური წინამძღვრების დადგენა. სოციალური ეფექტის განმსაზღვრელი ძირითადი თავისებურება სოციალურ საქმიანობაში არის საძი-

ებელი; რადგანაც იგი ანგარიშს უწევს და ითვალისწინებს ჯგუფის წევრთა სოციალურ განწყობებს, რაც ასე არსებითი და აქტუალურია თანაქტივობის ჯგუფში.

თანაარსებობისა და თანაქტივობის სიტუაცია, რომელიც ითვლება ქცევის ეფექტის უშუალო წარმომშობ მიზეზად, ისეთ მინიმალურ სოციალურ ფაქტორს წარმოადგენს, რომლის მოქმედების საფუძველზე ადამიანის აქტივობა უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი ხდება, მაგრამ თვით თანაარსებობა და თანაქტივობა, როგორც მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, არ წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთმოქმედების სპეციფიკურ თავისებურებას, იგი საერთოდ ცოცხალი ორგანიზმისათვის არის დამახასიათებელი. [1, გვ. 134].

სანამ უშუალოდ იმის განხილვაზე გადავიდოდეთ, თუ სოციალური ეფექტის კვლევის საქმეში რატომ მივიანიჭეთ ატრიბუციის მეთოდს უპირატესობა, შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ ატრიბუციის თეორიის როლი და ადგილი ფსიქოლოგიაში.

ატრიბუციის ამხსნელ თეორიად გადაქცევა ეფუძნება ახალ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ადამიანის ქცევის ადექვატური გაცემა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აღიქვამს და ხსნის თვით ადამიანი გარემომცველ სამყაროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ჩვენ გვინდა გავიგოთ ადამიანის სოციალური ქცევა, უნდა შევისწავლოთ მის მიერ გაგებული და წარმოდგენილი სამყარო. ატრიბუცია გულისხმობს არჩევანის შესაძლებლობას ე. ი. პიროვნების მიერ უპირატესობის მინიჭებას გარკვეული ქცევისათვის, რაც თავის მხრივ ნიშნავს ყველა ფსიქიკურ ფუნქციათა ინტეგრაციას.

ჩვენთვის ანგარიშგასაწევი და საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გარემომცველი სამყაროს შეფასებისა და ახსნის პროცესში სუბიექტი გავლენას ახდენს პარტნიორზე იმგვარად, რომ იგი განსაზღვრავს მის მიერ ობიექტური სამყაროს შეფასებას და ახსნას. ატრიბუცია როგორც საკუთარი ქცევის გამართლება და სხვა ადამიანის ქცევის კრიტიკა შეიძლება იყოს სოციალური ურთიერთობის მხარდაჭერისა და სტრუქტურირების რეგულატორი. აფასებს და აძლევს რა არასასურველ ქცევას ნეგატიურ ახსნას, ინდივიდი ცდილობს დააყენოს მეორე ადამიანი სწორ გზაზე. ამ აზრით, ატრიბუცია არის შეფასებათა რეგულაციის პროცესი, რაც ხშირად ექსპერიმენტულად გამოვლენილ ჯგუფურ ურთიერთშეთანხმებაში გამოიხატება [4, გვ. 119].

ატრიბუციის პროცესის ერთ-ერთი სახეა რაიმე მოვლენის შედეგებზე პასუხისმგებლობის მიწერა — საკუთარ თავზე ან სხვა ადამიანებზე თუ გარემოებებზე.

იმისათვის რომ სუბიექტმა განახორციელოს პასუხისმგებლობის მიწერა მომხდარ შედეგებზე მან უნდა იგრძნოს სიტუაციური მსგავსება ე. ი. ვაიგოს, რომ ისიც შესაძლებელია აღმოჩნდეს ანალოგიურ სიტუაციაში. ასევე დადასტურდა, რომ თუ სუბიექტის წინაშეა ისეთი მოქმედების პირი, რომელიც აღძრავს საშუალო ნეგატიურ შედეგს, მაშინ იგი გრძნობს ერთგვარ სიმპატიას აღნიშნული მოქმედების სუბიექტის მიმართ. სიმპატია და თანაგრძნობა მოქმედი პირის მიმართ სუსტდება, თუ მან გამოიწვია სერიოზული ნეგატიური შედეგი. ზემოაღნიშნულ პრობლემაზე მომუშავე მკვლევართა საერთო აზრს გამოვხატავთ თუ ვიტყვიტ რომ პასუხისმგებლობის მიწერა მიმდინარეობს და ეფუძნება თვითდაცვის მექანიზმს.

ამრიგად, კაუზალური ატრიბუცია შესაძლებელია განვიხილოთ როგორც სოციალური ეფექტის კვლევის ადეკვატური მეთოდი. ატრიბუციის პროცესში სუბიექტი გავლენას ახდენს პარტნიორზე იმგვარად, რომ იგი განსაზღვრავს მის მიერ გარემომცველი სამყაროს შეფასებასა და ახსნას. განსაკუთრებით საყურადღებოა ის მოვლენა, რომ მიზეზობრივი ინტერპრეტაცია ზეგავლენას ახდენს სუბიექტის ქცევაზე და გულისხმობს მასტიმულირებელი ზეგავლენის დადგენას, რომლის შემოქმედების შედეგად ქცევა წარმატებით წარიმართება [4, გვ. 123].

ექსპერიმენტულ ნაწილზე გადასვლის წინ საკიროდ მივაჩინა განვმარტოთ შემდეგი: ჩვენი კვლევის მიზანია სოციალური ეფექტის შესწავლა, რომელიც გულისხმობს სოციალური საქმიანობის პროცესში სოციალური ზეგავლენის საფუძველზე აღძრულ სოციალურ აქტივაციას და რომლის შედეგაა ნებისმიერი სახის სოციალური თავისებურება. ვვარაუდობთ, რომ ატრიბუცია დაკვეთმარება ამგვარ სოციალურ მოვლენათა დადგენაში.

მეთოდისა და ცდების აღწერა

ვიდრე უშუალოდ ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდის დეტალურ აღწერაზე გადავიდოდეთ, გვინდა მივუთითოთ ზოგიერთ სიძნელეზე, რომელთაც თავი იჩინეს ამ საკითხის კვლევისას. ეს იყო ჯგუფის წევრების დიდი სურვილი საკუთარ შეხედულებათა ურთიერთგაზიარებისა, რაც მკაცრად იკრძალებოდა ცდის ინსტრუქციის მიხედვით. ცდისპირები კონტაქტის დიდ მოთხოვნილებას ამჟღავნებდნენ და მეორე მხრივ, ავლენდნენ სურვილს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება ექსპერიმენტატორის წინაშე; ზემოაღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, მიუთითებს იმაზე, რომ დავალება იყო მეტად აქტუალური და სანინტერესო ცდისპირებისათვის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ ერთ გარემოებას, რომელზედაც მიუთითა შადმანმა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ექსპერიმენტატორის დასწრება იწვევს ფსიქო-ფიზიკურ ძალთა აქტივაციას და იძლევა ეფექტს იმ პირობებთან შედარებით, როცა სუბიექტები მუშაობენ მარტო.

სწორედ ამ მოსაზრებაზე აიგო ჩვენი ცდის მეთოდიცა. ცდის პირველ ეტაპზე, რათა ყოველგვარი განსხვავება გამოგვერიცხა მარტოდ მყოფ ცდისპირებსა და თანააქტივობის ჯგუფს შორის, ჩვენ ვუკითხავდით ინსტრუქციასა და ცდის პირობას ორივე შემთხვევაში, მაგრამ შედეგებმა გვიჩვენა, რომ ამ ორ სიტუაციას შორის განსვლა იყო მინიმალური. ამიტომ შევცვალეთ ცდის მეთოდიცა და თუ თანააქტივობის ჯგუფის წევრებს ჩვენვე ვუკითხავდით ცდის პირობას, მარტო სიტუაციაში ინდივიდი კითხულობდა და პასუხობდა ცდის პირობას თავად. ამ ექსპერიმენტმა აჩვენა დადებითი შედეგი ანუ გაიზარდა ჯგუფის ურთიერთშეთანხმებულობა. ცალკე სიტუაციაში ცდა ჩატარებულ იქნა ასევე ათ ცდისპირზე და მიმდინარეობდა სრული იზოლაციის ფარგლებში. ლაბორატორიაში იმყოფებოდა მხოლოდ ცდისპირი, რომელიც კითხულობდა ცდის პირობას და თანმიმდევრობით პასუხობდა მას. აქვე შევნიშნავთ, რომ გვქონდა ეჭვი ხომ არ იქონიებდა ხელისშემშლელ გავლენას ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში (თანააქტივობის ჯგუფში) ექსპერიმენტატორი უკითხავდა ცდის პირობას, ხოლო ცალკეული ინდივიდების შემთხვევაში თვითონ კითხულობდნენ ცდის ტექსტს, მაგრამ არსებობდა მეორე საშიშროება იმისა, რომ უფრო არა-

ზელსაყრელი იქნებოდა რამდენჯერმე. შესვლა ლაბორატორიაში და თითო-ეული პუნქტის წაითხვა. გამოსვლა, ხელახლა შესვლა და ა. შ.

ცდის პირობის მიხედვით ერთ-ერთი მხარე იყო უნებლოე, ნაწილობრივ დაზარალებულის მიზეზითვე პასუხისმგებელი „დამნაშავე“, ხოლო მეორე მხარე იყო დაზარალებული, რომელსაც მომხდარ შედეგებზე ასევე ვარკვეული პასუხისმგებლობა უნდა ეყისრა. ცდისპირებს ეძლეოდათ დავალება პროცენტულად შეეფასებინათ ორივე მხარის „დანაშაულზე“ პასუხისმგებლობა. ამასთან, ცდის პირობა აგებული იყო იმგვარად, რომ „დანაშაულზე“ პასუხისმგებელი თანაბარი ალბათობით შესაძლებელია ყოფილიყო ორივე მხარე. ცდის ინსტრუქციის მიხედვით ცდისპირი გაიგივებული იყო დაზარალებულთან.

სოციალური ეფექტის შესწავლა დაეწყო ჩვენს მიერ შედგენილ ისეთ ჯგუფში, რომლის წევრები ერთმანეთს არ იცნობდნენ. აღნიშნულ ვითარებაში სავარაუდო შედეგი ვერ მივიღეთ. ცდები განვაგრძეთ უკვე ნაცნობი ადამიანებისაგან შემდგარ ჯგუფებში რამდენადაც ვივარაუდეთ, რომ სოციალური ეფექტის გამოვლენისათვის არ არის შესაფერისი უცნობი ხალხისაგან სახელდახელოდ შექმნილი ჯგუფი.

ექსპერიმენტში მონაწილეობდა ათი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი (თანაკურსელები 18—24 წლის გოგონები). ექსპერიმენტატორი თხოვდა მათ დამსხდარიყვნენ ცალ-ცალკე მერხებთან და შეესრულებინათ დავალება ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ცდისპირებს მოეთხოვებოდათ არავითარი კონტაქტი არ ჰქონოდათ ერთმანეთთან, ხმაშლი არ გამოეთქვათ თავიანთი შეხედულება და ეპასუხებთ მოცემულ პირობაზე მხოლოდ ორჯერ წაითხვის შემდეგ. ყოველი კითხვის შემდეგ ცდისპირი პასუხს იძლეოდა წერილობით. ცდა მიმდინარეობდა 10—15 წუთის განმავლობაში. როცა ცდისპირები გვეკითხებოდნენ, თუ რისთვის იყო ცდა მოწოდებული, ჩვენ მათ განუმარტავდით, რომ ექსპერიმენტი ამის თქმის უფლებას არ გვაძლევდა.

ცდა შედგებოდა ოთხი პირობისაგან: სამ მათგანში ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი სუბიექტი: მე — ამხანაგი — მასწავლებელი, მე — ექიმი, მე — მეგობარი. ხოლო მეოთხე მათგანში დაპირისპირებული იყო — მე და ორგანიზაცია. ცდაში გამოვლენილი პირველი სოციალური ეფექტია — ჯგუფის წევრებს შორის აშკარა შეთანხმებულობა, რაც ერთგვაროვანი პასუხების ჭარბ რაოდენობაში გამოიხატა. ამასთან, ცდის პირველ ვარიანტში, იქ სადაც „მე“ და „ორგანიზაცია“ იყო დაპირისპირებული, გამოვლინდა მეორე სახის სოციალური ეფექტი — ჯგუფმა, აღნიშნულ ვითარებაში, მთელი პასუხისმგებლობა აიცილა თავიდან და ვალდებულება დააკისრა ორგანიზაციას — ამის გამო ცდამ აჩვენა მკვეთრი განსვლა „მარტო“ და სოციალურ სიტუაციას შორის. „მარტო“ სიტუაციაში ცდისპირებმა, განსხვავებით სოციალური სიტუაციისაგან, დანაშაულზე მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღეს. სწორედ აღნიშნულმა მოვლენამ გვიკარნახა ცდის მეორე ვარიანტის შექმნა, სადაც დაპირისპირებული იქნებოდა „მე“ და „ორგანიზაცია“ (ობიექტი).

ამის საფუძველზე შევადგინეთ ტესტი, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდებოდა „მე“ და „სინოპტიკოსები“, მე და „ადმინისტრაცია“, „მე“ და „ექიმის კონსილიუმი“, სადაც ცდის პირველ ვარიანტში მიღებული შედეგი დადასტურდა.

ცდის I პირობა (ვარიანტი)

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მოფიქრებული გვქონდა ცდის ორი ვარიანტი. პირველი მათგანი შედგებოდა ორი მარტივი პირობისაგან.

1. წერტ საკონტროლოს და ამჩნევთ, რომ თქვენს უკან მჭდომი ყმაწვილი იწერს თქვენს ყველა პასუხს. თქვენ არაფერს ეუბნებით და არც ნაწერს აფარებთ ხელს. მასწავლებელი საკონტროლო წერაში ორივეს ვიწერთ „ორს“.

2. სერიოზული ოპერაცია გქონდათ გასაკეთებელი. ექიმი რომელიც თქვენ მოიწვიეთ ძალზე ცნობილია, მაგრამ ამ ტიპის ოპერაცია არ გაუკეთებია. თქვენ გადაწყვიტეთ, რომ მან უნდა გაგიკეთოთ ოპერაცია. ოპერაციამ ცუდად ჩაიარა.

3. იყიდეთ ახალი პერანგი, რამდენჯერმე ჩაიცვით და ახლა უკვე გასარეცხია. მას არ მოჰყვა რეცხვის ინსტრუქცია და თქვენ გარეცხეთ იგი ჩვეულებრივ, რეცხვის შემდეგ ორი ზომით დაპატარავდა და გახუნდა.

4. ბიბლიოთეკის წიგნი ათხოვეთ მეგობარს. მეგობარმა იგი დაკარგა და ბიბლიოთეკამ თქვენ ჯარიმა დაგაკისრათ.

მიღებული შედეგების ანალიზი

ცდის I ვარიანტი

ჩვენს მიერ ჩატარებული ცდის I ვარიანტმა აჩვენა ჯგუფის წევრებს შორის აშკარა შეთანხმებულობა და სოლიდარობა, რაც გამოვლინდა თანააქტივობის ვითარებაში ერთნაირი პასუხების ჭარბ რაოდენობაში.

ამგვარი შეთანხმებულობა აჩვენა ცდის სამმა პირობამ: მე — ექიმი, მე — ფაბრიკა, მე — ამხანაგი. რაც შეეხება პირველ პირობას, მან არ მოგვცა მოსალოდნელი შედეგი.

- | | |
|---------------------------------|--------------------------|
| 1. მე — მასწავლებელი — ამხანაგი | $p > 0,05$ |
| 2. მე — ექიმი | $t = 7.2 \quad p < 0,05$ |
| 3. მე — ფაბრიკა | $t = 5.4 \quad p < 0,05$ |
| 4. მე — ამხანაგი | $t = 3.7 \quad p < 0,05$ |

ცდის II პირობა (ვარიანტი)

რაც შეეხება ცდის მეორე ვარიანტს იგი შეიცავდა სამ პირობას:

1. ცნობილია, რომ შავიზღვისპირეთში გაზაფხულზე ხშირად წვიმს. მაგრამ რადგანაც გამოაცხადეს, რომ ბათუმში ამა წლის მაისში წვიმა საერთოდ არ იყო მოსალოდნელი, თქვენ წახვედით ლაბადისა და ქოლგის გარეშე, რის გამოც იძულებული იყავით მთელი კვირა გაეტარებინათ შინ.

2. სასტუმროს ადმინისტრაცია შეგპირდათ, რომ სასტუმროს ნომერს დაგახვედრებდნენ. ამის გამო თქვენ წახვედით შესაძლო ბინის მისამართების გარეშე. სასტუმროში ნომერი არ აღმოჩნდა და დარჩით უბინაოდ.

3. თქვენ, ავადმყოფს, ექიმებმა შემოგთავაზეს ოპერაცია და თან გაგაფრთხილეს, რომ ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელების იმედი არსებობდა მხოლოდ სანახევროდ, ხოლო სანახევროდ არსებობდა საშიშროება მდგომარეობის გაართულებისა. თქვენ დათანხმდით ოპერაციაზე. ოპერაციის შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა.

მიღებული შედეგები და მისი ანალიზი

ცდის II ვარიანტი

ცდის II ვარიანტი, შეისწავლიდა ჯგუფის მიერ პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას და დანაშაულზე მთელი ვალდებულების დაკისრებას „ორგანიზაციაზე“. ცდა სამი პირობისაგან შედგებოდა „მე“ — „ადმინისტრაცია“, „მე“ — „ექიმთა კონსილიუმი“, „მე“ — „სინოპტიკოსები“.

„მე“ — „ადმინისტრაციასა“ და „მე“ — „ექიმთა კონსილიუმს“ შორის მივიღეთ თვალსაჩინო განსვლა თანაქტივობის სიტუაციაში და მარტო სიტუაციის თვალსაზრისით, ხოლო „მე“ — „სინოპტიკოსებს“ შორის ამგვარი განსვლა არ დადასტურდა.

თუ თანაქტივობის ვითარებაში ცდისპირებმა თავიდან აიცილეს პასუხისმგებლობა და დანაშაულზე მთელი ვალდებულება დააკისრეს ორგანიზაციას, „მარტო“ სიტუაციაში პირიქით, დანაშაულზე მთელი პასუხისმგებლობა აღეს თავის თავზე.

1. მე — სინოპტიკოსები — $t = 0.4 \quad p > 0.05$
2. მე — ადმინისტრაცია — $t = 4.1 \quad p < 0.05$
3. მე — ექიმთა კონსილიუმი — $t = 2.1 \quad p < 0.05$

როგორც აღვნიშნეთ „მე“ და „სინოპტიკოსებს“ შორის განსვლა არ დადასტურდა. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ არ აჩვენა ტესტის პირველმა პუნქტმა განსხვავება. თუ დავუშვებთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სინოპტიკოსების მიერ გამოთქმული ვარაუდი ერთობ საეჭვოა, მაშინ ხომ შეეძლოთ ცდისპირებს „მარტო სიტუაციაში“ მაინც უფრო მეტად აეღოთ თავის თავზე ბრალი, რასაც არ ჰქონია ადგილი. ვფიქრობთ, ზემოთქმულს თვითონ ტესტის შინაარსობრივი მხარე განსაზღვრავს. როგორც ჩანს, სინოპტიკოსების დანაშაული იმდენად აშკარაა, რომ არც „მარტო სიტუაციაში“ აღმოჩნდა შესაძლებელი დანაშაულის თავის თავზე აღება. ჩვენ გავითვალისწინებთ ამ დეტალს და დავაუხსნებთ მომავალ ცდებში.

და ბოლოს შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე მიღებული ძირითადი შედეგების ანალიზის სავარაუდო მიმართულებანი.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადასტურებული სოციალური ეფექტი — ჯგუფის მიერ პასუხისმგებლობის თავიდან აცილება და ვალდებულების მთლიანად ორგანიზაციაზე დაკისრება — მოითხოვს ქვემოთ დასმული პრობლემების გადაწყვეტას.

1. ვფიქრობთ ეს იმის გამო ხდება, რომ სოციალურ სიტუაციაში ცდისპირი იძულებული ხდება უფრო მეტად მიმართოს თავდაცვის მექანიზმს, რადგანაც იგი სოციალური კონტროლის ქვეშ იმყოფება და ბუნებრივია პასუხისმგებლობას გრძნობს არა მარტო საკუთარი თავის წინაშე, არამედ სოციალური გარემოს წინაშეც.

2. ამასთანავე ჩვენს ექსპერიმენტში სუბიექტი არა მარტო დამნაშავეს როლში გვევლინება არამედ დაზარალებულისადაც. ამიტომ საჭიროების წინაშე ვდგებით იმ მოვლენის მიზეზზეც გავცეთ პასუხი, თუ რატომ იღებს სუბიექტი

ტი უფრო მეტად დაზარალებულის როლს მართო, ვიდრე თანააქტივობის სიტუაციაში. ეს მოვლენა, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ რადგანაც სოციალურ სიტუაციაში სუბიექტი მეტ სოციალურ მხარდაჭერას განიცდის, მას უფრო მეტად სჭერა საკუთარი ძალების, რის გამოც ნაკლებ ადექვატურია მისთვის დაზარალებულის როლის აღება. მართო სიტუაცია კი უფრო მეტად ქმნის იმის ფსიქოლოგიურ პირობებს, რომ ადამიანმა წარმოიდგინოს თავის თავი მსხვერპლის როლში.

3. მართო სიტუაციაში ცდისპირის მიერ პასუხისმგებლობის მიწერა უფრო მეტად შეესაბამება მის ნამდვილ ღირებულებათა და ორიენტაციათა სისტემას, ვიდრე სოციალურ სიტუაციაში. აღნიშნულ პირობებში (მართო სიტუაციაში) ადამიანს ნაკლებად უშლის ხელს სოციალური განწყობები და არ დგას საჭიროების წინაშე ანგარიში გაუწიოს მათ, რის გამოც პასუხები უფრო ადექვატური და ობიექტურია. ატრიბუციის მეთოდით ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა რიგი თავისებურებანი: ცდის პირობაში, როცა დაუპირისპირდა სუბიექტი — სუბიექტს (ცდისპირი — ცდის კონკრეტულ პერსონაჟს) ჯგუფმა უფრო მეტად აჩვენა ზნეობრივი ქცევა. ხოლო როცა სუბიექტი — ორგანიზაცია დაუპირისპირდა ერთმანეთს, ცდისპირმა ყოველგვარი უხერხულობის გარეშე მთელი პასუხისმგებლობა მიაწერა ორგანიზაციას. რით არის შესაძლებელი აღნიშნული მოვლენის ასხნა? ჩვენის აზრით, სოციალურ სიტუაციაში იქმნება იმგვარი ხელშემწყობი ფსიქოლოგიურა პირობები, რომ სუბიექტისათვის უფრო მეტად ანგარიშგასაწევი და მნიშვნელოვანი პიროვნული წონის ხდება ადამიანი, ვიდრე ორგანიზაცია ანუ ობიექტი. ეს კი გამოწვეულია როგორც სოციალურ-ფიქსირებულ, ისე სოციალურ-აქტუალურ განწყობათა აქტუალზირებით მოცემულ ვითარებაში, რასაც შედეგად მოსდევს ადამიანისათვის ცენტრალურ ფიგურად მეორე სუბიექტის გადაქცევა და ინდეფერენტული დამოკიდებულების დამყარება ყოველგვარი ორგანიზაციისათვის ობიექტის მიმართ. ზემოხსენებულთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საინტერესო და ანგარიშგასაწევაა ზ. ფროიდის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ჯგუფის წევრებს შორის სიყვარული და ურთიერთპატივისცემა იწვევს ეგოიზმიდან თავის დაღწევას, საკუთარი თავის მიმართ მეტ კრიტიკულობასა და ობიექტურობას [7], რაც ნათლად გამოვლინდა ჩვენს მიერ ჩატარებული ცდის პირველ ვარიანტში. ვფიქრობთ, სწორედ თვითკრიტიკულობა და ობიექტურობა გვაძლევს უფლებას აღნიშნული სოციალური თავისებურება სოციალურ ეფექტთა რიცხვს მივაკუთვნოთ. და კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც გამოვლინდა სოციალურ სიტუაციაში განსხვავებით მართო ვითარებისაგან. ჯგუფმა გამოხატა დიდი სურვილი ექსპერიმენტის შემდეგ მსჯელობისა და აზრთა ურთიერთგაზიარების, როგორც ერთმანეთთან, ისე ექსპერიმენტატორის წინაშე. ჩვენის აზრით, ეს მომდინარეობს იქიდან, რომ რადგანაც ჯგუფმა მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა ორგანიზაციას, მან თავი ვალდებულად იგრძნო გაემართლებინა თავისი ქცევა და ეს იმის გამო, რომ ჯგუფი ამგვარ საქციელს — დანაშაულის მთლიანად სხვაზე დაკისრებას აღიქვამდა მეორე დანაშაულად. და მეორეც, სოციალური სიტუაცია ბიძგს აძლევს ობიექტივაციის პროცესს, რაც გამოვლინდა ჯგუფის ძლიერ მოთხოვნილებაში განიხილოს და გაამართლოს თავისი არჩევანი. ჩვენის აზრით, ჯგუფის წევრების მიერ დანაშაულის დაკისრება ორგანიზაციაზე, ვანაპირობა ორმა მოვლენამ: 1. არაფერი ეწინააღმდეგე-

ბოდა სუბიექტური თვალსაზრისით მის მიერ ორგანიზაციის დადანაშაულებას, რითაც მას შეეძლო განთავისუფლება იმ დისკომფორტისაგან, რომელსაც მას მიანიჭებდა დამნაშავეის როლში გამოსვლა. 2. აიკლინოს დამნაშავეის როლში გამოსვლა, რათა არ დაკარგოს სოციალური მხარდაჭერა ჯგუფის წევრებისაგან, რამდენადაც ჯგუფის სიტუაციაში უპირველესია არა რაიმე მოვლენის ობიექტურად შეფასება, არამედ შენი პიროვნების მიმართ ჯგუფის წევრთა დადებითი ატიტუდი.

მეორე სოციალური ეფექტია — ჯგუფის წევრებს შორის შეთანხმებულობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ თანაქტივობის სიტუაციაში მკვეთრად გაიზარდა ერთგვაროვანი პასუხების რიცხვი — მართო სიტუაციასთან შედარებით. ეფექტობთ, აღნიშნული სოლიდარობის ახსნა საჭიროებს სოციალური განწყობებისა და პიროვნული ექსპექტაციების გათვალისწინებას. ამგვარი მიდგომის უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ პირველ ეტაპზე ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელიც მოწოდებული იყო სოციალური ეფექტების საკვლევად, მიმდინარეობდა ისეთ ჯგუფში, სადაც ჯგუფის წევრები სრულიად არ იცნობდნენ ერთმანეთს. თანაქტივობის ამგვარ ჯგუფში საერთოდ არ დადასტურდა არანაირი სოციალური ეფექტი, რამაც გვიბიძგა ვეგველა იგი ისეთ ვითარებაში, სადაც ჯგუფის წევრებს შორის დადებითი ფიქსირებული ატიტუდები არსებობდა.

რამდენადაც სოციალურ ფსიქოლოგიაში „შეთანხმებულობის“ ცნების შემოტანა ჯგუფის შიგნით ურთიერთმოქმედების ანალიზის მიზნით თანამედროვე ამერიკელ ფსიქოლოგს თ. ნიუკომს ეკუთვნის, ამდენად მართებულად მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, ნითთებული ავტორის თვალსაზრისის ჩამოყალიბება ამ პრობლემის ირგვლივ. ხოლო ამის შემდეგ ამ ცნების უფრო დეტალური ანალიზი [5, გვ. 17]. ნიუკომის მიერ შეთანხმებულობის დამკვიდრება უშუალოდ უკავშირდება ჯგუფის შემჭიდროებულობის ინტერპრეტირებას. ავტორის აზრით, აღნიშნული მოვლენა განისაზღვრება ჯგუფის წევრთა მოთხოვნილებითაც დაამყარონ მათთვის მნიშვნელოვან ღირებულებებზე შეთანხმებული ორიენტაციები. ამასთან თ. ნიუკომი ცდილობს ამ პრობლემაზე მსგელობისას გასცდეს სიმპატია-ანტიპათიის ჩარჩოებს, თუმცა სოციალურ ატიტუდებს ჯგუფის შემჭიდროებულობის წამყვან ფაქტორად მიიჩნევს. ავტორის აზრით, პიროვნების მიერ ჯგუფის დანარჩენ წევრთა მიმღებლობა განისაზღვრება იმის საფუძველზე თუ რამდენად შეესაბამება პარტნიორის ღირებულებათა ორიენტაციების სამყარო პიროვნების საკუთარ ორიენტაციათა სამყაროს. ეს მსგავსება სრულიადაც არ რჩება ამავე დონეზე, იგი განსხვავებას პოულობს იმ ერთობლივ საქმიანობაში, რომლითაც ჯგუფი დაკავებულია. მსგავსებასა და სიმპატიას შორის ორგვარი კავშირი არსებობს. ერთი მხრივ, მსგავსება წარმოშობს სიმპატიას, მეორე მხრივ, სიმპატია არის მიზეზი აზრებისა და შეხედულებათა მიახლოების. შეთანხმებულობის შემთხვევაში ჯგუფის წევრები განსაზღვრავენ სიტუაციას ერთობ მსგავსად მაშინაც კი, როდესაც თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი პოზიცია. საერთო მიზნებისა და შეხედულებების განზიარებისას ჯგუფის წევრებს შორის ხდება მსგავსი ექსპექტაციების წარდგინება, რის შედეგადაც ჯგუფური მოქმედება მნიშვნელოვნად ეფექტურად წარიმართება. ნიუკომის თვალსაზრისით, ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდა ჩაირთავს მოლოდინებს განსაზღვრული რეაქციების მიმართ ჯგუფის თითო-

ეული წევრის მხრიდან. ჭგუფში ინდივიდს აქვს განწყობა პოვოს თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება იმ მოლოდინების საფუძველზე, რომ მისი აზრები, შეფასებანი თუ ღირებულებანი გაზიარებული იქნება ჭგუფის დანარჩენი წევრების მიერ. ჭგუფის მეორე წევრის მიმღებლობა განისაზღვრება იმის საფუძველზე, თუ მისი ღირებულებათა სამყარო რამდენად ემსგავსება შემფასებელი პიროვნების სამყაროს.

შეთანხმებულობის როლი და დანიშნულება განისაზღვრება იმით, რომ ჭგუფის წევრებს შორის კონვერგენცია და კოორდინაცია გულისხმობს თითოეულ მონაწილეს ჰქონდეს უნარი მეორე ინდივიდის ქცევის განჭვრეტისა. ეს კი მიიღწევა მაშინ, როცა წარმოიშობა თანხმობა. ამ დროს ჭგუფის წევრებს შორის ხდება სამყაროს სურათის ურთიერთშედწევა, რაც შესაძლებლობას აძლევს თითოეულ მონაწილეს ჩაწვდეს პარტნიორის თვალსაზრისს. მაგრამ თვითონ კოორდინაცია უაზრობაა, თუ არ იწვევს ქცევის ეფექტურობის გაზრდას. ერთობლივი მოქმედების პროცესში ხდება ინდივიდუალურ გამოვლენათა დარღვევა, რაც გავლენას ახდენს ორიგინალურ პასუხებზე და იწვევს მათ მკვეთრად შემცირებას. ჭგუფში არსებობს ფარული სწრაფვა მის წევრთა შორის კონვერგენციისა, რაც გულისხმობს იმას, რომ ჭგუფის წევრებმა დაუახლოონ ერთმანეთს თავიანთი შეხედულებები და ორიენტაციები. ეს კი მიმდინარეობს რაიმე მოვლენაზე მსჯელობის პროცესში.

კონვერგენცია აქ გვევლინება არა მარტო ჭგუფური, არამედ ფსიქიკური პროცესების რეგულატორადაც. ჭგუფის წევრები არა მარტო აცნობიერებენ თავიანთი შეხედულებების მსგავსება-განსხვავებას, არამედ კიდევ გრძნობენ მის უაღრესად დიდ მნიშვნელობას და განიცდიან ამგვარი მსგავსების მოთხოვნილებას. ამგვარ შეფასებათა პოზიტიული ცვალებადობა მაჩვენებელია ჭგუფის სოლიდარობის და, სრულიად ბუნებრივია ის, რომ ინდივიდი პარტნიორისადმი რომლის მიმართაც სიმპატია აქვს, ცდილობდეს თავისი შეფასებისა და ორიენტაციის მიახლოებას.

სანამ შეთანხმებულობის საფუძველზე მიმოვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მის ერთ თავისებურებაზე შევჩერდეთ. კერძოდ, ჩვენი აზრით, შეთანხმებულობის სწორად გაგებისათვის აუცილებელია მისი დიფერენცირებულად განხილვა. ვვარაუდობთ, რომ შეთანხმებულობა ვლინდება ორგვარი სახით: როგორც დინამიკური ანუ ფუნქციონალური მოვლენა და როგორც ფენომენალური. დინამიკური თვალსაზრისში ვგულისხმობთ თვითონ შეთანხმებულობის პროცესს, იმას რომ თანაქტივობის ჭგუფში მიმდინარეობს თვალსაზრისთა, შეხედულებათა და ორიენტაციათა გათვალისწინება იმ მოლოდინების საფუძველზე, რომელიც დადებითი ატიტუდის მქონე ჭგუფის წევრებს გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ. ხოლო ფენომენალური მოვლენა გულისხმობს ამ პროცესის შედეგს — რეაქციათა მსგავსებას. ფაცილიტაციის კვლევის პროცესში ჩვენ ზემოხსენებულ დინამიურ მხარეს, ბუნებრივია, ვერ შევისწავლიდით, რადგან იგი სრულიად აღკვეთილი იყო ჩვენს ექსპერიმენტში. ამიტომ ჩვენ მისი შედეგის — რეაქციათა ერთგვაროვნების საფუძველზე ვცადეთ შეთანხმებულობის პროცესის მიმდინარეობის დადგენა.

ახლა კი შევეცდებით უფრო ღრმად ჩავწვდეთ შეთანხმებულობის საფუძველზე. ვფიქრობთ, ამ მოვლენის ინტერპრეტაციისას ჭგუფის საერთო მიზანია მთავარი, რაც ერთგვაროვანი ამოცანიდან მომდინარეობს. როგორც ამ მი-

მართლებით ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, სოციალური ეფექტი სრულიად არ დასტურდება არაერთგვაროვანი ამოცანის შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა ჯგუფის წევრთა ნაცნობობის მომენტი დატულია. ეფექტობთ, ეს ეფექტი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჯგუფის წევრებს შორის საერთო მიზანი შეთანხმებულობის უპირველესი განმსაზღვრელი ფაქტორია, მაშინაც კი როცა ჯგუფის წევრებს შორის ყოველგვარი რეალური კონტაქტი გამორიცხულია.

შეთანხმებულობის მეორე ფაქტორია ჯგუფის წევრებს შორის დადებითი ატიტუდების არსებობა. ასევე ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ ჯგუფის წევრთა შორის უარყოფითი ფიქსირებული განწყობები ძლიერ უარყოფით გავლენას ახდენს ქცევის ეფექტზე. თანაქტივობისა და თანამშრომლობის სიტუაციაში უარყოფითი ატიტუდის მქონე წევრები, განსაკუთრებით არაეფექტურად წყვეტენ დაკისრებულ საქმიანობას [2, გვ. 71].

მესამე ფაქტორი — როცა ჯგუფის წევრებს არ გააჩნიათ შეფასებას ობიექტური ეტალონი, ისინი ორიენტირდებიან არა აღქმის ობიექტზე, არამედ ერთმანეთის შეხედულებებზე. დღეისათვის შეთანხმებულობა სოციალური ეფექტის თვალსაზრისით სრულიად შეუსწაველია. ამიტომ ჩვენი სამომავლო მიზანია ამგვარი ეფექტის დეტალური შესწავლა და ანალიზი. შეთანხმებულობის, როგორც შედეგის საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ შევძლებთ თვით შეთანხმებულობის პროცესის გაანალიზებასაც სოციალურ თანაქტივობის პროცესში.

დასკვნა

1. თანაქტივობის სიტუაცია გავლენას ახდენს ატრიბუციის პროცესზე, სახელობრ იგი ცვლის პასუხისმგებლობის მიწერის მიმართულებას; თანაქტივობის სიტუაციაში პასუხისმგებლობის მიწერა ხდება „გარეთ, სხვაზე“, ხოლო მართო სიტუაციაში — „შიგნით“ საკუთარ თავზე.

2. იმისათვის, რომ ატრიბუციის მიმართულებაში ცვლილება მოხდეს, თანაქტივობის ჯგუფი ნაცნობი ადამიანებისაგან უნდა შედგებოდეს. უცნობ ადამიანთა ჯგუფში ამგვარი სოციალური ეფექტი არ დასტურდება.

3. „გარეთ“, სხვაზე პასუხისმგებლობის მიწერა თანაქტივობის დროს გადავიღებულა როდესაც „სხვა“ არის ორგანიზაცია, უპიროვნო რამ, ვიდრე როცა იგი კონკრეტული ადამიანია (მეგობარი, მასწავლებელი, ექიმი).

4. თანაქტივობის სიტუაციაში გამოვლინდა ჯგუფის ერთიანი შეთანხმებულობა, რაც პასუხთა ერთგვაროვნებაში აისახა. მართო ყოფნის სიტუაციაში პასუხები გაცილებით არაერთგვაროვანი, განსხვავებულია.

ლიტერატურა

1. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, 1975.
2. ხარშილაძე მ. პიროვნული ურთიერთგანწყობის გავლენა ჯგუფის მოქმედებაზე. თბილისი, 1962.
3. Андреева Г. Процессы каузальной атрибуции в межличностном восприятии. Вопросы психологии. М., 1979. № 6.
4. Муздыбаев К. Психология ответственности. Л., 1983.

5. Ньюком Т. Социально-психологическая теория: интеграция индивидуального и социального подхода. В кн.: Современная зарубежная социальная психология. М., 1984.
6. Социальная психология. Под. ред.: Кузьмина Е., Семенова В., Л., 1979.
7. Фрейд З. Психология масс и анализ человеческого „Я“. Лондон, 1969.
8. Хекхаузеи Х. Мотивация и деятельность, т. 2, М., 1986.
9. Шибутами Г. Социальная психология. М., 1969.
10. Shaver K. Defensive attribution: Effect of severity and relevance of the responsibility assigned for accident. Journal of personality and Social Psychology., 1970, № 14.
11. Zuckerman R. Social Psychology. Experimental approach. California, 1966.

Л. Ш. ПУТУРИДZE

ВОЗДЕЙСТВИЕ СОАКТИВНОСТИ НА ПРОЦЕСС АТРИБУЦИИ

Резюме

В работе дана попытка экспериментального исследования воздействия ситуации соактивности на процесс атрибуции. Установлено, что процесс соактивности меняет направление приписывания ответственности; это выражается в том, что в индивидуальной ситуации, в отличие от социальной, четко происходит взятие ответственности на себя. При этом такое взятие ответственности происходит только тогда, когда противопоставляются Я и объект, а не два субъекта.

Отмеченный социальный эффект происходит в группе знакомых людей.

В процессе соактивности выявилась и другая социальная закономерность — согласованность между членами группы, что выразилось в большом количестве однообразных ответов.

Итак, процесс соактивности влияет на процесс атрибуции, что выражается в целом ряде социальных особенностей.

წარმოადგინა საქართველოს ფსიქოლოგთა აკადემიის და უზუნაბის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

Б. Д. УЛЬЯНОВ
(г. Одесса)

СИНТЕТИЧЕСКАЯ СИСТЕМА СОЗНАТЕЛЬНЫХ ОТНОШЕНИИ ЛИЧНОСТИ

ной стороны, он с необходимостью носит момент направленности на объект; но, с другой стороны, сам объект его интенции лежит вне пределов сознания; неудивительно, что в таких условиях возможность ее открытого признания в корне пресечена. Но, безусловно, этим обстоятельством не аннулируется данность скрытого в представлении восприятия момента, хоть и значительно затрудняет его переживание. Наблюдательному психологу, несомненно, бросилась бы в глаза эта двойственная природа восприятия, и если Тэн говорит, что «каждая галлюцинация необходимо содержит понятие утверждения»¹⁵, то что же тогда сказать про совершенно нормальное, данное в восприятии обычное представление!

Когда в нашем сознании возникает сознательное отображение субпсихического эквивалента рассвета, т. е. единый комплекс ощущений, то мы в этом комплексе усматриваем схваченную объективную реальность, и т. к. мы обладаем одним только этим комплексом, то для его выражения мы обращаемся к единственному слову, которое, без сомнения, не может считаться ни субъектом, ни предикатом. Я говорю «светает», и здесь кроме «представленной» в субпсихическом интенции к объекту надлежащего комплекса ощущений никакого другого отношения не существует. И поэтому мы вынуждены признать, что «светает», «льет» по существу ничего не выражает, кроме данного в восприятии представления. И ни психологически, ни логически они не могут быть названы «предложением» и, следовательно, «имперсональными» или «бессубъективными».

Это обстоятельство обусловлено тем, что разговор о лице или субъекте возможен только там, где мы имеем дело с актом суждения или предложения (Prädikatsatz, Prädikatsurteil). Все это имеет силу в психологическом и логическом аспектах. Но в грамматическом отношении положение несколько иное: совершенно очевидно, что слово «светает» являет собой третье лицо и в силу этого не может считаться ни бессубъективным, ни имперсональным; в крайнем случае, для него можно было считать самым подходящим категорию глагола с недостающим лицом в том предположении, что оно имеет не все из лиц глагола, но некоторые из них отсутствуют¹⁶.

Но возможно ли, чтобы лицо было отмечено грамматически при отсутствии его логического и психологического субстрата? Я думаю, что у языка для этого достаточно психологических мотивов: Н. Meir говорит, что *wo nicht Dinge, sondern Vorgänge und Zustände die Gegenstände der Wahrnehmungsurteile sind, da bietet sich auch die impersonale Satzform*¹⁷. Нет сомнения, что impersonale имеют своим объектом не предметы, а явления и состояния. Эта мысль Мейера имеет веские основания. Но для выражения явлений и состояний язык имеет в своем распоряжении только глагольную форму¹⁸. Когда определенное явление или состояние посредством слияния в единый комплекс ощущения или восприятия становится для меня сознательным, то для вербального его выражения я поставлен перед необходи-

¹⁵ Taine, Intelligence, II, 76.

¹⁶ Наши лингвисты (имеются в виду специалисты по грузинской грамматике) т. н. имперсональные глаголы называют глаголами с недостающим лицом и это, несомненно, подтверждает их здоровое языковедческое чутье.

¹⁷ Н. Meier, Psychologie des emotionalen Denkens, s. 148.

¹⁸ W. Wundt, Völker psychologie, II B., 3. Aufl., 1912, s. 138.

мостью обратиться именно к глаголу; но глагол только тогда можно считать настоящим глаголом, когда с ним связан персональный элемент. А этот-то персональный элемент глагола подразумевает субстрат состояния (Zustand) или явления (Vorgang). Поэтому следует думать, что в основу процесса развития глагола легла апперцепция субстрата его явления или состояния; или, другими словами, развитие глагола произошло на психологической почве актов суждения, т. к. в силу отмеченного выше мы имеем дело с таким субстратом именно в процессе суждения.

Совершенно по-иному обстоит дело с процессом восприятия! В нашем сознании здесь представлен только один момент, который мы не связываем ни с каким другим восприятием, представлением или понятием. Глагол, следовательно, имеющий своим неотъемлемым элементом персональный элемент и поэтому подразумевающий определенный субстрат, должен быть признан неподходящим элементом для выражения данного в восприятии представления; в крайнем случае, только infinitiv мог бы служить единственным подходящим средством для словесного выражения состояния или явления данного в восприятии представления. Но известно, что infinitiv скорее является «номинальной производной от глагола» категорией, чем самим глаголом¹⁹, и именно поэтому отмеченный в инфинитиве комплекс материала нашего сознания кажется больше субстратом, чем явлением. Безусловно, когда мы имеем в виду такие состояния или явления, выражение которых требует именно субстрата, то безусловно, применение инфинитива становится не только возможным, но и необходимым, и несомненно, что существование этой формы находит свое *raison d'être*, благодаря этому обстоятельству. Но как только в основе явления или состояния появляется представление субстрата, оно проявляется уже в виде заверщенного процесса и отныне предстанет перед нами скорее предметом, чем актом или процессом и как таковое само является носителем определенных свойств, которые в акте суждения приписываются ему либо частично, либо полностью. В метеорологических impersonali-ах мы имеем дело с представлением перманентного акта чистого процесса, которое не может быть превращено в субстрат. Поэтому язык вынужден обойти инфинитивные и другие аналогичные формы и, следовательно, у него не остается иной возможности, как прибегнуть к третьему лицу глагола.

Без сомнения, это положение стало бы более убедительным, если бы имелись случаи, когда сам глагол в общем не считается имперсональным, но несмотря на это, выполняет функцию настоящих impersonal-ий. К счастью, такого рода глаголы не чужды языку. Для примера обратимся к глаголам «знобить», «лихорадить»²⁰. Несомненно, что эти последние подразумевают как субъект, так и объект. Они выражают понижение или повышение привычного для человека теплового статуса. Поэтому было бы совершенно безосновательным считать их имперсональными: тем не менее, нам известны случаи, когда те же самые глаголы берут на себя функции имперсоналий и в т. н. бессубъектных предложениях выступают в роли равноправных глаголов с недостающим лицом: когда я говорю, что меня знобит или лихора-

¹⁹ См., среди прочих, Wundt, *Op. cit.*, S. 286. По существу то же самое должно быть сказано о герундиевых и партиципных формах.

²⁰ Подчеркиваем еще раз (см. аналогичные примечания [2,12]), что нахождение точных русских эквивалентов связано с вполне понятными затруднениями и поэтому мы используем смысловые эквиваленты.

дит и этим выражаю состояние моего здоровья, то никому не придет в голову спросить: что знобит или лихорадит, т. к. такой вопрос показался бы полным абсурдом. Вопрос мог быть таким — когда, где или по какой причине знобит или лихорадит. Несомненно, что обыкновенный глагол взял на себя роль глагола с недостоящим лицом и стал бессубъектным.

Как произошла эта метаморфоза? Когда я говорю, что от чего-то холодного мне холодно и от чего-то горячего мне жарко, я всегда и безусловно в определенном комплексе подтверждаю определенные ощущения и представление и ввиду этого, без сомнения, произвожу акт суждения; а выражение знобит или лихорадит, употребляющееся для сообщения состояния моего здоровья, содержит только тот комплекс ощущений, который я переживаю в данный момент и т. к. переживание в этом случае носит пассивный характер (это может быть упомянуто здесь вскользь), то поэтому я говорю, что этот комплекс возникает во мне произвольно и независимо от меня. Совершенно очевидно, что мы здесь имеем дело только с процессом восприятия.

Но почему случилось так, что язык прибег к глаголу для выражения вполне обычного представления, данного в восприятии? Разве для него не было бы значительно легче обратиться к субстантиву или к какому-нибудь другому имени? Тогда исчезло бы грубое насилие, заключающееся в отнятии у глагола его жизненного органа — субъекта или лица. Очевидно, у него не было другого средства, т. к. изуродование слова было бы изуродованием самого языка. И если язык был вынужден превратить персональное в имперсональное, то, по-видимому, потому, что только одной этой операцией должно было стать возможным выполнение глаголом той функции, которая им имелась в виду.

Какова эта функция? Знобит или лихорадит не является субстратом, не является предметом; здесь скорее подразумевается состояние или, если угодно, явление, процесс, и как же вы хотите, чтобы язык смог обозначить его без глагола? И вот он обратился-таки к глаголу. Но здесь у него совершенно не было и не могло быть мысли дать словесное выражение содержанию суждения; глагол же своим лицом выражал суждение; поэтому язык был вынужден отстранить то, что делало глагол не пригодным для своих целей: он ампутировал лицо. И вот поэтому происходит, что констатация факта знобит в предположении, что я рассуждаю, предполагает субъект глагола, и вы будете думать, что меня от чего-то знобит; если же вы будете предполагать что я обозначаю только содержание моего восприятия, то у вас не возникнет и мысли о субъекте, и вы догадаетесь, что речь идет о состоянии моего здоровья.

Отсюда становится очевидным, что имперсональные предложения не имеют отношения к содержанию суждения. Они выражают восприятие, но восприятие состояния или процесса, а не предмета. Мы уже знаем, что Х. Мейер в своем монументальном исследовании об эмоциональном мышлении с совершенной очевидностью отметил, что имперсоналии всегда выражают состояние или явление. Но эту здравую мысль он вначале же ложно истолковал, т. к. не осмелился сойти с надежды протоптанного пути и в согласии с традицией в бессубъектных предложениях начал искать содержание суждения. Правда, он подразумевает здесь акт элементарного суждения, который согласно его воззрению должен осуществляться и в самом процессе восприятия, но совершенно очевидно, что восприятие психологически не является тем, чем его считает Мейер, и суждение тоже не согласуется с его трактов-

кой. Критическая оценка теории суждения Мейера нас увела бы далеко; поэтому, к сожалению, здесь мы не можем ею заняться и вынуждены ограничиться только противопоставлением нашего и его воззрений.

Вы скажете: прекрасно! Допустим, что в имперсональных предложениях мы имеем дело только с речевым выражением содержания восприятия; но ведь ни в одном суждении нет такого субъекта или предиката, который в конце концов не основывался бы на восприятии; или же — ведь не существует никакого данного в восприятии представления, которое не было бы пригодным в качестве субъекта или предиката? Следовательно, если «моросит» выражает представление, данное в восприятии, мы должны быть в состоянии беспрятственно использовать его в зависимости от надобности субъектом или предикатом суждения. Но разве это когда-нибудь может быть осуществлено? Разве не было бы бессмыслицей сказать или подумать: он моросит, моросит полезно или что-нибудь в этом роде? Совершенно справедливое заявление, но ненадолго остановимся на нем.

Когда мы имеем дело с обычным явлением или состоянием, мы всегда воспринимаем его в различных комплексах: идущий человек, идущее животное, уходящее время. Поэтому нам ничего не мешает выделить из комплекса восприятия один из элементов и обозначить его отношение к единому комплексу; тогда я осуществляю акт суждения и указываю на оба его элемента — субъект и предикат; я говорю: человек идет, животное идет и т. п. Когда же я имею дело с метеорологическим явлением, могу ли я тогда сказать, что и оно входит в какой-нибудь цельный и сложный комплекс? Если могу, то что же мне препятствует и здесь соорудить акт суждения, назвав и субъект, и предикат! Но в каком комплексе я воспринимаю метеорологическое явление или состояние, допустим, дождь? Несомненно, что не в комплексе восприятия человека или животного или какого-нибудь другого определенного предмета.

Дождливый человек, дождливое животное, дождливый какой-либо предмет никогда не были объектами моего восприятия. Но зато не подлежат никакому сомнению, что данное в восприятии представление определенных времени и пространства безусловно может быть сочтено тем комплексом, в который входит представление того или иного метеорологического процесса. Поэтому совершенно очевидно, что подтверждение отношения возможно только между временем и пространством и теми или иными метеорологическими явлениями (моросит, капает, льет, гремит), и в этом случае бесспорно, что мы обладаем представлением и субъекта, и предиката.

Нельзя считать безосновательным утверждение Лотце и, вместе с другими, в особенности Ерузалема, когда они усматривают скрытый субъект имперсональных предложений в пространственном и временном поле, т. е. в таких предложениях действительно выражено содержание суждения. Но суть их ошибки в том, что такие предложения никем не считаются бессубъектными и имперсональными; поэтому они ломаются в открытую дверь, да и то с видом победителей. А когда метеорологические имперсоналии встречаются в бессубъектном выражении, например, моросит, сверкает, то тогда никто не подразумевает интервалов пространства и времени, к которым относятся упомянутые метеорологические явления или состояния. Но как только мы превратим в цель момент этого отношения, то сразу же называем то пространство и время, в комплексе которого мы восприняли или пред-



ставили процесс дождя или похолодания, и мы говорим не «моросит» или «сверкает», но всегда и безусловно «здесь моросит», «здесь льет» или «сегодня моросит», «сегодня льет».

Итак, мы убеждаемся еще раз, что если истинная природа восприятия и суждения будет понята надлежащим образом, то тогда ни у кого не должно возникнуть сомнения, что т. н. метеорологические имперсоналии употребляются для выражения настоящих, чистойшей воды данных в восприятии представлений.

Но вы все равно не согласитесь и скажете: очень хорошо, но не забывайте, что мы в состоянии выразить один и тот же факт двумя способами: разве у нас нет одинакового права сказать, например, в обоих случаях: «страшно льет» и, в другом случае, «льет страшный дождь»?²¹ Но ведь последнее высказывание без сомнения должно быть сочтено словесным выражением акта суждения. Какое же тогда мы имеем право считать его второй эквивалент (льет) только выражением восприятия? Следовательно, продолжаете вы, — в имперсональных предложениях мы имеем дело не с восприятием, а с настоящим актом суждения. И не только с этим. Словесный эквивалент упомянутой имперсоналии — «льет страшный дождь» бесспорно доказывает, что правы были Миклозих и Марти, когда они в имперсональных предложениях усматривали выражение экзистенциальных актов суждения.

И речи нет, что ваше замечание заслуживает серьезного внимания и с ним следует считаться. Но тем не менее оно неправильно. Вы говорите:

1) «сейчас льет дождь» является полным эквивалентом глагола «льет»; и если первое представляет собой суждение, то таково и последнее;

2) «сейчас льет дождь» — экзистенциальное суждение; и если оно эквивалентно имперсональному высказыванию, то и это последнее должно быть сочтено словесным выражением экзистенциального суждения. Но вы забываете, что, напр., грузинский классик Акакий Церетели (да разве только он?) говорил:

С высоты лил дождь
Бурка не смогла укрыть...

Разве он не мог сказать с полным на то правом, что был дождь, как и мы всегда в зависимости от надобности вместо того, чтобы сказать «льет», говорим «идет дождь»? А ведь «дождь идет» невозможно считать экзистенциальным суждением? Следовательно, и не его «эквивалент» сейчас дождь не может быть сочтен таким суждением. Но «льет» действительно является экзистенциальным суждением, и это никакому сомнению не подлежит. Следовательно, ваша аргументация не верна, т. к. основывается на кажущейся эквивалентности выражений, а это влечет за собой недопустимые следствия.

Итак, совершенно очевидно, что имперсоналии — капает, моросит, жарко, холодно — не могут иметь той психологической и, если угод-

²¹ В грузинском языке прибавление гласного «а» превращает существительное в экзистенциальное предложение настоящего времени, т. к. заменяет связку «есть». Оно превращается, в трактовке Узнадзе, в глагол с недостающим лицом. Дальше в тексте рассуждения имеют в виду именно эту особенность грузинского языка, выражающую прибавлением гласного «а» связку с глаголом. Нам неизвестна позиция автора к предполагаемым аналогичным явлениям в других языках, хоть и их наличие не меняет, на наш взгляд, узнадзевской концепции имперсоналий (прим. перев.).

но, логической природы, которую имеют выражения сейчас идет дождь, или идет дождь, наступил рассвет, сейчас жарко, сейчас холодно. Они не являются эквивалентами имперсоналий. А если это так, то очевидно, что в силу того, что сейчас дождь и дождь идет используются как выражения суждения, невозможно и «льет» счесть выражающим суждение предложением.

Я скажу больше: именно тот факт, что наш язык не удовлетворяется имперсональным выражением и часто обращается к выражающим полное суждение предложениям, бесспорно доказывает ту несомненную истину, что сами имперсоналии не в силах выражать акты суждения, иначе какая была бы необходимость в употреблении полноформных предложений рядом о недостающих формами! Почему же мы не встречаемся во всех других случаях с аналогичным явлением? Если льет (*es regnet* — перев.), согласно исследователям школы Brentano, является экзистенциальным суждением, то почему же понадобилось языку в виде «сейчас (идет, есть — перев.) дождь» вычленить действительно экзистенциальное предложение? Если «льет» (капает, морит — перев.) является только повествовательным предложением, как это думает Вундт, то зачем же мы говорим именно с целью повествования был дождь или шел дождь? И если, наконец, льет представляет собой действительно предложение наименования, как это предполагал Зигварт, то почему происходит, что язык с целью наименования рядом с формой «дождь»²² прибегает и к другому выражению, напр., «вот настоящий дождь» или проще, «это дождь»? Но если язык поступает таким образом и поступает так в особенности для выражения содержания каждого суждения, то очевидно, что форма с недостающим лицом нужна ему для выражения другого психического и логического содержания, а не для суждения.

Что это именно так, подтверждается и тем лишним аргументом, что для выражения метеорологических явлений у языка нет других форм, кроме имперсональных. Дождь, снег, молния, холод, жара? — скажете вы, — разве эти слова не выражают содержания восприятия? Совсем не выражают, говорю я, т. к. упомянутые номинальные формы пригодны только для высказывания представления субстрата: снег, жара, дождь, молния обозначают не явление или акт, но всего лишь представление субстрата, который как таковой уже заранее подразумевает существование процесса, акта.

Следовательно, можно сделать вывод, что психологическим содержанием метеорологических имперсоналий следует считать только представления, данные в восприятии.

Но вы все-таки не удовлетворены и спрашиваете меня: все это хорошо, но как происходит, что язык именно для выражения восприятия метеорологических явлений пользуется формами глагола с недостающим лицом, в то время как для обозначения не метеорологического явления или состояния он обычно и преимущественно имеет в своем распоряжении глаголы с полными формами.

²² В грузинском языке прибавление букв часто превращает существительное в глагол и в данном случае мы имеем дело с аналогичным явлением. «Цвима» («дождь» по-грузински) при прибавлении согласного (с) «цвимс» и отнятии гласного «а», как уже отмечалось (правда, не в развернутом виде в сн. 21), превращает его в экзистенциальное суждение настоящего времени.

Следует отметить, что всегда, когда мы придаем словесное выражение тому или иному явлению, акту или процессу, данному в восприятии, то нам это удается только третьим лицом глагола: мы говорим «идет, уходит»; и в этом случае мы можем ничего не подразумевать, кроме данного в восприятии представления явления. Но обратите внимание, какие явления и акты обозначаются здесь? Перечислите все глаголы с полной формой и вы увидите, что они всегда сообщают о таких явлениях, которые вне сомнения предполагают определенный субстрат. А это же означает, что достаточно обозначить восприятие такого явления соответствующей формой надлежащего глагола, как его персональный суффикс даст нам импульс возникновения в нашем сознании с самого начала идеи его субстрата, и тогда мы вынуждены превратить процесс восприятия, который сам ничего не говорит об отношении самого явления и его субстрата, в акт суждения и в то же мгновение, хотя бы и скрыто, спросить: кто приходит, кто уходит? Это является причиной того, что для выражения не метеорологических явлений, данных в восприятии, используемые глаголы выступают в виде глаголов с полной формой и употребление их надлежащих форм мгновенно связывает процесс восприятия с актом суждения.

Совершенно иную природу имеют метеорологические явления: они кажутся бессубстратными феноменами, и если даже мы предпримем особую попытку найти его, то это нам все равно не удастся, т. к. такого субстрата для обычного, наивного сознания они не имеют. Следовательно, бессубстратность — вот какое обстоятельство, с одной стороны, придает метеорологическим предложениям вид бессубъектных, и что способствует имперсональному глаголу надолго и чисто сохранять характер выражения представления, данного в восприятии.

Но если вы все-таки спросите, почему при предположении верности того факта, что именно бессубстратность некоторых явлений представляется тем основанием, по которому глаголы с недостающим лицом лишились персонального момента, то почему происходит, что и для выражения представления не метеорологического бессубстратного явления, данного в представлении, язык не прибегает к имперсональным формам?!

Суть вопроса заключается в том, что это происходит именно так. Бесспорным фактом является то, что разум человека всегда подразумевает в физической действительности тот или иной субстрат явлений: он везде ищет его и находит в том или ином виде. Но найти его труднее всего в метеорологических явлениях: в сознании наивного человека они преломляются прямо в виде бессубстратных процессов. Когда старые лингвисты (или сейчас, между прочим, и Вундт) думают, что в лице теперешних *impersonale* в старину наши предки подразумевали божество, то этим они не опровергают, но даже подтверждают наш взгляд: если верно, что мифологическое мировоззрение всюду подразумевает духовный агент, то было бы удивительно, чтобы наши предки не стали искать субстрата и метеорологических явлений; и поскольку бытие божества субстратом этих явлений больше всех подходило к этим явлениям, то что же могло им помешать положить в основу сегодняшних имперсоналий то же психическое содержание, которое они клали в основу других обычных вербальных категорий?! Совершенно очевидно, что для них «льет» и «дует» должны были быть выражениями такого же характера, как для нас хотя бы «идет», «приходит» и как мы, как только воспринимаем процесс хождения, мгно-

венно начинаем искать его субстрат и превращаем выражающее восприятие, представление в высказывающее суждение предложение, так и наши предки, воспринимая какой-либо метеорологический феномен, обозначали его глаголом в третьем лице. Но именно это последнее (глагол в третьем лице) в одно мгновение приводило в движение идею субстрата в их сознании и таким образом выражающее данное в восприятии представление высказывания «сверкает» превращалось в выражающее суждение предложение: Zeus *vei*. Но сегодня, когда мифологическое мировоззрение отжило свой век, мы лишились чувства субстрата метеорологических явлений, и поэтому капает, моросит и т. п. представляют собой не *eine Art Abbrueviatur-Sprache*, а настоящие глаголы с недостающим лицом.

Таким естественным образом объясняется то обстоятельство, что в старых памятниках истории языка глаголы с недостающим лицом встречаются реже, чем в памятниках сравнительно новых времен.

*
* *

Но существует сфера явлений, где субстрат подразумевается значительно реже, чем в физической действительности: я имею в виду феномены нашего сознания. Одним из бесспорных завоеваний современной психологии является и то, что психические явления должны считаться совершенно бессубстратными процессами. Но это является завоеванием научного мышления, и в основе языка никогда не лежит научное мировоззрение. А для обычного, повседневного мышления и душевные явления имеют свой субстрат, и этим субстратом является **я**, к которому мы всегда относим происходящие в нас психические процессы: я вижу, я страдаю, я чувствую — говорим мы и носителем каждого из упомянутых душевных феноменов имеем в виду самих себя, наше **я**.

Но разве везде с одинаковой очевидностью проявляется идея субстрата психических явлений? Несомненно, что нет. Когда я активно переживаю тот или иной психический процесс, то в моем сознании ясно проявляется идея действующего субъекта, идея **я**; но часты и такие случаи протекающих в нашем сознании процессов, у которых нет ничего общего с активностью моего **я**: тогда налицо переживание пассивности, и мы уже не ощущаем субстратом возникших феноменов собственное **я**. Тогда они хоть и кажутся моими собственными переживаниями, но все же не продуктами **я**, и, следовательно, воспринимаются как совершенно бессубстратные явления, и я говорю: знобит, лихорадит, холодно, жарко, зеваю, чихаю. В грузинском языке много глаголов аналогичной природы. Это те глаголы, которые в грамматическом отношении проф. А. Шанидзе относит к глаголам типа *иметь* (точный смысл этого глагола подразумевает нечто живое или субстрат, имеющий непосредственное отношение к чему-то живому — акту, процессу и т. д. — прим. перев.). Характерно для всех них то, что местоимение, которое сегодня представлено как лицо глагола, подразумевается в дательном падеже вместо именительного и поэтому их субъект совершенно скрыт: он ненавидит, он боится, он бодрствует, он завидует, он желает, он вожделеет, он голоден, он спит и др.²³. Несомнен-

²³ А. Шанидзе. Субъективный префикс второго лица и объективный префикс третьего лица в грузинских глаголах, Тифлис, 1920, с. 68 (на груз. яз.).



но, что не все глаголы данной категории, но все же большинство из них используются для выражения тех душевных процессов, которые переживаются пассивно и, следовательно, лишают идею **я** функции субстрата²⁴. Поэтому происходит, что для их обозначения язык преимущественно обращается к глаголам с недостающим лицом.

*
* * *

Я думаю, что здесь уже может быть поставлена точка. И согласно со всеми высказанными соображениями главная мысль нашего исследования должна быть сформулирована следующим образом:

1. Для выражения метеорологических явлений язык обычно использует глаголы с недостающим лицом²⁵. Это обстоятельство имеет бесспорное методологическое значение для выяснения природы impersonale.

2. Метеорологические имперсоналии дают словесное выражение восприятия соответствующих явлений, а не содержания суждения. Поэтому поиск их субъекта должен быть сочтен бесплодным занятием.

3. Специфическая особенность метеорологических явлений, которая вынуждает язык для их выражения обратиться именно к имперсоналиям, заключается в их бессубстратности.

4. Предполагаемые бессубстратными представления, данные в восприятии, язык всегда выражает impersonalia-ми.

5. Применение глаголов с полной формой для выражения предполагаемых бессубстратными явлений всегда превращает их в имперсональные.

6. Для выражения представления данного в восприятии явления, имеющего субстрат, язык применяет третье лицо глагола; но сразу же по его выражении, под влиянием персонального суффикса происходит апперцепция идеи субстрата воспринятого явления, которая мгновенно связывается с персональным суффиксом. Поэтому предполагаемое имперсональное выражение превращается в полное предложение и, следовательно, в словесное выражение содержания суждения.

7. В процессе восприятия представленных бессубстратными явлений такое превращение не удастся, и именно здесь мы имеем дело с чистыми имперсоналиями.

8. Выраженное в impersonali-и представление восприятия само может превратиться в предикат суждения; в таком случае в качестве субстрата и субъекта выраженного в нем явления мы подразумеваем его пространственную и временную среду.

Перевод КОРТАВА В. В.

²⁴ В тексте перевода, естественно, приведены не точные эквиваленты, имеющиеся в подлиннике выражения, но и они, на наш взгляд, передают подчеркиваемую акад. Узнадзе бессубстратность психических явлений (во всяком случае, в какой-то мере подтверждают ее — прим. перев.).

²⁵ Резюме данной статьи на русском языке содержит неточность, пользуясь понятием безличного глагола. См. по этому поводу сколию 16 и весь последующий текст статьи, включая грузинское резюме самого Д. Н. Узнадзе, переводом которого является резюме на русском языке.

ახალი თარგმანები

ჰენრი თომას ზოალი

(1821—1862)

ლუდოვიკო XIV-ის სიკვდილი. აგზობა მფარველი სულის
წინააღმდეგ და მზადება საფრანგეთის რევოლუციისათვის

ბოლოს, როგორც იქნა, ლუდოვიკო XIV მოკვდა. ხალხი ლამის ჭკუაზე შეიშალა სიხარულისაგან, როცა დანამდვილებით შეიტყო, რომ მოხუცმა მეფემ სული განუტევა. ტირანის, მას რომ სასტიკად თრგუნავდა, ბოლო მოეღო; და ამას მისევე, არნახული სიმძაფრით მოჰყვა გამოსვლები, რომლის მსგავსი თანამედროვე ისტორიაშიც არ მოიძებნება. უმრავლესობამ, გადაეშვა რა უხამსი ალვირახსნილობის მორევში, ამით თითქოს შური იძია თავისი იძულებითი მლიქვნელობისათვის. მაგრამ თაობაში, რომელიც იმ დროს ყალიბდებოდა, მოიძებნებოდნენ ამაღლებული სულის ახალგაზრდები, ბევრად უფრო მაღალი მისწრაფებებით, რომელთა წარმოდგენაც თავისუფლებაზე მხოლოდ სამორისოს თავაშეებულობით არ იფარგლებოდა. საფრანგეთში დაკარგული სიტყვის თავისუფლების აღდგენის დიადი იდეით შთაგონებულებმა, ბუნებრივია, მზერა მიაპყრეს ერთადერთ ქვეყანას, სადაც თავისუფლება რეალურად არსებობდა. მათმა გადაწყვეტილებამ მიეგნოთ თავისუფლებისათვის იქ, სადაც ის ნამდვილად შეიძლებოდა არსებულყოფილად, დასაბამი მისცა ფრანგ და ინგლისელ მოაზროვნეთა დაახლოებას, რაც დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მე-18 საუკუნის ისტორიაში, მხედველობაში თუ მივიღებთ იმ უზარმაზარ შედეგს, რაც ამ შეერთებამ გამოიღო.

ლუდოვიკო XIV-ის მეფობის დროს, ერთგული უბირატესობის გრძობით გაყოფილი ფრანგები ზიზლით უყურებდნენ იმ ბარბაროს ხალხს, ვინც იმდენად არაცივილიზებული იყო, რომ დღენიადაც თავს ესხმოდა თავის მმართველებს, და ვინც ორმოცი წლის განმავლობაში სიკვდილით დასაჯა ერთი მეფე და ტახტიდან ჩამოაგდო მეორე. ვერ იჭერებდნენ, რომ ესოდენ დაუდგრომელ ბრბოს გააჩნდა იმგვარი ღირსებანი, რაც განათლებულ ადამიანთა ყურადღების ღირსი გახდებოდა. ჩვენი კანონები, ჩვენი ლიტერატურა და ჩვენი ზნე-ჩვეულებანი მათთვის სრულიად უცნობი ხალი იყო. მაგრამ ლუდოვიკო XIV-ის ხანგრძლივი მეფობის მწარე გამოცდილებამ ფრანგები აიძულა ბევრი მოსაზრება შეეცვალათ. სწორედ მისმა მეფობამ აიძულა ისინი ეფიქრათ, რომ დესპოტიზმსაც შეიძლება ჰქონდეს ნაკლი. და რომ თავადებისა და ეპისკოპოსების მთავრობა სულაც არ არის სავალდებულო იყოს საუკეთესო ცივილიზებული ქვეყნისათვის. ფრანგებმა ჯერ კმაყოფილებით, ხოლო მერე კი მოწიწებით დაუწყეს ყურება იმ უცნობ და უცხო ხალხს, ვინც თუმცა მხოლოდ ვიწრო სრუტით იყო გამოყოფილი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საესებო განსხვავდებოდა მათგან; აი, სწორედ ამ ხალხმა სიკვდილით დასაჯა რა თავისი მჩაგვრელები, მაშინვე ისეთ მწვერვალზე აიყვანა თავისუფლება და კეთილდღეობა, რომლის მსგავსი მაგალითიც მსოფლიოს არ უნახავს. ეს განწყობილებანი, რომელთაც რევოლუციამდე იჩინეს თავი და საფრანგეთის განათლებულმა წრეებმა აიტაცეს, თავდაპირვე-

ლად მხოლოდ იმ ადამიანების გულში ღვიოდა, რომელთა ინტელექტმაც ისინი თავიანთი ეპოქის სათავეში მოაქციეს. ლუდოვიკო XIV-ის სიკვდილსა და რევოლუციის დაწყებამდე, ორ თაობას შორის იშვიათად თუ შეხვდებოდით თვალსაჩინო ფრანგს, ვინც ან არ სწვევია ინგლისს, ან არ შეუსწავლია ინგლისური ენა; ბევრი მათგანი ორივეს ახერხებდა. თითქმის ყველამ გულმოდგინედ შეისწავლა ჩვენი ენა და უმრავლესობა ჩასწვდა კიდევ ჩვენი ლიტერატურის სულს. განსაკუთრებით ვოლტერი, მისთვის ჩვეული გზნებით ეზიარა ახალ მიმართულებას და დაეუფლა ინგლისში იმ მოძღვრებას, რომლის ქადაგებამაც შემდგომში მას ასეთი საყოველთაო დიდება მოუპოვა. ის იყო პირველი, ვინც გაავრცელა საფრანგეთში ნიუტონის ფილოსოფია, რამაც სწრაფად შეცვალა დეკარტესული. მან თანამემამულეებს ვააცნო ლოკის ნაწარმოებები, რომლებმაც მოკლე ხანში საყოველთაო პოპულარობა მოიპოვეს, და რაც კონდილიაკმა თავის მეტაფიზიკურ სისტემაში, ხოლო რუსომ კი თავის განათლების თეორიაში გამოიყენეს. გარდა ამისა, ვოლტერი იყო პირველი ფრანგი, ვინც შექსპირი შეისწავლა; იგი დიდად იყო დავალებული შექსპირის შემოქმედებისაგან, თუმცა შემდგომ მისი დაკნინება განიზრახა, რასაც, მისი აზრით, გადაჭარბებული გულსყურით ეკიდებოდნენ საფრანგეთში. მონტესკიემ ბევრი თავისი ძირითადი იდეა ჩვენს ქვეყანაში შეითვისა; შეისწავლა ჩვენი ენა და ყოველთვის გამოხატავდა აღფრთოვანებას ინგლისისადმი არა მარტო თავის ნაწარმოებებში, არამედ კერძო საუბრებშიც კი. ბიუფონმა შეისწავლა ინგლისური ენა, და სამწერლო ასპარეზზე პირველად მოგვევლინა როგორც ნიუტონისა და ჰელსის მთარგმნელი. დიდროც იმავე გზას მიჰყვებოდა და რიჩარდსონის რომანების მგზნებარე თაყვანისმცემელი გახლდათ; მან რამდენიმე თავისი პიესის სიუჟეტი ინგლისელი დრამატურგებისაგან გადმოიღო, კერძოდ ლილოსგან; ბევრ მოსაზრებას შაფტსბერის და კოლინსს დაესესხა და მის პირველ პუბლიკაციას სტანიანის „საბერძნეთის ისტორიის“ თარგმანი წარმოადგენდა. ჰელვეციუსს, ვინც ლონდონს ეწვია, არასოდეს არ ბეზრდებოდა ინგლისელი ხალხის ქება-დიდება; მის შესანიშნავ ნაწარმოებში „გონების შესახებ“ ბევრი შეხედულება მანდვილისგან ნასესხები გახლავთ, ამასთან იგი ხშირად მიმართავს ლოკის ავტორიტეტს, რომლის პრინციპების ქებასაც ადრე ძნელად თუ გაბედავდა რომელიმე ფრანგი. ბეკონის დღემდე უცნობი შრომები ახლა ფრანგულად ითარგმნა, ხოლო მეცნიერების მის მიერ მოხდენილი კლასიფიკაცია კი საფუძვლად დაედო იმ შესანიშნავ ენციკლოპედიას, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული მე-18 საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ქმნილებად. ბლანშა იმოგზაურა ინგლისში, დაწერა შრომა სავანგებოდ ინგლისზე, და ვადათარგმნა იუმის პოლიტიკური ტრაქტატი ფრანგულად. მართლაც გულახდილად შეიძლება ითქვას, რომ მე-17 საუკუნის მიწურულისათვის ძნელი იყო ყველაზე განათლებულ ფრანგებს შორისაც კი გეპოვნათ თუნდაც ერთი ადამიანი, ვისაც ოდნავი წარმოდგენა მაინც ჰქონდა ინგლისური ენის შესახებ, მე-18 საუკუნეში, იმავე წრეში, თითქმის ძნელად თუ მოიძებნებოდა ამ ენის უცოდინარი. სხვადასხვა გემოვნების და სრულიად განსხვავებულ მისწრაფებათა ადამიანები ამ საკითხთან დაკავშირებით საერთო თვალთახედვით იყვნენ შეერთებულნი. პოეტები, გეომეტრები, ისტორიკოსები, ბუნებისმეტყველები, ყველა როგორც ერთნი აღიარებდნენ რომ საჭირო იყო შეესწავლათ ლიტერატურა, რომლის შესწავლაზეც ადრე თავს არავინ არ იწუხებდა.

აი, ამგვარი გატაცებით შეისისხლხორცეს ფრანგებმა ლიტერატურა იმ ხალხისა, ვინც რამდენიმე წლის წინათ გულწრფელად ეზიზღებოდათ. სიმართლე რომ ვთქვათ, ამ ახლადშექმნილ ვითარებაში მათ ალტერნატივის საშუალება არც კი ჰქონდათ, რადგანაც, კაცმა რომ თქვას, არსებობდა კი კიდევ სადმე ინგლისის გარდა, სხვა რომელიმე ქვეყანაში ისეთი ლიტერატურა, რომელიც შეძლებდა დაემყოფილებინა ეს გამბედავი და ცნობისმოყვარე მოაზროვნე ადამიანები, საფრანგეთში ლუდოვიკო XIV-ის სიკვდილის შემდეგ რომ გამოჩნდნენ.

ფრანგების ქვეყანაში, ექვევარეშეა, ადგილი ჰქონდა საუცხოო მკერმეტყველების, ბრწყინვალე დრამისა და პოეზიის გამოჩენებას, რომელთაც, მართალია, არასოდეს არ მიუღწევიათ თავიანთი სრულყოფის უმაღლესი მწვერვალისათვის, მაგრამ მაინც დასრულებულნი და მომხიბლავნი იყვნენ. მაგრამ უდავო და დამამწუხრებელი ფაქტია, რომ დეკარტეს სიკვდილის შემდეგ სამოცი წლის განმავლობაში საფრანგეთს არ ჰყოლია ერთი კაციც კი, ვინც გაბედავდა დამოუკიდებლად ეაზროვნა. მეტაფიზიკოსები, მორალისტები, ისტორიკოსები, თითქმის ყველა გაირყვნა იმ გახრწნილ ეპოქაში გაბატონებული მონური ქედმოხრით. ორ თაობას შორის, არც ერთ ფრანგს არ ჰქონდა უფლება პოლიტიკის ან რელიგიის საკითხების შესახებ თავისუფლად ემსჯელა. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ კანონიერ საბოლღაწეო სფეროდან გაძევებულმა უდიდესმა მოაზროვნეებმა აქტიურობა დაკარგეს; ეროვნული სული ჩაკვდა; იგრძნობოდა საჭირო მასალისა და გონების საზრდოს უკმარისობა. ასე რომ, არც არის გასაკვირი თუ მე-18 საუკუნის გამოჩენილმა ფრანგებმა საზღვარგარეთ მოძებნეს ის საზრდო, რომლის პოვნაც საშუალოში ვერ შესძლეს. არ არის გასაკვირი, თუ მათ ზურგი შეაქციეს საყუთარ საშუალოს და ალტაეპული მზერა მიაპყრეს ერთადერთ ხალხს, ვინც წამოსწია რა თავისი კვლევა-ძიებანი უმაღლეს დარგებში, გვიჩვენა კიდევ ერთნაირი შეუპოვრობა როგორც პოლიტიკაში, ასევე რელიგიაშიც; ამგვარად, ფრანგებმა მზერა მიაპყრეს ხალხს, ვინც სიკვდილით დასაჯა თავისი მეფეები და თავის გავლენას დაუქვემდებარა სამღვდელოება და ვინც ამავე დროს თავის მდიდარ გამოცდილებას იმ დიდებულ ლიტერატურაში აქსოვდა, რომელიც არასოდეს არ წარიშლება, და რომელზეც სრული სიმართლით შეიძლება ითქვას, რომ მან მისცა ბიძგი ყველაზე შორეული ტომების აზროვნებას; სწორედ ამ ხალხის ლიტერატურამ, დანერგულმა ამერიკაში და ინდოეთში, გაამდიდრა მსოფლიოს ორ საპირისპირო მხარეთა აზროვნება.

მე-18 საუკუნის გამოჩენილი ფრანგები, რომლებშიც პროგრესისადმი ტრფალი ინგლისის მაგალითმა აღძრა, ბუნებრივია, შეეჯახნენ მმართველ წრეებს, რომელთა შორის კვლავ ბატონობდა ძველი რეაქციული სული. ეს ოპოზიცია წარმოადგენდა ჯანსაღ გამოსვლას იმ სამარცხენიო მონური მორჩილების წინააღმდეგ, რითაც ლუდოვიკო XIV-ის დროს ლიტერატორები იყვნენ განთქმულნი; საბოლოო შედეგი ფრიად ნაყოფიერი გვექნებოდა, თუკი კამათს, რომელიც ამ გამოსვლას შედეგად მოჰყვა, ზომიერი იერსახე ექნებოდა; რამდენადაც ამგვარი მიდგომა საკითხისადმი შეარიგებდა აზრთა განხეთქილებას მოაზროვნე და პრაქტიკულ კლასებს შორის, რაც აუცილებელია ხოლმე ცივილიზაციის წონასწორობის შესანარჩუნებლად და რომელიც ამასთანავე არ დაუშვებდა რომ ერთ-ერთ მხარეს მაინც ხელთ ეგდო საშიში მბრძანებლობა. მაგრამ, სამწუხაროდ, თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ,

რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ დიდი ხნის მანძილზე ბატონობას, ვერ შესძლეს აეტანათ მცირეოდენი წინაღობდგობის გამოვლენაც კი იმ ბუმბერაზი მწერლებისაგან, რომლებსაც ისინი თავიანთი უმეცრების გამო ვერ იტანდნენ და ისე უყურებდნენ როგორც მათზე დაბლა მდგომ ფენას. ამას კი შედეგად ის მოჰყვა რომ, როდესაც მე-18 საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო ფრანგები შეეცადნენ დაემკვიდრებინათ მაძიებელი სული თავიანთი ქვეყნის ლიტერატურაში, ზუსტად იმის მსგავსი, როგორიც ინგლისში არსებობდა, მმართველი წრეები ისეთი სიძულელითა და არაკეთილმოსურნეობით განიმსჭვალნენ მათდამი, რომ მან ყოველ ზღვარს გადააჭარბა და გამოიწვია ჯვაროსნული ლაშქრობა განათლების წინააღმდეგ, რაც საფრანგეთის რევოლუციის მეორე მთავარ წინამორბედს ქმნის.

სასტიკი დევნის ხანგრძლივობა, რასაც იმხანად ლიტერატურა განიცდიდა, შეიძლება მთლიანად შეფასებულ იქნეს მხოლოდ იმ ადამიანთა მიერ, რომლებმაც დაწვრილებით შეისწავლეს საფრანგეთის ისტორია მე-18 საუკუნეში. ვინაიდან ეს არ იყო შემთხვევითი შევიწროება, რომელიც თავს იჩენდა ხოლმე აქა-იქ; არამედ ეს იყო ხანგრძლივი და გამუდმებული ცდა ჩაეკლათ ყოველგვარი ძიება და დაესაჯათ ყოველი პროგრესულის მაძიებელი. თუ შევადგენდით ყველა იმ მწერლის სიას, რომლებიც ლუდოვიკო XIV-ის გარდაცვალების შემდეგ სამოცდაათი წლის განმავლობაში ქმნიდნენ ნაწარმოებებს, აღმოჩნდება, რომ სულ ცოტა ცხრას ყოველი ათიდან მთავრობისგან უღმობელი ტანჯვა-წამება განუცდია და რომ მათი უმრავლესობა ფაქტიურად ციხეში იყო ნაჯდომი. მართლაც საფრანგეთის მმართველნი შეუპოვრად სდევნიდნენ ყოველგვარი ცოდნის გამოვლენას, რადგანაც გონივრულად მიაჩნდათ, რომ მათი ერთადერთი ხსნა ხალხის უმეცრებაში ყოლა იყო; მაგრამ გადააქციეს რა ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი თავიანთ პირად მტრად, ამით მათ საბოლოოდ დარაზმეს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მთელი ქვეყნის მოაზროვნენი და რევოლუცია არა ასარჩევ, არამედ აუცილებელ პირობად აქციეს. ნაცვლად იმისა, ვაგვეკვრებოდა, რომ მოხდა გადატრიალება და აღიგავა პირისაგან მიწისა სახელმწიფო მმართველობის აპარატი, ჩვენ უფრო უნდა განვცვიფრებულიყავით იმ შეუდარებელი მოთმინებით, რომლის მეშვეობითაც რევოლუცია ასე დიდხანს იყო შეჩერებული. პირადად მე მართლაც, ყოველთვის მეგონა, რომ რევოლუციის შეფერხება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ჩინებულ დამამტკიცებელ საბუთს ისტორიაში, თუ როდენ ძლიერია ფესვადგმული ზნე-ჩვეულებანი და ის შეუპოვრობა, ადამიანის გონება რომ ებღაუჭება ხოლმე წარსულ ასოციაციას. რადგანაც, თუ ოდესმე არსებობდა მთავრობა, გახრწნილი თავისი ძირეული და არსებითი ხასიათით, ეს იყო საფრანგეთის მთავრობა მე-18 საუკუნეში. თუ ოდესმე არსებობდა საზოგადოებრივი მდგომარეობა, რომელსაც ძალა შესწევდა უკიდურესობამდე მიეყვანა ხალხი თავისი მდლადებელი და დაგროვილი ჭირ-ვარამით, საფრანგეთი სწორედ ამგვარ მდგომარეობაში იყო. აბუჩად ავადებული და დამონებული ხალხი ჩავდებულნი უკიდურესი სიღარიბეში, დაბეჩავებულნი იქნა საზარელი კანონებით, რომლებიც უდიდესი სისასტიკით ხორციელდებოდა. მეფის, თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების მიერ უკიდურესი და შეუზღუდველი მმართველობა იქნა განხორციელებული მთელ ქვეყანაზე. სასტიკად აიკრძალა ფრანგული აზროვნება, ხოლო მისი ლიტერატურა აღკვეთეს და დაწვეს, მისი მწერლები გაძარცვეს და დააპატიმრეს.



არც სადმე არ ჩანდა უმცირესი ნიშანიც კი იმისა, რომ ეს ბედკრულობა შეიძლება გამოსწორებულყო. თავად-აზნაურობა, რომლის ამპარტავნობაც გაძლიერებულ იქნა ძალაუფლების დიდი ხნის განმავლობაში ხელთუყრობით, მარტოოდენ გართობებზე ფიქრობდა; ისინი მცირედენ წინდახედულობასაც არ იჩენდნენ მომავლისადმი; მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ დადგებოდა საშინელი განკითხვის დღე და სულ მალე მოუხდებოდათ იმ სიმწარის გამოვლა, რაც მას შედეგად მოჰყვებოდა.

ვფიქრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ ლუდოვიკო XV-ის მეფობის პირველ ნახევარში, ყოველ შემთხვევაში, დროებითი დათმობების საშუალებით მაინც შესაძლებელი იყო პოლიტიკური დაწესებულების შენარჩუნება საფრანგეთში. უეჭველია, რომ რეფორმებს აღვილი უნდა ჰქონოდათ, რომლებიც შეტისმეტად ფართო და უკომპრომისო ხასიათისანი იყვნენ. რამდენადაც მე ძალმიძს აღვიქვა იმ ეპოქის ჰუმანიტარი ისტორია, ეჭვი არ მეპარება რომ, მაინც თუ დავა მეგობრულ და კეთილმოსურნე ვითარებაში გადაწყდებოდა, შესაძლებელი იქნებოდა ყველაფრის შენარჩუნება, ორი მიზნის განსახორციელებლად რომ იყო აუცილებელი და რომლებსკენაც მთავრობას უნდა ესწრაფა: სახელდობრ, შენარჩუნებინა ძველი წეს-წყობილება და თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საფრთხე. მაგრამ ლუდოვიკო XV-ის მეფობის შუა ხანებში საქმის ვითარებამ შეცვლა დაიწყო და რამდენიმე წლის განმავლობაში საფრანგეთის სულიერმა განწყობილებამ იმდენად დემოკრატიული ხასიათი მიიღო, რომ რევოლუციის გადადებაც კი შეუძლებელი გახდა, რაც, ყოველ შემთხვევაში, შეიძლებოდა სრულებით აგვეცილებინა თავიდან წინა თაობაში. ეს შესანიშნავი ცვლილება დაკავშირებულია იმ სხვა უკვე შემჩნეულ ცვლილებასთან, რომლის მეშვეობითაც საფრანგეთის აზროვნებამ დაახლოებით იმავე პერიოდში, როგორც ამას წინათ სჩადიოდა, დაიწყო თავისი მტრული დამოკიდებულების გამოვლენა უფრო სახელმწიფოს ვიდრე ეკლესიის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი მოღვაწეობის შეჩერება შეუძლებელი გახდა, როგორც კი, თუკი შეიძლება მას ასე ეწოდოს, მთლიანად შეღებულ იქნა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი. ზედიზედ, მოვლენა მოვლენას მოსდევდა; თითოეული მათგანი დაკავშირებული იყო თავის წინამორბედთან, ხოლო ერთად კი ქმნიდნენ მიმართულებას, რომლის წინ აღდგომაც შეუძლებელი იყო. მთავრობამ დათმო რამდენიმე ფრიალ მნიშვნელოვანი მუხლი და მიიღო ზომები, რომელთა მეშვეობითაც ეკლესია თავის მეთვალყურეობის ქვეშ მოაქცია, სამღვდლოების ძლევა მოსილება შეზღუდა და იეზუიტების ორდენიც კი დაასუსტა, მაგრამ ეს ყველაფერი სულ ამაო გამოდგა. ამაო გამოდგა მეფის მიერ პირველად თავის სიცოცხლეში სახელმწიფო საბჭოსადმი, იმ ადამიანებისადმი მიმართვა, რომელნიც რეფორმის სულით იყვნენ აღვსილნი; ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდნენ ტიურგო და ნეკერი, რომელთა გონივრული და ლიბერალური წინადადებანი, უმფოთველ დღეებში, ექვევარეშეა, დააწყნარებდა აბოძოქრებული ხალხის სულიერ მღელვარებას. ამაო გამოდგა დაპირებანი, შემოვლოთ ყველა-სათვის თანაბარი გადასახადები, გამოესწორებინათ ყველაზე უფრო აღმაშფოთებული უკმაყოფილებანი და გაეუქმებინათ ყველაზე უფრო აუტანელი პირობები. ამაო გამოდგა გენერალური შტატების მოწვევაც კი; და ამგვარად, 170 წლის შემდეგ, ხალხს კვლავ მიეცა უფლება მონაწილეობა მიეღო თავისი საქმეების მმართველობაში. მაგრამ ყოველივე ეს ფუჭი გამოდგა,

ვინაიდან ხელშეკრულებათა დადების დრო გავიდა და დადგა უამი ბრძოლი-სა. ყველაზე ლიბერალური დათმობებიც კი მარცხს განიცდიდნენ და ვერ შესძლებდნენ თავიდან აეცილებინათ ის საშინელი ბრძოლა, რაც მოვლენათა მსვლელობამ გარდუვალად გახადა, რადგანაც იმ ეპოქის მოთმინების ფიალა უკვე ავსებული იყო. ძალაუფლების სადავეების დიდი ხნის განმავლობაში ხელთპყრობით სიხარულისაგან გაბრუნებულმა არისტოკრატებმა კრიზისი გამოიწვია და ახლა კარგი იქნებოდა, რომ შედეგიც თვით მათ ენახათ.

შეწყალებისა და შესვენების დრო არ იყო; მცირეოდენი სიბრალულისა თუ თანაგრძნობის გამოვლენაც კი არ იყო საჭირო. ერთადერთი საკითხი, რომელიც ინტერესს იწვევდა, ეს იყო, გვენახა თუკი მათ, რომელთაც ძლიერი მღელვარება წამოიწყეს, მისი წარმატებით დაგვირვინებაც შეეძლოთ; ან უფრო შესაძლებელი ხომ არ იყო, რომ თავად ისინი გახდებოდნენ იმ საშინელი ქარიშხლის მსხვერპლნი, რომელშიც ერთი წამით კანონები, რელიგია, ზნეობა, თითქმის ყველაფერი მოიხსო, ადამიანობის უმცირესი ნატამალი წარიშალა და საფრანგეთის ცივილიზაცია არა მარტო გაქრა, არამედ როგორც იმხანად ჩანდა, უიმედოდ განადგურდა კიდევ.

ინგლისურიდან თარგმნა ივანე იმერლივიძემ

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბოლოს, ტექსტში კი მიუთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,
საქ. მეცნიერებათა აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტი
(ჟურნალ „მაცნესათვის“)

სარედაქციო კოლეგია

6244/30.

ფანი 85 კაპ



ინტერნეტ-სერვისი
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა